ვაჟიტრა მედია

ლომი

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

2 ივნისი ხუთშაბათი 2011
№ 127 (13424) ფასი 60 თეთრი

ბლატერმა, ძრთამს ალარ ავიღებთო

9

ვიმოძრაოთ და ვიფიქროთ

როგორ გავუძლოთ ხორვატთა მოძალებას

2

ის აქ არის

დინამომ ესპანელი მწვრთნელი წარადგინა

ალექსანდრე კობერრაშვილის ფოტოები

3

ალექს გარსია მედიას რომან ფიფიამ (მარჯვნივ) და ზურაბ პოლოლიკაშვილმა წარუდგინეს

ალექსანდრე კობერრაშვილის ფოტო

11

სიახლეები ახალი ფორმის პრეზენტაციით

ფოტოები: www.aff.ge

● ეროვნული ნაკრები

თემურ ქეცბაია

ფოტო: www.gff.ge

ქეცბაიას არჩევანი

საქართველოს ეროვნული ნაკრების თავკაცმა **თემურ ქეცბაიამ** გუშინ სანაკრებო სია შეკვეცა და ის 21 ფეხბურთელი დაასახელა, რომელთაც სპლიტში იახლებს.

მეკარეები: **გიორგი ლორია** („დინამო"), **როინ კვასხვაძე** („ზესტაფონი");

მცველები: **კახა კალაძე** („ჯენოა", იტალია), **ალექსანდრე ამისულაშვილი** („კრასნოდარი", რუსეთი), **ლაშა სალუქვაძე** („ვოლგა", რუსეთი), **აკაკი ხუბუტია** („გაზ-მეთანი", რუმინეთი), **ზურაბ ხიზანიშვილი** („რედინგი", ინგლისი), **გურამ კაშია** („ვიტესი", ჰოლანდია), **კახა ალადაშვილი** („ზესტაფონი"), **გია გრიგალავა** („ვოლგა", რუსეთი);

ნახევარმცველები: **მურთაზ დაუშვილი** („ზესტაფონი"), **ჯაბა კანკავა** („კრივბასი", უკრაინა), **ჯანო ანანიძე** („სპარტაკი" მოსკოვი, რუსეთი), **ალექსანდრე გურული** („კარპატი", უკრაინა), **დავით კვირკველია** („პანიონიოსი", საბერძნეთი), **ირაკლი მაისურაძე** („ოლიმპი", რუსთავი);

თავდამსხმელები: **ალექსანდრე იაშვილი** („კარლსრუე", გერმანია), **მათე ვანაძე** („ვოლგა", რუსეთი), **დავით სირაძე** („სპარტაკი" ნალჩიკი, რუსეთი), **ვლადიმერ დვალიშვილი** („მაქაბი" ჰაიფა, ისრაელი), **ჯაბა ლიპარტია** („ზარია", უკრაინა).

საქართველოს ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებები თბილისიდან სპლიტში დღეს დილას ჩარტერული ავიარეისით გაფრინდებიან. ქეცბაიას გუნდს ხორვატიაში შეუერთდება **ზურაბ ხიზანიშვილი**, რომელმაც ნაკრების წევრთაგან სეზონი ყველაზე გვიან დაასრულა – 30 მაისს მისი "რედინგი" ინგლისურ პრემიერლიგაში გადასასვლელ მატჩში "სუონსისთან" დამარცხდა.

შეგახსენებთ, საქართველოს ნაკრებს "ანფის" შემადგენლობაში მიღებული ხელის თითის ტრავმის გამო გამოაკლდა ძირითადი მეკარე **ნუკრი რევიშვილი**, ახალგაზრდულ ნაკრებთან სპარინგმატჩში ფეხის კუნთი გაიწყვიტა "დნიპროს" მარჯვენა მცველმა **უჩა ლობჟანიძემ**, საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი, "ზესტაფონის" თავდამსხმელი **ნიკოლოზ გელაშვილი** ნაკრებს ვარჯიშზე ნატკენი კოჭის გამო გამოაკლდა, ბოლოს კი ვოლგელი **გოჩა ხოჯავას** თამაშიც გამოირიცხა.

ნაკრებში გამოძახებული ფეხბურთელებიდან კი მნვრთნელთა გადაწყვეტილებით სახორვატიო სიაში ვერ მოხვედნენ "ვიტ ჯორჯიას" მეკარე **არდალიონ მიქაბერიძე**, "ოლიმპის" მცველი **გიორგი რეხვიაშვილი**, "ზესტაფონის" მცველი **გიორგი ხიდეშელი**, "ყარაბახის" თავდამსხმელი **გიორგი ადამია** და "ოლიმპის" ფორვარდი **ირაკლი მოდებაძე**.

ლევან ჯანეზაშვილი

ვოლგას ქართველები (მარცხნიდან) ლაშა სალუქვაძე, გია გრიგალავა, მათე ვანაძე ნაკრების ვარჯიშზე

ფოტო: www.gff.ge

● ინტერვიუ

კახა გოგიჩაიშვილი:

დღევანდელ ნაკრებში შეუცვლელი არავინაა

სპლიტში იმავე ტაქტიკით და ძულაზე ოცნებით

ხორვატია-საქართველოს მოახლოებული დაპირისპირების წინ საქართველოს ეროვნული ნაკრების ყოფილ ნახევარმცველს, ამჟამად ბავშვთა მწვრთნელ კახა გოგიჩაიშვილს ვესაუბრეთ.

- რა შეიცვალა საქართველოს ნაკრებში თემურ ქეცბაიას მოსვლით?

- უპირველეს ყოვლისა, შეიცვალა ის, რომ ფეხბურთელებს საკუთარი თავის რწმენა დაუბრუნდათ. ქეცბაიას დანიშვნამდე ნაკრებს დიდი ხნის განმავლობაში ერთი თამაშიც კი არ ჰქონდა მოგებული, რაც ბიჭებზე დამთრგუნველად მოქმედებდა. ქეცბაიამ ჯერ სადებიუტო მატჩი მოიგო, მერე ნაკრები მთელ წელინადს დაუმარცხებლად ატარა და ბოლოს მთელი ქვეყანა ხორვატიის ძლევით გაახარა. ყოველივე ამან ნაკრების წევრები დაარწმუნა, რომ მაღალი დონის ფეხბურთის თამაში თავადაც შეუძლიათ. მიხარია, რომ დღეს საქართველოს ნაკრები ყველასთვის ანგარიშგასაწევი ძალაა და მას იოლად ვეღარავინ დაამარცხებს.

- რისი წყალობით შევძელით თბილისში ხორვატთა დამარცხება?

- გამართული და სწორი ფეხბურთით, სწორად შერჩეული შემადგენლობითა და ტაქტიკით, რა თქმა უნდა, იღბლითაც, რის გარეშეც ხორვატიის დონის გუნდს ვერ დაამარცხებ. თემურმა ერთადერთი მართებული გადაწყვეტილება მიიღო და ხორვატიას დაცვიდან ეთამაშა, მეტოქეს სივრცეები გადაუკეტა და კოზირების გამოყენების საშუალება არ მისცა. მატჩის ბოლოს ჩვენც მოგვეცა შანსი, რომელიც ხელიდან არ გავუშვით და დაუვიწყარი გამარჯვება მოვიპოვეთ.

- ალბათ, მოედნის ბატონ-პატრონები სპლიტში ხორვატები იქნებიან.

- რა თქმა უნდა. თანაც, დარწმუნებული ვარ, ხორვატიის ნაკრები პარასკევს გაცილებით უფრო ძლიერად ითამაშებს, ვიდრე თბილისში. პირველ მატჩში ხორვატებმა საქართველოს ნაკრების ძალა სათანადოდ ვერ შეაფასეს, ახლა კი შესანიშნავად გვიცნობენ, რევანშის წყურვილი კლავთ და მოედანზე განსაკუთრებული შემართებით გავლენ. სტადიონზეც ჩვენთვის უსიამოვნო ვითარება იქნება, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ბიჭები ამ სტრესულ სიტუაციას სათანადოდ გაუმკლავდებიან. ალბათ, დამეთანხმებით, რომ ამ შეხვედრაში ჩვენთვის იდეალური და მაქსიმალური შედეგი ფრე იქნება.

- რომელ რგოლებში აქვს პრობლემები საქართველოს ნაკრებს?

- როგორც იქნა, მოიხსნა მეკარის პრობლემა, რომელიც ჩვენი გუნდისთვის მუდამ აქილევსის ქუსლი იყო. დაცვა ძალიან საიმედო გვყავს, რაზეც მიღებული გოლების რაოდენობაც კარგად მეტყველებს. ნახევარდაცვაც ეფექტურია, ერთადერთი რგოლი, სადაც პრობლემები გვაქვს, თავდასხმაა. სამწუხაროდ, ძლიერი და გამტანი ფორვარდის აშკარა დეფიციტი გვაქვს. ეს პრობლემა რომ არ გვაწუხებდეს, გაცილებით ძლიერი ნაკრები გვეყოლებოდა.

- სპლიტში ნაკრებს რამდენიმე ფეხბურთელი დააკლდება. მათი სრულფასოვანი შეცვლა თუ მოხერხდება?

- ჩემი აზრით, ლორია რევიშვილს არაფერით ჩამოუვარდება და მეკარის პრობლემა არ უნდა გვქონდეს. კობიაშვილი საქართველოს ნაკრებისთვის ბევრს ნიშნავს, მაგრამ ვფიქრობ, მისი სრულფასოვანი შეცვლაც შესაძლებელი იქნება, ისევე, როგორც სხვა ტრავმირებული ფეხბურთელებისა. საერთოდ, დღეს ისეთი ვითარებაა, რომ საქართველოს ნაკრებში შეუცვლელი არავინაა.

- რამდენად წაადგნენ ნაკრებს ახალი თაობის ფეხბურთელები?

- გუნდისთვის ისინი დიდ ძალას წარმოადგენენ. გამოვარჩევდი ჯაბა კანკავას, რომელიც დებიუტანტი არ არის, მაგრამ ნაკრებს დიდი პაუზის შემდეგ დაუბრუნდა და უმალ იქცა გუნდისთვის სასარგებლო ფეხბურთელად. დარწმუნებული ვარ, თავის სიტყვას უფრო ახალგაზრდებიც იტყვიან. ვერ დავეთანხმები იმ მოსაზრებას, თითქოს თაობები არ მოდის. მშვენიერი თაობა გვყავს და დარწმუნებული ვარ, ამ ბიჭების წყალობით საქართველოს ნაკრები მაღალი დონის გუნდი იქნება.

კახა გოგიჩაიშვილი

- ქეცბაიამ უკვე საკმაოდ ბევრი ფეხბურთელი გასინჯა. კიდევ ხომ არ გეგულებათ საიმისო რეზერვი, ნაკრებს რომ გამოადგეს?

- თემური სამართლიანი ადამიანია, სამწვრთნელო ნიჭიც აქვს და დარწმუნებული ვარ, მის თვალს არც ერთი კარგი ფეხბურთელი არ გამოეპარება. ვფიქრობ, მან შანსი ყველა საინტერესო კანდიდატს მისცა და დღეს ნაკრებში ყველაზე ღირსეულები თამაშობენ. ისიც მჯერა, რომ თუ ვინმეს თვალსაჩინო პროგრესი ექნება, ქეცბაიას არც მათი მონდომება დარჩება შეუმჩნეველი.

- როგორ აფასებთ საქართველოს ნაკრების ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრის შანსებს?

- ჯგუფში მეორე ადგილის დაკავებისა და პლეი ოფში გასვლის საკმაოდ რეალური შანსი გვაქვს, რასაც ხორვატიაში მარცხის შემთხვევაშიც კი შევინარჩუნებთ. მთავარია, საშემოდგომო მატჩები ჩავატაროთ მაღალ დონეზე და თუ იქ ქულათა მაქსიმუმს მოვაგროვებთ, დარწმუნებული ვარ, მეორე ადგილს შევნდებით.

ლევან ჯანეზაშვილი

გოცირიძე თავისუფალი აგენტია

რევაზ გოცირიძეს ქუთაისის "ტორპედოსთან" კონტრაქტი დაუსრულდა, თავისუფალი აგენტი გახდა და შეუძლია სასურველ გუნდთან მოლაპარაკება ანარმოოს.

29 ნლის გამოცდილი თავდამსხმელი თავის დროზე საქართველოს ნაკრებშიც მიუწვევიათ და ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელი და ბომბარდირი გამხდარა, მაგრამ თბილისის "ამერის" დაშლის შემდეგ მისი კარიერა ვერ აეწყო.

გასულ სეზონში ბოლნისის "სიონიდან" ისე ნამოვიდა, თავი დიდად არ გამოუჩენია, თავიდან ქუთაისის "ტორპედოშიც" არ ენდობოდნენ, მაგრამ მეორე წრეში ათი მატჩი ჩაატარა და ხუთი გოლი გაიტანა. ბოლო ტურში თბილისის "დინამოსთან" მოგებაშიც თავისი ნვლილი შეიტანა და საქართველოს თასის ფინალში ქუთათურთა მთავარი დამრტყმელი ძალა იყო. მოკლედ, "ტორპედოში" სტიმული დაუბრუნდა და ფორმა აღიდგინა.

შევიტყეთ, რომ გამოცდილი თავდამსხმელით გორის "დილა" დაინტერესდა, თავის მხრივ, ახალ კონტრაქტს ქუთაისელთა ხელმძღვანელობაც სთავაზობს, მაგრამ ჯერ უცნობია, სად გააგრძელებს კარიერას გოცირიძე.

მერაბ მამულაშვილი

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამოცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე;** ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 ნლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63;** ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435** INDEX. რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალების და ფოტოების სხვა გზით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

U 21

გაბელიას პასუხები კითხვებზე: რაზომ? რაზომ? რაზომ?

რა მოხდა ჭანტურიასთან და ვინ არ მოეწონა მწვრთნელს ავსტრიაში

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრები 23 მაისს თბილისში, სასტუმრო „ბომონდ გარდენში" შეიკრებნენ და 3 ივნისის ხორვატიასთან მატჩისთვის მზადება დაიწყეს. მთავარ მწვრთნელ ოთარ გაბელიას განკარგულებაში 27 ფეხბურთელი იყო, სრული შემადგენლობით კი გუნდი 31 მაისს შეიკრიბა.

გუნდი საგურამოში "ლოკომოტივის" ბაზაზე და თბილისში "ამერის" სტადიონზე ვარჯიშობდა. 27 მაისს "ბასაზე" ეროვნული ნაკრებთან ტესტ-მატჩში 2:3 დამარცხდა.

გუშინ ოთარ გაბელიამ პრესკონფერენცია გამართა:

- ფეხბურთელებს თავიდანვე ვუთხარით, რომ 27 კაციდან საბოლოოდ გუნდს 9 მათგანი დატოვებდა. ავსტრიულ ტურნირზე კარგად გამოჩნდა, რომ საქართველოს ჩემპიონატში საუკეთესოდ რომ ითვლებიან, ბევრ ასეთ ფეხბურთელს სანაკრებო დონეზე თამაში უჭირს. ციკლის პირველი შეხვედრა მაინც სანერვიულოა და ამიტომ უფრო იმათ ვენდობი, ვისაც მეტი სანაკრებო გამოცდილება აქვს. მაგრამ წინა ციკლიდან ასეთი 4-5 ფეხბურთელია. სამწუხაროდ, ტრავმის გამო დაგვაკლდნენ შონია და ოქრიაშვილი, ანანიძესა და ყენიაზე აღარაფერს ვამბობ. გამოძახებულთა უმეტესობას ახალგაზრდულში ოფიციალური მატჩი არც ჩაუტარებია.

... ხორვატების ორი შეხვედრა ვნახე, უნგრეთთან (3:2) და უკრაინასთან (0:2). ჩვენსავით ბრძოლისუნარიანები არიან, გამოირჩევიან ტექნიკითა და სისწრაფით. ჩემი აზრით, შეტევა უფრო ეხერხებათ, დაცვაში კი ცოტა უჭირთ. ამ ორ მატჩში ივო შუშაკმა ბევრი მოთამაშე გასინჯა, უკრაინასთან მატჩის შემდეგ 4 თუ 5 ახალი დაიმატა და არ ვიცი, საბოლოოდ შემადგენლობაში ვის დააყენებს.

ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ხორვატები მეტოქეს ამოსუნთქვის საშუალებას არ აძლევენ და მისსავე ნახევარზე ცდილობენ "მოხრჩობას". ივო შუშაკიც შეტევის მოყვარული მწვრთნელია, ისედაც მასპინძლები არიან და, ცხადია, მოგებაზე ფიქრობენ.

გარკვეული ტაქტიკური მონახაზი გვქონდა, მაგრამ ჭანტურიას ამბავმა გვაიძულა, ჩანაფიქრი შეგვეცვალა.

ოთარ გაბელია

- რატომ გაუშვით ჭანტურია? იქნებ დაუფიქრებელი ნაბიჯი ახალგაზრდული ასაკის გამო გადადგა?

- კონფლიქტი არც მოგვსვლია. თუ არ ვარ მართალი, ჟურნალისტებმა და ფეხბურთის ფედერაციამ გადანყვიტონ. არ ვიცი, ახალგაზრდული ასაკის ბრალია თუ სხვა რამის, ჩვენ არავის ვზღუდავთ, მშობლებისა და ახლობლების სანახავად ოჯახებში 2-3 საათით ისედაც გავუშვით. ჭანტურიას დიდი ბებია გარდაეცვალა და პირველად დროულად მოვიდა, მაგრამ მეორე დღეს არავინ გაუფრთხილებია, წავიდა და ღამე სასტუმროში არ მოსულა. აი, იქ დავამთავრე ლაპარაკი! მიზანშეწონლად არც ჩავთვალე რამის ახსნა, ადმინისტრატორს ვუთხარი, რომ გამოერთვა ფორმა და გაეშვა.

ახალგაზრდა კაცია და თავი უნდა მოთოკოს, თუმცა ნაკრებიდან საერთოდ კი არ მოგვიკვეთია. ვფიქრობ, აუიოტაჟი საჭირო არც არის. ნიჭიერი ბიჭია, მომავალი აქვს და ამიტომაც აიყვანეს "ვიტესში". რომ არ მომწონდეს, არც ავსტრიაში ვათამაშებდი და არც შეკრებაზე მოვიწვევდი.

მაგრამ მსგავს შემთხვევაში ნებისმიერ ფეხბურთელს ასე მოვექცეოდი. არა მგონია, ასეთი საქციელისთვის რომელიმე ფეხბურთელს თავზე ხელი გადაუსვან. ისიც კი დამაბრალეს, ჭანტურია არ მოსწონს და გუნდიდან ამიტომ გაგდო. გიჟი ვარ, უმიზეზოდ გავაგდო? ავსტრიაში მის მიმართ პრეტენზია არ მქონია, მაგრამ გუნდში მთავარი დისციპლინაა. არ მომეწონა, რომ ეწერა, ეროვნულ ნაკრებთან მატჩში ყველაზე აქტიური იყოო, სხვებმაც არნაკლებ ითამაშეს.

- მამუკა კობახიძე, გიორგი ილურიძე, თემურ შარაშენიძე რატომ არ გამოიძახეთ?

- ავსტრიაში არც კობახიძე მომეწონა და არც ილურიძე. შარაშენიძე გასულ ციკლში თურქებთან ძალიან მომეწონა, მაგრამ ავსტრიაში თავის თავს არ ჰგავდა, ეტყობა, ბოლო დროს "დიორი ეტოში" ამიტომაც აღარ ათამაშებენ. სულ სიაში 60 კანდიდატი მყავს და ყველას ვერც გამოვიძახებ.

- ხორვატიაში ქულის აღება დაგაკმაყოფილებთ?

- რატომაც არა?! მაგრამ მოსაგებად მივდივართ.

- 1990-91-წლიანთა თაობაში სერიოზული ჩავარდნაა, ნაკრებისთვის კანდიდატების შერჩევა არ გაგიძნელდათ?

- დიდი არჩევანი მართლაც არ გვაქვს. ხორვატებს კი, ორი ფეხბურთელის გარდა, სულ 1990-91 წლებში დაბადებული მოთამაშეები ჰყავთ. შუშაკმა მითხრა, ახალგაზრდული ნაკრების წინა თაობა უკეთესი იყოო, თუმცა ვეჭვობ, გულწრფელი ყოფილიყო. ხორვატებს ახლაც ძლიერი ბიჭები ჰყავთ.

გუშინ საღამოს საგურამოში ვარჯიშის შემდეგ ოთარ გაბელიამ ის შემადგენლობა დაასახელა, რომელიც ხორვატიაში გაემგზავრება.

მეკარეები: **გიორგი მაკარიძე („ლე მანი", საფრანგეთი), თორნიკე ზარქუა („დინამო" თბილისი).**

მცველები: **ივანე კანდელაკი („ოლიმპი", რუსთავი), გივი იოსელიანი (ქუთაისის "ტორპედო 2"), საბა კვირკველია („რუბინი", რუსეთი), ნიკა აფაქიძე („ბაია"), ლევან კაკუბავა („დინამო" თბილისი), დავით ხოჭოლავა („სიონი", ბოლნისი), ნიკოლოზ ჯიშკარიანი („გაგრა").**

ნახევარმცველები: **ნიკა ძალამიძე („ვიძევი", პოლონეთი), ჯამბულ ჯიღაური („დინამო" თბილისი), ზაქარია ბეგლარიშვილი („ფულორა", ესტონეთი), თორნიკე თარხნიშვილი („ტორპედო", ქუთაისი), ნიკა კვეკვესკირი („დინამო" თბილისი), ვალერი ყაზაიშვილი („სიონი", ბოლნისი).**

თავდამსხმელები: **ლევან მჭედლიძე, ირაკლი შეყილაძე (ორივე - „ემპოლი", იტალია), ირაკლი ქობალია („ბაია").**

ევრო 2013-ის შესარჩევ მატჩში ბალკანელები საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს 3 ივნისს უმასპინძლებენ. მატჩი სპლიტის სიიბლოვეს, დუგოპოლიეს სტადიონ „ჰრვატსკი ვიტეზოვიზე" თბილისის დროით 18 საათზე დაიწყება.

მერაბ მამულაშვილი

DINAMO. PRESKONFERENCIA

მარცხნიდან: ზურაბ პოლოლიკაშვილი, რომან ფიფია, ალექს გარსია

ბარსელონა და დინამო: ერთნაირი სათამაშო ფილოსოფია

იოჰან ბოსკამპი (პოლანდია), **ივო შუშაკი** (ხორვატია), **ანდრეი ჩერნიშოვი** (რუსეთი), **დუშან უჰრინი** (ჩეხეთი), **რაინერ ცობელი** (გერმანია), — დამოუკიდებელი ქართული ფეხბურთის ისტორიაში გუშინდლამდე მხოლოდ ეს ხუთი უცხოელი მწვრთნელი მოღვაწეობდა თბილისის „დინამოში". და აი, „დინამოს" მეექვსე უცხოელი მწვრთნელიც: გუშინ სასტუმრო „მერიოტში" ქართულ სპორტულ მედიას 41 წლის ესპანელი **ალექს გარსია** წარუდგინეს!

ალექს გარსია მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონი ქვეყნის, ესპანეთისა და საერთოდ, მსოფლიოს საუკეთესო კლუბის „ბარსელონას" წარმომადგენელია. იგი 10 წლის განმავლობაში კატალონიური გრანდის სხვადასხვა ასაკობრივ გუნდებს ედგა სათავეში. მისი ხელმძღვანელობით დღევანდელი „ბარსელონასა" და საერთოდ, თანამედროვე ფეხბურთის არაერთმა ვარსკვლავმა დაიწყო თამაში, უპირველეს ყოვლისა კი, **ლეო მესიმ**!

2007-09 წლებში ალექს გარსია ბარსელონას ერთ-ერთ ასაკობრივ გუნდს ავარჯიშებდა და ეს გუნდი ორჯერ გახადა ესპანეთის ჩემპიონი. ამასთან, ერთხელ „ტრიპლეტიც" შეასრულა: „ბარსელონას" მთავარი გუნდის მსგავსად მოიგო ყველა ტურნირი, სადაც მონაწილეობდა: კატალონიის ჩემპიონატი, ესპანეთის ჩემპიონატი, თასი. საქართველოში ჩამოსვლამდე ალექს გარსია „ბარსელონას" საკლუბო სტრუქტურაში, კერძოდ, კლუბის ტექნიკურ დეპარტამენტში მუშაობდა.

■ ■ ■

ჩვენი ყველაზე ტიტულიანი კლუბის ესპანელი მწვრთნელი „დინამოს" პრეზიდენტმა **რომან ფიფიამ** და კლუბის გენერალურმა დირექტორმა **ზურაბ პოლოლიკაშვილმა** წარადგინეს; აქვე იყვნენ „დინამოს" სპორტული დირექტორი **გიორგი ნემსაძე** და კლუბის სხვა მუშაკებიც.

ზურაბ პოლოლიკაშვილის თქმით, სამშაბათს „დინამოში" კიდევ ორ ესპანელ სპეციალისტს ელოდებიან: ერთ-ერთი ფიზმომზადების მწვრთნელი იქნება, მეორე კი ბავშვთა საფეხბურთო აკადემიას უხელმძღვანელებს. „დინამოს" გენერალურმა დირექტორმა სხვა სიახლეებზეც ისაუბრა და ამას, ქვემოთ შემოგთავაზებთ: მანამდე კი „დინამოს" ახალი მთავარი მწვრთნელის, ალექს გარსიას პირველ აქაურ კომენტარებს გავეცნოთ: „დინამოს" პრეზიდენტს მადლობა მინდა გადავუხადო ასეთ სახელოვან კლუბში რომ მიმიწვია. რა თქმა უნდა, კარგად ვიცი „დინამოს" ისტორია და მეც და ჩემს თანამოაზრეებსაც დიდი სურვილი გვაქვს, რომ გუნდს ძველი წარმატებები დავუბრუნოთ. ოღონდ, ამ ეტაპზე საერთაშორისო არენაზე... ტიტულების მოპოვებას ნუ მომთხოვთ, — მთავარია, ყველამ ერთად მოვინდომოთ, ამასთან დიდი იმედი მაქვს, რომ გულშემატკივრებისგანაც არ მოგვაკლდება აქტიური მხარდაჭერა.

...აქცენტს ძირთადად ახალგაზრდებზე ავიღებთ, თუმცა არც შედეგზე ფიქრს დავივიწყებთ; მართალია, აქამდე მხოლოდ ახალგაზრდულ გუნდებში მიწევდა მუშაობა, მაგრამ არა მგონია ეს პრობლემა იყოს. ისე, „ბარსელონას" ახალგაზრდულ გუნდში ლეო მესის, სესკ ფაბრეგასსა და ხერარდ პიკეს ვავარჯიშებდი, შემდეგ მეორე თაობაც წამოვიდა - სერხიო ბუსკეტსი და პედრო როდრიგესი. ყველას კარგად მოეხსენება, რომ „ბარსელონას" ყველა ასაკობრივ გუნდს ერთნაირი სათამაშო ფილოსოფია აქვს და გვინდა, ასეთივე მოდელი „დინამოშიც" დავნერგოთ.

...გასულ სეზონში „დინამოს" მიერ ჩატარებული რამდენიმე მატჩი ვნახე და ვიტყვი, რომ ძლიერი და ამბიციური გუნდის შექმნა შესაძლებელია. მთავარია, რომ ევროტურნირების დაწყებას მომზადებულნი შევხვდეთ".

ახლა კი, „დინამოს" ხელმძღვანელების, **რომან ფიფიასა** და **ზურაბ პოლოლიკაშვილისგან** გაჟღერებულ სხვა ამბებსაც გავეცნოთ: „სამშაბათს, 7 ივნისს ალექს გარსია „დინამოს" ფეხბურთელებთან ერთად ახალი სეზონისათვის მზადებას დაიწყებს. 12-23 ივნისს ავსტრია-სლოვენიაში შეკრებაზე მივემგზავრებით და ოთხ საკონტროლო მატჩს ჩავატარებთ: ჯერ ავსტრიის მეორე ლიგის წარმომადგენელს ვეთამაშებით, შემდეგ ხორვატიის თასის ფინალისტ „ვარტექსს", მერე სლოვენიის ჩემპიონ „მარიბორს" და ბოლო შეხვედრა ავსტრიის ჩემპიონ „შტურმთან" გვექნება.

...სამი კი არა, „დინამოსათვის" ორი და ერთი წელიც უტიტულოდ ყოფნა არასახარბიელო შედეგია და ახალ სეზონში „დუბლისთვის" ვიბრძოლებთ; რა თქმა უნდა, მწვრთნელის გადასაწყვეტია, თუ რომელი რგოლის გაძლიერება იქნება საჭირო.

...ტრანსფერებისათვის რა თანხა გამოიყოფა, ამას არ დავასახელებთ; შესაძლოა, მილიონი დაიხარჯოს, მაგრამ არ გვინდა, რომ „დინამო" მოკლევადიანი პროექტი იყოს; პირიქით - მაქსიმალურად შევეცდებით, ნიჭიერი ახალგაზრდები დავანინაუროთ. სხვათა შორის, „დინამოს" დუბლებშიც არაერთი გამორჩეული მონაცემის მქონე ჭაბუკი თამაშობს. ამას გარდა, დიდი სურვილი გვქონდა სხვადასხვა უცხოურ კლუბში მოასპარეზეზე ქართველი ფეხბურთელები „დინამოში" დაგვებრუნებინა, მაგრამ სხვადასხვა პრობლემას წავაწყდით: იყო ფინანსურ საკითხებშიც აზრთა სხვადასხვაობა, ზოგს საქართველოს ჩემპიონატში არ სურს დაბრუნება და ასე შემდეგ. არადა, პრიორიტეტად სწორედაც რომ ყოფილი დინამოელების დაბრუნება გვქონდა არჩეული...

... „დინამოში" უცხოელი მწვრთნელების გამოჩენა სხვა გუნდებსაც ნაადგება; ეგ კი არა, ვიცით, რომ სხვა ქართული გუნდებიც არიან დაინტერესებული უცხოელი სპეციალისტების ჩამოყვანით და ყოველივე ამან საქართველოს ჩემპიონატის დონე უნდა აამაღლოს;

... „დინამოს" ახალი მთავარი მწვრთნელის ალექს გარსიას ასისტენტად ღირსეული კადრი იმუშავებს და, თითქმის 100 პროცენტით გადაწყვეტილია, რომ ქართველი სპეციალისტი იქნება. ანუ, თვითონ მთავარ მწვრთნელსაც დასჭირდება ერთგული თანამოაზრე, აქაურობასთან სწრაფად ადაპტაციაში რომ დაეხმარება.

... ალექს გარსიას თანაშემწე გიორგი ყოლბაია იქნება. ვინც მწვრთნელსა და ფეხბურთელებს შორის ენობრივი ბარიერის პრობლემას მოაგვარებს.

... ივნისის შუა რიცხვებში თბილისში მადრიდის „ატლეტიკოს" პრეზიდენტი ენრიკო სერესო ჩამოვა. საერთოდაც, ესპანურ კლუბებთან კავშირებს ყოველმხრივ გამოვიყენებთ: მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და ჩვენი ბავშვთა გუნდების ესპანეთში საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობის კუთხითაც..."

გია ტუხაშვილი

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ფეხბურთი

● დილა. დაბრუნება

დილა იმედით იწყებს

გადათამაშებაში "სამტრედიასთან" გამარჯვებით გორის "დილა" უმაღლეს ლიგას დაუბრუნდა. გორი საქართველოს ერთ-ერთი საფეხბურთო კერა იყო, მაგრამ ბოლო ოცი წელი მიღწევებით ვერ დაიკვეხნის.

21-ე საუკუნე გუნდისთვის ცუდად დაიწყო - 2001-02 წლების სეზონში უმაღლესი ლიგიდან გავარდა, მაგრამ ერთ წელიწადში დაბრუნდა. დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში "დილას" ყველაზე დიდი მიღწევა 2004 წელს უმაღლეს ლიგაში დაკავებული მე-6 ადგილია, რის შემდეგაც გუნდმა ინტერტოტოს თასზე ითამაშა.

2008 წელს გუნდს დაფინანსებაზე უარი უთხრეს და უმაღლესი ლიგიდან პირველში დაქვეითდა. მიუხედავად იმისა, რომ იქ 2008-09 წლების სეზონში აღმოსავლეთ ზონაში მე-5 ადგილი დაიკავა, ფინანსური გარანტიების უქონლობის გამო იქიდანაც დააქვეითეს და 2009–10 წლების სეზონი მეორე ლიგის აღმოსავლეთ ზონაში იასპარეზა.

2010-11 წლების სეზონის შედეგებით "დილა" უმაღლეს ლიგას დაუბრუნდა. ამჟამად კლუბის საშინაო არენაზე, თენგიზ ბურჯანაძის სახელობის გორის ცენტრალურ სტადიონზე რეკონსტრუქცია მიმდინარეობს. გუნდში იმედოვნებენ, რომ გაჭირვება წარსულს ჩაბარდა და "დილას" კარგად დააფინანსებენ.

გია ცეცაძე: გაძლიერება არ გვაწყენდა

ახალგაზრდა მთავარმა მნვრთნელმა **გია ცეცაძემ** ახალგაზრდული და ბრძოლისუნარიანი გუნდი ჩამოაყალიბა და "დილა" უმაღლეს ლიგაში დააბრუნა.

- გილოცავთ უმაღლეს ლიგაში გადასვლას. სეზონის დასაწყისში "დილას" ასეთ წარმატებას ვერავინ წარმოიდგენდა.

- მე გუნდში მხოლოდ მეორე ნრეში მივედი. წარმატების მიღწევა ყოველთვის ძნელია, მაგრამ ბედნიერი კაცი ვარ, გორელები ასე რომ გავახარე.

- სამტრედიელებმა აღიარეს, რომ "დილამ" დამსახურებულად და დამაჯერებლად გაიმარჯვა. არადა, მოულოდნელი იყო, უმაღლესლიგელს ასე რომ ავჯობეთ.

- მე ყოველთვის მაინტერესებს, რას ფიქრობენ ჩვენს გუნდზე და მიხარია, ჩვენი გამარჯვება დამაჯერებელი თუ გეჩვენათ. უბრალოდ, მე კმაყოფილი არასოდეს ვარ და ფეხბურთელებს ყოველთვის მეტს ვთხოვ. თუმცა უმაღლესში დაბრუნებამ ძალიან გამახარა.

- უმაღლესი ლიგის საგზურის პირდაპირი გზით მოპოვებაში ხელი რამ შეგიშალათ?

- "გაგრას" და "მერანს" ვერ მოვუგეთ, ამას გარდა, უიღბლობით ხუთი ქულა დავკარგეთ. წარმატებლობა გუნდს ხშირად მორალურად ანადგურებს. მაგრამ ჩვენზე ამან დადებითად იმოქმედა, გუნდი უფრო შეკრა და მიზანსაც მივაღწიეთ.

ფეხბურთელებს ვენდობოდი და მათგანაც იგივეს ვგრძნობდი. არადა, "დილა" საკმაოდ არასასურველ პირობებში ჩავიბარე, გუნდი შეკრებაზე მე არ წამიყვანია და არც შემადგენლობა შემირჩევია. ფაქტობრივად, მოთამაშეთა გაცნობა სეზონის მსვლელობისას მიხდებოდა.

- უმაღლეს ლიგაში სათამაშოდ გაძლიერება აუცილებლად დაგჭირდებათ.

- გაძლიერებაზე "ბარსელონა" და "რეალი" არ იტყოდნენ უარს და, რა თქმა უნდა, ჩვენც ნამდვილად არ გვაწყენდა.

- როგორც შევიტყვეთ, 17-წლამდელთა ნაკრების ლიდერის, ბაჩო არაბულის დამატებას აპირებთ.

- არაბულის დამატება გვსურს, მაგრამ, სამწუხაროდ, ის ჯერ ვერ ვარჯიშობს.

- გორელებს ქუთაისის "ტორპედოდან" რევაზ გოცირიძის გადაბირებაც სურთო.

- დაახლოებით ათ დღეში გაირკვევა, სად გვექნება შეკრება და ვის დავიმატებთ, დღეს კი ამის თქმა გამიჭირდება. რა თქმა უნდა, დასამატებელი ფეხბურთელების სია შევადგინეთ, მაგრამ ეს მხოლოდ ჩვენს სურვილზე არ იქნება დამოკიდებული.

ფული იძნება

გორის "დილას" ერთ-ერთი ხელმძღვანელი **დავით ჭანტურია** დარწმუნებულია, რომ უმაღლეს ლიგაში გადასულ კლუბს ფინანსური პრობლემები არ შეექმნება.

- "დილას" შენახვის იმედი რომ არ გვქონოდა, უმაღლეს ლიგაში გადმოსვლისთვის არც ვიბრძოლებდით. თუმცა, როგორც იცით, სეზონის დასაწყისში ნამდვილად არ გვილხინდა. კლუბის დაფინანსებისთვის გამოყოფილი იყო სულ რაღაც 25 ათასი ლარი. ამის მიუხედავად, გუნდმა პირველ წრეში მესამე ადგილი დაიკავა და ლიდერებს სულ რაღაც ორი ქულით ჩამოვრჩით. ცხადი გახდა, რომ "დილას" რეალურად შესწევდა ძალა და უნარი, რათა ნლების შემდეგ რეგიონში ფეხბურთი კვლავ გაეცოცხლებინა და უმაღლეს ლიგაში დაბრუნებულიყო. საამისოდ აუცილებელი წინაპირობაც არსებობდა, გვაქვს მშვენიერი სტადიონი და საფეხბურთო სკოლა, სადაც 400-მდე ბავშვი ვარჯიშობს. მაგრამ "დილა" თუ არ გაძლიერდა, ბავშვთა საფეხბურთო სკოლის მუშაობას აზრი ეკარგება. პირველ წრეში ნაჩვენები შედეგის შემდეგ გუბერნატორი ზურაბ არსოშვილი "დილას" რეალურ პოტენციალში დარწმუნდა და მეორე წრეში საკმაოდ სერიოზული პირობები შეგვიქმნა.

- უმაღლეს ლიგაში რა თანხით გადახვედით?

- მთლიანობაში 220 ათასი ლარი გვქონდა. ბატონი ზურაბი გადათამაშების მატჩამდე შეხვდა ბიჭებს და აუხსნა, რომ მთლიანად მათზე იყო დამოკიდებული შიდა ქართლში ფეხბურთის მომავალი. "სამტრედიასთან" თუ მოვიგებდით, გუნდში სპონსორი მოვიდოდა. მაგრამ გუბერნატორი ჯერ ამ კომპანიას არ ასახელებს. ის კი ვიცით, რომ სერიოზული კომპანიაა.

"დილას" ძირითადი ბირთვი იგივე დარჩება, მაგრამ სამ-ოთხ ძლიერ მოთამაშეს აუცილებლად დავიმატებთ და საშუალო დონის გუნდი მაინც გვეყოლება პირველ ეტაპზე, მერე კი ვნახოთ.

ზურაბ არსოშვილი: დილას ჰატრონი ეყოლება

შიდა ქართლის გუბერნატორი **ზურაბ არსოშვილი** ძველი ფეხბურთელია, უთამაშია თბილისის "დინამოს" დუბლებშიც, თბილისის "არსენალში", შემდეგ კი პოლიტიკაში წავიდა.

ეტყობა, ძველმა სიყვარულმა თავი შეახსენა. თანამდებობაზე მისი დანიშვნის შემდეგ გორის "დილამ", რომელსაც ბოლო ნლებში საჭირო დაფინანსება არ ჰქონია, ამოისუნთქა, გაძლიერდა და 30 მაისს "სამტრედიასთან" გამარჯვებით (2:0) უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება მოიპოვა:

- ძალიან მიხარია, გორში დიდი ფეხბურთი რომ დაბრუნდა. ამ ქალაქს აქვს იმის პოტენციალი, უმაღლეს ლიგაში ღირსეულად რომ გამოვიდეს. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, გორში საფეხბურთო ტრადიციები რომ შევინარჩუნოთ და განვავითაროთ. გუნდმა ქართულ ფეხბურთში კუთვნილი ადგილი უნდა დაიბრუნოს და მჯერა, უმაღლეს ლიგაშიც თავის ღირსეულ სიტყვას იტყვის.

- ღირსეულ გამოსვლას დიდი ფულიც სჭირდება. გუნდის შესანახად რეგიონის ადმინისტრაცია მზად არის?

– რადგან უმაღლეს ლიგაში გადავედით, "დილას" ფინანსური პრობლემა აღარ შეექმნება. თავისთავად ცხადია, უმაღლეს ლიგაში გადასულ კლუბს სხვაგვარი დაფინანსება სჭირდება. "დილასთან" დაკავშირებით სერიოზული გეგმები გვაქვს და გუნდის დაფინანსებას ჩვენს თავზე ავიღებთ. ამას გარდა, მოლაპარაკება დაწყებულია სერიოზულ კომპანისთან და დიდი ალბათობაა, მალე გუნდს სოლიდური ჰატრონი გამოუჩნდეს.

- შეგიძლიათ დაინტერესებული კომპანია დაგვისახელოთ?

- ჯერ ვერ ვიტყვი, რომ საკითხი საბოლოოდ გადაწყვეტილია. ყველა დეტალს რომ შევათანხმებთ, მერე კომპანიის სახელსაც დაგიკონკრეტებთ და შეთანხმების დეტალებსაც.

მერაბ მამულაშვილი

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

შიდა ქართლის გუბერნატორი ზურაბ არსოშვილი (წინა პლანზე, მარჯვნივ) პლეი ოფის მატჩს თვალს ტრიბუნიდან ადევნებდა

● U15

მარცხი ვიტესთან

საქართველოს 15-წლამდელთა ნაკრები, რომელიც ჰოლანდიაში გასამართი საერთაშორისო ტურნირისთვის არნემის "ვიტესის" ბაზაზე ემზადება, ვიტესელ თანატოლებს ამხანაგურად ეთამაშა და 1:3 დამარცხდა. ქართველთაგან გოლი **ნიკა ქორიძის** ანგარიშზეა.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, **ნოდარ აკობიას** გუნდმა "ვიტესის" ბაზაზე ამ მატჩის შემდეგ კიდევ ერთი დღე გაატარა, დღეს კი ნოიეგენში გაემგზავრა. "ფორდ როლეველდის" ტურნირი იქ ხვალ დაიწყება და ჯგუფში საქართველოს ნაკრების მეტოქეები „უტრეხტი", „ვიტესი", „გენტი", „მანჩესტერ სიტი", „ნაიმეგენი", „ზენიტი" და „ერეესვიკი" იქნებიან.

ვიტ ჯორჯიამ ხუმარაშვილი გაიფორმა

გუშინ "ვიტ ჯორჯიამ" **გიორგი ხუმარაშვილს** სამწლიანი კონტრაქტი გაუფორმა. 21 წლის მცველს უკვე ორ უმაღლესლიგურ კლუბში უთამაშია – გულშემატკივარმა თბილისის "ლოკომოტივიდან" გაიცნო, წინა სეზონი კი "სამტრედიას" შემადგენლობაში გაატარა, სადაც 27 მატჩი ჩაატარა და 2 გოლი გაიტანა.

საკარაუდოდ, მალე შევიტყობთ ვეტერინართა სხვა ახალწვეულების ვინაობასაც და არც ის უნდა გამოვრიცხოთ, უახლოეს დღეებში "ვიტ ჯორჯიამ" ახალი მთავარი მწვრთნელი რომ წარადგინოს.

ლევან ჯანეზაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეტერანი



პოლ სქოულზი

სქოულზის შესახებ

მოგეხსენებათ, „მანჩესტერ იუნაიტედის“ ნახევარმცველმა, 36 წლის **პოლ სქოულზმა** ფეხბურთის თამაშს თავი დაანება, **უეინ რუნიმ** კი თქვა, მისი ბადალი ფეხბურთელის მხარდამხარ ცხოვრებაში არ მითამაშიაო. სქოულზი მოკრძალებულ კაცად არის ცნობილი, კამერების წინაშე გამოჩენას ყოველთვის ერიდება, ასეთი ბუნების ადამიანისთვის კი ის დღე, როდესაც მან ფეხბურთიდან წასვლის შესახებ გამაცხადა, მეტად უხერხული და შემაწუხებელი იქნებოდა. 17-წლიანი კარიერის დასრულების შემდეგ (ამ ხნის განმავლობაში ის ათჯერ გახდა პრემიერლიგის ჩემპიონი და ორჯერ ჩემპიონთა ლიგაში გაიმარჯვა) მას სამწვრთნელო საქმეზე მოუწევს ყურადღების გამახვილება.

რუნიმ თქვა: „ის ძალიან დაგვაკლდება. პირდაპირ შემიძლია ვთქვა, რომ პოლი საუკეთესო ფეხბურთელია მათ შორის, ვის მხარდამხარაც მითამაშია. ვცადე მეკითხა, რატომ ანებებს ფეხბურთის თამაშს თავს, მაგრამ ლაპარაკი არ უყვარს და ბევრს ვერ ათქმევინებ. ნამდვილად არ მეგონა, ასე მოულოდნელად თუ წავიდოდა. მისმა გადაწყვეტილებამ ყველა დაამწუხრა. ის უდიდესი ფეხბურთელი იყო“.

თუმცა, ყველაფერს აქვს დადებითი მხარე. მაგალითად, ვარჯიშებზე რუნის ხელმეორედ ერთად ერბოდა ბურთს, მაგრამ ხშირად ამას ვერ ახერხებდა. ჩემკენ წამოსულს რომ დავინახავდი, ვცდილობდი გავრიდებოდი“.

პოლ სქოულზმა „მანჩესტერ იუნაიტედის“ შემადგენლობაში 676 შეხვედრა ჩაატარა და 150 გოლი გაიტანა. ახლა, მისი ფეხბურთიდან წასვლის შემდეგ, „1992 წლის გამოშვების“ ბიჭებიდან ერთადერთი 37 წლის ბრაიან გიგზიღა დარჩა გუნდში. სქოულზი „იუნაიტედის“ ბავშვთა სკოლაში 14 წლისა მივიდა, პირველი „დიდი“ შეხვედრა კი 1994 წელს ჩაატარა.

ინგლისის ნაკრებში თამაშზე სქოულზმა 2004 წელს თქვა უარი. ის მისთვის უჩვეულო პოზიციაზე თამაშმა დაღალა. 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის წინ **ფაბიო კაპელომ** მისი ეროვნულ გუნდში დაბრუნება სცადა, მაგრამ ნახევარმცველმა უარი უთხრა. მოგვიანებით მან პრესასთან ლაპარაკში აღნიშნა, რომ ეს უარი ინანა.

სერ **ალექს ფერგიუსონი**: *„ჩვენ წარმოუდგენელი სიდიდის ფეხბურთელს ვკარგავთ. პოლი გუნდისთვის თავდადებული ფეხბურთელი იყო და ბედნიერი ვარ, ჩვენთან მწვრთნელად რომ რჩება. მას ერთი გამოკვეთილი თვისება ჰქონდა — ნებისმიერი ასაკის ფეხბურთელს საბრძოლველად განაწყობდა და აღაფრთოვანებდა. დარწმუნებული ვარ, რომ ამას ახალ ამპლუაშიც შეძლებს“.*

დღეს, როდესაც პოლ სქოულზი მოქმედი ფეხბურთელი აღარ არის, იხსენებენ იმ წლებს, როდესაც ნახევარმცველთა შორის ჰოლანდიელი **ედგარ დავიდსი** გამოირჩეოდა. ერთხელ დავიდსს უთხრეს, რომ ის მსოფლიოში საუკეთესოა, რაზეც მან უპასუხა: *„მსოფლიოში საუკეთესო მე არ ვარ, პოლ სქოულზია“.*

ფეხბურთის ისტორიაში ყველა დროის ერთ-ერთმა საუკეთესო ფეხბურთელმა **ზინედინ ზიდანმა** თავის დროზე ასე თქვა: *„ჩემი ყველაზე უხერხული მოწინააღმდეგე პოლ სქოულზია. ის მრავალმხრივ გამორჩეული ნახევარმცველია, სრულყოფილია, თაობის ერთ-ერთი უძლიერესი წარმომადგენელი გახლავთ“.*

თანამედროვეობის ერთ-ერთმა უნიჭიერესმა ნახევარმცველმა, ბარსელონელმა **ჩავიმ**, რომელსაც სქოულზმა შაბათს, „უემბლიზე“, ჩემპიონთა ლიგის ფინალის დამთავრების შემდეგ მაისურა გაუცვალა, კოლეგა ასე შეაფასა:

„სქოულზი საუკეთესო ცენტრალური ნახევარმცველი იყო მათ შორის, ვისი თამაშისთვისაც თვალი მიდევნებია. ის ყველაზე სრულყოფილი გახლდათ. მას საგოლე პასის გადაწოდება შეეძლო და გატანაც, ფიზიკურად ძლიერი იყო და ბურთს იოლად არ თმობდა. ესპანელი რომ ყოფილიყო, უფრო დააფასებდნენ“.

ვესტ ჰემი

სემი დააბრუნებს

56 წლის ინგლისელი მწვრთნელი, **სემ ელერდაისი** ახალი ამოცანის წინაშე დგას - „ვესტ ჰემი“ პრემიერლიგაში უნდა დააბრუნოს. „დიდი სემი“ დარწმუნებულია, რომ ამას მანამდე შეძლებს, სანამ „ჩაქუჩებს“ ახალ ბინაში, „ოლიმპიურ სტადიონზე“ გადასახლების დრო მოუვათ. ამრიგად, „ვესტ ჰემის“ პატრონებსა და „ნიუკასლისა“ და „ბლექბერნის“ ყოფილ თავკაცს შორის ყველაფერი გარკვეულია. ელერდაისი ახალ გუნდში ორ წელიწადს დაყოფს. ამ ხნის განმავლობაში ის ხელფასად 3 მილიონ ფუნტს მიიღებს. ამის გარდა გათვალისწინებულია დიდძალი პრემიაც.



სემ ელერდაისი

„ვესტ ჰემის“ ახალმა თავკაცმა, რომელიც ამჟამად ესპანეთში ისვენებს, შემოთვალა:

„ახლა ოჯახთან ერთად ვისვენებ, მაგრამ, როგორც კი დავბრუნდები, საქმეს შევუდგები. ახალი გავარდნილი გუნდის გონზე მოყვანა ყოველთვის ძნელია, თუმცა მე ყველა ღონეს ვიხმარ, რათა „ვესტ ჰემი“ პრემიერლიგაში რაც შეიძლება სწრაფად დავაბრუნო“.

ცნობილი გახდა, რომ „ჩაქუჩების“ მეპატრონეებმა, **დევიდ გოლდმა** და **დევიდ სალივანმა** ელერდაისს ფეხბურთელების გაყიდვა არ დააძალეს, უთხრეს, რომ მას შეუძლია ყველა დაიტოვოს. ეს იმას ნიშნავს, რომ „ვესტ ჰემის“ გუნდში დარჩება იანვარში შეძენილი 26 წლის სენეგალელი **დებმა ბა**. „დიდი სემი“ დარწმუნებულია, რომ ბა, რომელმაც გასულ სეზონში 7 გოლი გაიტანა, პრემიერლიგაში დაბრუნების საქმეში გადამწყვეტ როლს ითამაშებს, თუმცა მანამდე სენეგალელს ხელს შეუწყობენ, რომ ბოლომდე გამოჯანმრთელდეს - აქამდე მას ნიჭის სრულყოფილად გამომჟღავნების საშუალებას მოუშუშებელი ტრავმა არ აძლევდა. საერთოდ, ელერდაისი ცნობილია, როგორც მწვრთნელი, რომელიც სამედიცინო წვრილმანებს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს და ფეხბურთელებს ექსპლოატაციას კი არ უწევს, პირიქით, მათ ჯანმთელობას ეზუბავს.

დეკემბერში, როდესაც სემ ელერდაისი „ბლექბერნიდან“ უსამართლოდ გაუშვეს, დაირხა ხმა, თითქოს ის საკლუბი ფეხბურთში მოლვაწეობას თავს ანებებდა, მაგრამ ამ ხმამ წესიერად გავრცელებაც კი ვერ მოასწრო, რომ „ვესტ ჰემმა“ ინტერესი გამოამჟღავნა. გეხსომებათ, „ვესტ ჰემს“ **ავრამ გრანტის** გაშვება და მის ნაცვლად ახალი მწვრთნელის მიყვანა ზამთარშივე უნდოდა, მაგრამ შემდეგ სეზონის ბოლომდე დაცდა ამჯობინა. „ჩაქუჩები“ ელერდაისის კანდიდატურასთან ერთად **მარტინ ო'ნილის** კანდიდატურასაც განიხილავდნენ.

„ბლექბერნიდან“ გაშვებული ელერდაისი ბოლო დრომდე ტელევიზიაში ექსპერტად მუშაობდა. გაზეთები წერენ, რომ კარგი იქნებოდა, „დიდი სემის“ კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი პრემიერლიგის გუნდში მონყობილიყო, მაგრამ იმასაც დასძენენ, რომ თუ „ვესტ ჰემის“ პატრონები მას ხელს შეუწყობენ, არც პრემიერლიგის ამბავი გადაიდება ძალიან შორს. ლონდონის ისტ ენდზე სემს მისი ბლექბერნისდროინდელი თანამშემწე **ნილ მაკდონალდი** შეუერთდება.

ელერდაისის „ვესტ ჰემში“ დანიშვნას „ნიუსტეიტ“ ყოფილი მცველი და დღეს ტელეფურნალისტი **სკოტ მინტო** გამოეხმაურა. მან თქვა:

„სემი დიდებული არჩევანია. ამ კაცმა ძალიან კარგად იცის, როგორ უნდა გადაიყვანოს გუნდი პრემიერლიგაში და როგორ დატოვოს იქ. დღეს „ვესტ ჰემს“ ყველაზე მეტად სტაბილურობა სჭირდება. რაც კლუბს სათავეში გოლდი და სალივანი ჩაუდგნენ, „აპტონ პარკს“ სწორედ სტაბილურობა აკლია“.

ინგლისის ნაკრები

ციკი ომის დასასრული

ციკი ომი ინგლისის ნაკრების ცენტრალურ მცველ **რიო ფერდინანდსა** და იტალიელ მწვრთნელ **ფაბიო კაპელოს** შორის დამთავრდა. თავკაცმა და 32 ნლის ვეტერანმა ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს. კონფლიქტის მიზეზი გეხსომებათ: კაპელომ ფერდინანდს კაპიტნობა ჩამოართვა, რათა ის **ჯონ ტერისთვის** დაებრუნებინა. თან, ეს ამბავი მეტად უხერხულად მოხდა - ფერდინანდი იმხანად დაშავებული იყო, კაპელომ კი არც დაურეკა - ფეხბურთელმა სამკლავურის ჩამორთმევის ამბავი გაზეთებიდან შეიტყო.

რიო ფერდინანდი

მწვრთნელსა და ფეხბურთელს ურთიერთობის გარკვევა ამ ამბიდან მალევე შეეძლოთ, როდესაც ერთ-ერთ თამაშზე, „ოლდ ტრეფორდის“ ლოჟაში, თითქმის გვერდიგვერდ მოხვდნენ, მაგრამ მათ ერთმანეთისკენ არც კი გაუხედავთ. და აი, ახლა კაპელო და ფერდინანდი მას მერე პირველად შეხვდნენ ერთმანეთს. ეს შეიცარიასთან შესარჩევი შეხვედრის წინ, ჰერტფორდშირში, „გროუვ ოტელში“ მოხდა, სადაც ინგლისელები დაბანაკდნენ.

ფერდინანდმა ჟურნალისტებისა და ფოტორეპორტიორების წინაშე ხაზი გაუსვა, რომ გუნდის დანარჩენ წევრებთან, მათ შორის ტერისთანაც მეგობრული ურთიერთობა აქვს. ის ხუმრობდა და ყველასთან ახლობლობას ამყარებდა. გუნდთან ერთად იყო „ვესტ ჰემის“ 31 ნლის მეკარე **რობერტ გრინიც**. მოგეხსენებათ, ის განსასთან ამხანაგურ შეხვედრაში სათადარიგოთა სკამზე დასვეს, რაც ოუკადრისა და ნაკრებიდან წასვლითაც კი დაიმუქრა. ინგლისის ნაკრების ხელმძღვანელობას ბოლო წამამდე არ ჰქონდა იმედი, რომ შვეიცარიასთან შეხვედრაში გრინი გუნდს დაეხმარებოდა, მაგრამ გოლკიპერმა გადაწყვეტილება შეცვალა. მიზეზი: ფულჰემელ **დევიდ სტოკდეილს** პარასკევს ცოლი მოჰყავს და სათადარიგოთა სკამზე ვინმე ხომ უნდა ყოფილიყო?

რაც შეეხება „მანჩესტერ იუნაიტედის“ ნახევარმცველ **მაიკლ ქერიკს**, მისი თამაში სათუოა — გასულ შაბათს, ჩემპიონთა ლიგის ფინალში ბარსელონელებმა ფეხი ატკინეს. ქერიკი ეროვნული გუნდის შეკრებაზე კი ჩავიდა, მაგრამ ვარჯიშს მოედნის კიდიდან ადევნა თვალი. მას მტკივან ადგილას სურათი გადაუღეს და პასუხს ელიან.

მწვრთნელის ძიებაში

ვილას ფაკორიტი

„ასტონ ვილას“ ახალი მწვრთნელი სჭირდება და, რამდენადაც ცნობილი გახდა, კლუბისთვის სასურველ კანდიდატთა სიის სათავეში 47 ნლის უელსელი **მარკ ჰიუზი** წერია. მოგეხსენებათ, ჰიუზი, ბოლო სეზონში „ფულჰემს“ ედგა სათავეში, მაგრამ, დასავლეთლონდონელებთან კონტრაქტის განახლება ვერ მოახერხა. მის გარდა, იმავე სიაში, ბირმინგემელებს „ევერტონის“ თავკაცი **დევიდ მოიესი**, „ჩელსიდან“ ახალგაგდებული იტალიელი **კარლო ანჩელოტი**, „ლივერპულის“ ოდინდელი შეფი, ესპანელი **რაფა ბენიტესი** და „ტოტენჰემში“ მუშაობით სახელგანთქმული, „აიაქსის“ ჰოლანდიელი მწვრთნელი **მარტინ იოლიც** უნერიათ.

„ასტონ ვილას“ მწვრთნელის შეცვლის პრობლემა იმიტომ დაუდგა, რომ 63 ნლის ფრანგ სპეციალისტ **ჟერარ ულიეს** ექიმებმა მუშაობა აუკრძალეს. მათ თქვეს, რომ თუ ის ძველებურ ცხოვრებას განაგრძობს, დიდი შანსია გულის შეტევა გაუმეორდეს. ამის მიუხედავად, თავად ულიე მაინც აპირებდა საქმეში დაბრუნებას, ამბობდა, რომ ამ კვირაში „ვილას“ საწვრთნელ ბაზაზე მივიდოდა, მაგრამ ბირმინგემელთა პატრონებმა მის ოჯახთან კონსულტაციის შემდეგ ფრანგი დაიყოლიეს. აქვე, ისიც უნდა ითქვას, რომ „ვილა პარკზე“ ულიეს რვათვიანი მოღვაწეობა მაინცდამაინც წარმატებული არ ყოფილა. ერთი სიტყვით, „ლივერპულის“ ყოფილი თავკაცი, რომელმაც „ასტონ ვილას“ სათავეში, სექტემბერში, **მარტინ ო'ნილი** შეცვალა, საკომპენსაციო თანხის ამბავს გაარკვევს და გზას ეწევა.

რა თანხა შეიძლება გააყოლოს ულიემ ხელს? მისი კონტრაქტი „ასტონ ვილასთან“ სამნლიან თანამშრომლობას ითვალისწინებდა და ამ დროის განმავლობაში მწვრთნელს 8 მილიონი ფუნტი უნდა მიეღო. ხელშეკრულებაში შეტანილი იყო სამედიცინო პუნქტიც და ყველაფერი ეს ერთად, თურმე იმას ნიშნავს, რომ გაშვების შემთხვევაში ულიეს 2,5 მილიონი ფუნტი ერგება. თუმცა, არ არის გამორიცხული, რომ „ასტონ ვილამ“ ყოფილ მწვრთნელთან თანამშრომლობა ახალი ფორმით გააგრძელოს.

მარკ ჰიუზი

ბუნებრივია, საფეხბურთო დირექტორობასა და მსგავს, დიდი დატვირთვის შემცველ თანამდებობებზე აქ ლაპარაკი არ არის, მაგრამ, როგორც ამბობენ, მრჩეველობას წინ არაფერი უდგას. უერარ ულიე ხომ ინგლისური და ევროპული ფეხბურთის უბადლოდ მცოდნე, გამოცდილი სპეციალისტია.

საკუთარი მომავალი აქვთ გასარკვევი ულიეს თანაშემწე **გარი მაკალისტერს**, ფიზიკური მომზადების მწვრთნელ **რობერ დიუვერნს** და პირველი გუნდის მწვრთნელ **გორდონ კოუენსს**.

„ასტონ ვილას“ ქომაგებს ულიეს პერიოდი დაამახსოვრდებათ, როგორც რთული, სანერვიულო სეზონი, რომლის მთავარი ამბავი იანვარში, „სანდერლენდიდან“ 27 ნლის თავდამსხმელის, **დარენ ბენტის** ყიდვა გახლდათ. სწორედ ბენტის 24 მილიონ ფუნტად შეძენის შემდეგ გამოსნორდა საქმე და მისი გოლების წყალობით „ვილამ“ პრემიერლიგაში ადგილი შეინარჩუნა. ულიეს საწვრთნელმა მეთოდებმაც გაზაფხულისკენ უფრო გამოიღეს შედეგი. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ ფრანგ მწვრთნელს გუნდში დისციპლინის დამყარებაც დასჭირდა. რამდენჯერმე კონფლიქტში შესვლაც მოუხდა. ამბობენ, რომ განსაკუთრებით ცენტრალურ მცველებთან, **რიჩარდ დანისა** და **ჯეიმს კოლინზთან** გაუმწვავდა ურთიერთობა, თუმცა, საბოლოოდ მოთამაშეებს ახალ რეჟიმთან შეგუება მოუხდათ.

გვერდი მოამზადა

ილია ბაბუნაშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

● მოსაზრება

კარლო ანჩელოტი რომაზე, მილანსა და ლიგის ფინალზე

კარლო ანჩელოტი იტალიურ პრესაში კიდევ უფრო აქტუალური პერსონა გახდა, რადგან "ჩელსიდან" წამოსვლის შემდეგ, სავარაუდოდ, სამშობლოში გააგრძელებს სამწვრთნელო საქმიანობას. ყველაზე ძვირად მისი "რომას" მთავარ მწვრთნელად დანიშვნის შანსები ფასობს და ამის შესახებ იტალიური მედია სულ უფრო და უფრო ინტენსიურად საუბრობს. ანჩელოტის "კორიერე დელო სპორტის" ჟურნალისტი გაესაუბრა და თანაც, რამდენიმე მეტად საინტერესო საკითხზე. დანარჩენზე ქვემოთ...

კარლო ანჩელოტი

რომა

სიმართლე არ გამომივა, გითხრათ, რომ "რომას" მთავარ მწვრთნელობაზე არ ვფიქრობ, მაგრამ არც ისეა საქმე, მოლაპარაკებებში ვარ ჩაბმული და დღე-დღეზე კონტრაქტს გავაფორმებ. ჯერ ერთი, "ჯალოროსის" ჰყავს მწვრთნელი და თანაც, ძალიან ნიჭიერი. ვინჩენცო მონტელას მუშაობას ვაკვირდებოდი და მინდა ვთქვა, რომ უნარიანად გაუძღვა გუნდს. შესაძლოა, შედეგები მაქსიმალურად კარგი არ ჰქონდა, მაგრამ ამის მოთხოვნა არც იქნებოდა სწორი. ვნახოთ, თუ "რომას" მესვეურებმა მაინც გადაწყვიტეს მონტელასთან თანამშრომლობის განაგრძობა, აი, შემდეგ კი შეიძლება იმაზე რეალურად საუბარი, რომ შესაძლოა დედაქალაქური გუნდი ჩავიბარო.

რას შევცვლიდი "რომაში"? – "რომა" უკვე დიდი ხანი იბრძვის მაღალი მიზნებისთვის, მაგრამ ბოლო მომენტში ყოველთვის რაღაც აკლდება. ჩემი აზრით, ორი-სამი ისეთი ფეხბურთელის გადაბირებაა საჭირო, რომლებსაც გამარჯვებულის მენტალიტეტი და დიდი წარმატებები სისხლში აქვთ გამჯდარი. შემდეგ უკვე შეიძლება ტექტიკურ და სტრატეგიულ საკითხებზე საუბარი, მაგრამ თავს შევიკავებ, რადგან არ მინდა სხვის, ამ შემთხვევაში ვინჩენცო მონტელას კომპეტენციაში ჩავერიო.

მილანი

"მილანის" თამაშს უდიდესი ყურადღებით ვადევნებდი თვალს და ძალიან გამიხარდა, რომ ხანგრძლივი პაუზის შემდეგ გუნდი კვლავ გახდა იტალიის ჩემპიონი. ორი აზრი არის, რომ ეს დიდნილად მთავარი მწვრთნელის, მასიმილიანო ალეგრის დამსახურებაა. მან ახალი იდეები დაამკვიდრა გუნდში, საინტერესო კონტინგენტი შეკრიბა და შედეგიც უმაღლესი მიიღო. ამასთან, გამოჩნდა, რომ ერთსახოვან სპეციალისტთა კატეგორიას არ მიეკუთვნება და ყველაზე რთული ვითარებიდანაც კი შეუძლია გამოსავლის მოძებნა.

გახსოვთ ალბათ, სეზონის პირველ ნახევარში აქცენტი ზლატან იბრაჰიმოვიჩზე გაკეთდა – შვედმაც ჩვეულად ითამაშა, უმნიშვნელოვანესი გოლები გაიტანა და "როსონერის" წინ გაჭრაში უდიდესი წვლილი შეიტანა. თუმცა, შემდეგ გარკვეული პრობლემები შეექმნა, რასაც დისკვალიფიკაციები დაერთო თან და ნათელი გახდა, რომ ალეგრის რაღაც სხვა უნდა მოეფიქრებინა. მისდა სახელოდ უნდა ითქვას, რომ ამოცანას თავი კარგად გაართვა და "როსონერის" არ დატყობია ლიდერის დანაკლისი.

ერთი სიტყვით, ალეგრის მუშაობას მაღალ შეფასებას ვაძლევ და ვფიქრობ, რომ დიდია შანსი, "მილანის" ისტორიაში ახალი ერა დაინყოს. საერთოდ, ყველა გუნდს თავისი კულტურა აქვს, "როსონერის" ისტორია კი მეტწილად დიდი ეპოქებისგან შედგება, რომლებიც მწვრთნელების სახელებს უკავშირდება. გავიხსენოთ თუნდაც არიგო საკის და ფაბიო კაპელოს დროინდელი გუნდები, რომლებმაც წარუშლელი კვალი დატოვეს ფეხბურთის ისტორიაში.

სატრანსფერო ბაზარი

ზაფხულში მოსანყენად ნამდვილად არ გვეცლება, რადგან საინტერესო ტრანსფერების მოლოდინში ვარ. ძალიან მაინტერესებს როგორ მოიქცევიან "უდინეზეს" მესვეურები და შეელევიან თუ არა წამყვან ფეხბურთელებს. ალექსის სანჩესის ფასი 40-45 მილიონი ევროს ფარგლებში მერყეობს და ვფიქრობ, რომ ამ თანხას რომელიმე ინგლისური გუნდი შესწვდება - თუმცა, მთავარი სიტყვა მაინც უდინელებმა უნდა თქვან და ვნახოთ, რას გადაწყვეტენ. ძალიან მომწონს ხავიერ პასტორე, რომელმაც იტალიის თასის ფინალშიც დაამტკიცა, რომ ძალიან ნიჭიერი ფეხბურთელია. რაღაცით კაკას მაგონებს, რომელიც ჩემი ფორმაციის "მილანში" ბრწყინავდა. მასსავით სწრაფად გარბის ბურთიანად და მოედნის შესანიშნავი ხედვა აქვს, ამასთან, კარში დარტყმაც კარგად გამოსდის. ვფიქრობ, რომ "პალერმოს" მესვეურები არაერთ წინადადებას მიიღებენ ხავიერთან დაკავშირებით და დიდია შანსი, ცდუნებას ვერ გაუძლონ.

მომწონს "იუვენტუსის" პოლიტიკა, რადგან ამ გუნდმა კრეატიული ფეხბურთელების შეძენაზე გააკეთა აქცენტი. ანდრეა პირლოს გადაბირება ამის ნათელი დადასტურებაა და მგონია, რომ ექსმილანელი ტურინში საუკეთესო თვისებებს გამოავლენს. საუბარია სებასტიან ჯოვინკოს დაბრუნებასა და ჯუზეპე როსის გადაბირებაზე - თუ ერთ-ერთი გარიგება მაინც შედგა, "იუვეს" შეტევითი პოტენციალი მნიშვნელოვნად გაიზრდება.

ჩემპიონთა ლიგის ფინალი

"ბარსელონა"-"მანჩესტერის" შეხვედრას, რა თქმა უნდა, ვუყურე და დიდი სიამოვნებაც მივიღე. საერთოდ, მგონია, რომ თუ გაქვს საშუალება კატალონიელთა თამაშს უყურო, ეს შანსი ხელიდან არ უნდა გაუშვა. პეპ გვარდიოლამ ეპოქალური გუნდი შექმნა, რომელიც დარჩება ფეხბურთის ისტორიას და უკვე შეიძლება ითქვას, რომ დარჩა კიდეც. რაც არ უნდა პარადოქსულად ყღერდეს, "მანჩესტერმა" ერთ-ერთი საუკეთესო შეხვედრა ჩაატარა სეზონში და მიუხედავად ამისა, უშანსოდ წააგო.

ჰქონდა თუ არა შანსი "მანჩესტერს"? - ალექს ფერგიუსონმა კარგად იცოდა, რომ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში "ბარსას" შემტევი სტილით დამარცხება ვერც ერთმა გუნდმა ვერ შეძლო. წარსული გვიჩვენებს, რომ მცირე, მაგრამ მაინც შანსი კატალონიელებთან მაშინ გაქვს, თუ კი დაცვაში ჩაჯდები და კონტრშეტევებზე ითამაშებ. "მანჩესტერის" ფილოსოფია შეტევაა და ფერგიუსონიც დიდ საგონებელში ჩავარდა - გაეწია ანგარიში ბოლო სამი წლის სტატისტიკისთვის თუ არ გადაეხვია საკუთარი პრინციპებისთვის. სერ ალექსმა მეორე აირჩია და დამარცხდა ისე, როგორც სხვა ყველა დანარჩენი.

ლაშა ნიკლაური

● კატანია

დიეგო სიმეონე

სიმეონე კუნძულს ტოვებს

დიეგო სიმეონემ „კატანია" იანვრის შუა პერიოდში ჩაიბარა და გუნდის სერია A-ში დატოვება მოახერხა. თუმცა, სიცილიელთა პოზიციები ისედაც არ იყო ძალიან მძიმე და გამომდინარე აქედან, არგენტინელს გაწეული სამუშაო საგმირო საქმედ არ ჩაუთვალეს. დასრულდა თუ არა სეზონი, დაირხა ხმები იმის შესახებ, რომ სიმეონეს კუნძულის დატოვება მოუხდებოდა, ამიტომ თავადვე მოითხოვა კლუბის მესვეურებთან შეხვედრა, რათა ყველაფერი კარგად გაერკვია.

„გაძეტა დელო სპორტის" ცნობით, არგენტინელი სპეციალისტი „კატანიას" სპორტულ დირექტორს, **პიეტრო ლო მონაკოს** შეხვდა, შემდეგ კი საკმაოდ ვრცელი კომენტარი გააკეთა: „მომდიოდა ხმები იმის შესახებ, რომ ჩემს გათავისუფლებას აპირებდნენ და ამად გადავწყვიტე კლუბის მესვეურებთან შეხვედრა. სიმართლე გითხრათ, სურვილი მქონდა სიცილიაში დარჩენის, თუმცა ლო მონაკოსთან შეხვედრის შემდეგ წასვლის გადაწყვეტილება მივიღე.. მართალია, არ უთქვამს უნდა წახვიდეო, მაგრამ არც ნდობის მანდატი მომცა, მე კი სხვაგვარად მუშაობა, უბრალოდ, ვერ წარმომიდგენია. მინდა წარმატებები ვუსურვო მემკვიდრეს, მე კი მოვნახავ ჩემს გზას".

„გაძეტას" ცნობით, სიმეონეს სამსახურით არაერთი არგენტინული და ევროპული გუნდია დაინტერესებული, განსაკუთრებული აქტიურობით კი „ესტუდიანტესი" და მადრიდის „ატლეტიკო" გამოირჩევიან.

ლაშა ნიკლაური

● იუვენტუსი

დელ პიერო კონტემ გააახარა

ალესანდრო დელ პიერო

გუშინდელ ნომერში გამცნეთ, რომ **ანტონიო კონტემ** ორწლიან ხელშეკრულებას მოაწერა ხელი და ოფიციალურად გახდა „იუვენტუსის" მთავარი მწვრთნელი. ეს ამბავი იტალიურ სპორტულ პრესაში მეტად აქტუალურია და შესაბამისად, ჩვენც გვიწევს ყურადღების გამახვილება. „კორიერე დელო სპორტის" ჟურნალისტი **ალესანდრო დელ პიეროს** დაუკავშირდა და მას მცირე კომენტარი ჩამოართვა:

„პირველ რიგში, ლუიჯი დელ ნერის მინდა გადავუხადო დიდი მადლობა, რომელმაც ბევრი რამე გააკეთა გუნდისთვის და თავი ნამდვილად არ დაუზოგავს. რაც შეეხება კონტეს, მას ძალიან ახლოს ვიცნობ და ბედნიერი ვარ, რომ ერთად მუშაობის საშუალება მოგვეცა. ნიჭიერი მწვრთნელია, ეს უკვე არაერთხელ დაამტკიცა და მჯერა, რომ „იუვენტუსში" დიდ და წარმატებულ ეპოქას დაუდებს სათავეს. მოკლედ, კეთილი იყოს შენი მობრძანება ანტონიო..."

ლაშა ნიკლაური

● ესპანური ამბები

ვან გოლი მალაგასთვის გაიტანს

გუშინ „მალაგამ" მნიშვნელოვანი შევსება მიიღო - ჰოლანდიელი ფორვარდი **რუუდ ვან ნისტელროი**. გუშინ ის ანდალუსიაში ჩავიდა და ბოსმანის წესით „მალაგას" წევრი გახდა. შეგახსენებთ, რომ ბოლო სეზონში ვან ნისტელროი „ჰამბურგის" ღირსებას იცავდა. ეს „მალაგას" მფლობელ **შეიხ ალ-ტანის** პირველი შენაძენია მომავალი სეზონისთვის. წუხელ „ვან გოლი" მალაგაში სამედიცინო შემოწმებას გადიოდა.

დიდი ხანია ცნობილია, რომ „რეალის" ყოფილ ფორვარდს პრიმერადივიზიონში დაბრუნება სურდა. ის კი არა, სეზონის შუაში „რეალს" ფორვარდი დასჭირდა და „ჰამბურგს" მიმართა. მაშინ ვან ნისტელროი ბავშვივით აღტაცებული არიგებდა ინტერვიუებს და უხაროდა, რომ მადრიდში მიდიოდა, თუმცა „ჰამბურგის" ხელმძღვანელობამ ეს ტრანსფერი ჩაშალა. 34 წლის ფორვარდს ყველაზე დიდი აღიარება „მანჩესტერ იუნაიტედში" თამაშმა მოუტანა.

მწვრთნელები მალე

მადრიდის „ატლეტიკოს" სპორტულმა დირექტორმა **ხოსე კამინერომ** განაცხადა, რომ გუნდს 10 დღეში ეყოლება ახალი მწვრთნელი. შეგახსენებთ, რომ სეზონის ჩამთავრებასთან ერთად **კიკე სანჩეს ფლორესს** კონტრაქტი დაუსრულდა „ატლეტიკოსთან" და მას ახალი აღარ შესთავაზეს. „მოგეხსენებათ, მწვრთნელი ნებისმიერი პროექტის წარმატების საფუძველია. ამიტომაც სწორ შერჩევას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. ჩვენ ზუსტად *10* დღე გვჭირდება", - განაცხადა კამინერომ პრესკონფერენციაზე.

უფრო მალე გაირკვევა, ვინ უხელმძღვანელებს „სევილიას". ანდალუსიური კლუბის პრეზიდენტმა **ხოსე მარია დელ** ნიდომ საამისოდ მედიას 48 საათი სთხოვა. ამ შემთხვევაშიც გუნდის თავკაც გრეგორიო მანსანოს ხელშეკრულება დაუსრულდა „სევილიასთან" და კლუბმა არ ინება მანსანოსთან თანამშრომლობის გაგრძელება.

შეგახსენებთ, რომ ეს კლუბები ევროპის ლიგაზე იასპარეზებენ. „სევილიამ" მე-5 ადგილი დაიკავა, „ატლეტიკომ" - მეშვიდე, თუმცა ერთნაირი ქულებით დაასრულეს ჩემპიონატი.

გუაიტა 2015-მდე

„ვალენსიას" 24 წლის გოლკიპერმა **ვისენტე გუაიტამ** „ღამურებთან" 2015 წლამდე გააგრძელა ხელშეკრულება. გუაიტამ სეზონი მესამე მეკარის სტატუსით დაიწყო, თუმცა **სესარსაც** აჯობა და **მოიასაც**. გაისად უკვე გუაიტა „ვალენსიას" ძირითადი მეკარე იქნება. „მობარული ვარ, ვერც კი წარმომიდგენია „ვალენსიას" დატოვება", - განაცხადა გუაიტამ ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

● არგენტინა. კლაუსურა. XVI ტურის მიმოხილვა

ბოლო ტურამდე ჩემპიონს ვერ ვნახავთ

რივერი და კატასტროფა

კოლონი-არხენტინოსი	**1:2**

გოლები: 0:1 ბლანდი (21), 0:2 ნიელი (64), 1:2 მორენო (72)

გაძევება: ბასუალდო (74. არხენტინოსი)

სან ლორენსო-არსენალი	**1:1**

გოლები: 0:1 ა. გონსალესი (19), 1:1 სალგეირო (48)

ოლ ბოისი-კილმესი	**1:0**

გოლი: 1:0 ტორასა (89)

რასინგი-ბანფილდი	**1:3**

გოლები: 0:1 ფერეირა (19), 0:2 კასერესი (29 ს.კ.), 1:2 დოს სანტოსი (71 ს.კ.), 1:3 ბუსტოსი (90)

გაძევება: ვ. ლოპესი (57. ბანფილდი)

ესტუდიანტესი-ინდეპენდიენტე	**0:2**

გოლები: 0:1 გალეანო (45), 0:2 ვილიაფანიესი (76)

ბოკა-ნიუელსი	**1:0**

გოლი: 1:0 პალერმო (50)

ტიგრე-ველესი	**2:1**

გოლები: 1:0 სტრაკვალერსი (24-პენ), 1:1 რ. ალვარესი (62), 2:1 გ. დიასი (64)

ლანუსი-ურაკანი	**3:0**

გოლები: 1:0 ვალერი (12), 2:0 რომერო (33), 3:0 [illegible]არო (43)

გოლფი კრუსი-ხიმნასია	**2:2**

გოლები: 1:0 რ. რამირესი (16), 1:1 კაპურო (30), 2:1 დონდა (54), 2:2 ლ. კასტრო (90)

ოლიმპო-რივერი	**0:0**

	თ	მ	ფ	ნ	ბ	ქ
1. ველესი	16	9	3	4	30-16	30
2. ლანუსი	16	8	5	3	25-13	29
3. გოდოი კრუსი	16	8	4	4	29-24	28
4. ოლიმპო	16	7	5	4	26-20	26
5. ინდეპენდიენტე	16	6	7	3	24-17	25
6. არხენტინოსი	16	6	7	3	14-10	25
7. ბოკა	16	7	4	5	19-17	25
8. რივერი	16	6	6	4	12-11	24
9. ტიგრე	16	6	5	5	22-22	23
10. რასინგი	16	7	1	8	22-21	22
11. ბანფილდი	16	6	4	6	19-21	22
12. ოლ ბოისი	16	6	4	6	12-15	22
13. სან ლორენსო	16	5	6	5	18-14	21
14. კოლონი	16	6	2	8	19-24	20
15. ესტუდიანტესი	15	5	4	6	14-17	19
16. არსენალი	16	3	7	6	21-22	16
17. კილმესი	16	4	4	8	20-24	16
18. ხიმნასია	16	3	7	6	17-22	16
19. ურაკანი	15	2	5	8	14-30	11
20. ნიუელსი	16	3	2	11	14-31	11

ბომბარდირები: 10 - სტრაკვალერსი (ტიგრე); 9 - გუტიერესი (რასინგი); 8 - კამპორა (ურაკანი), ფუერტასი (კოლონი); 7 - ვალერი (ლანუსი), ობოლო (არსენალი), რომერო (ლანუსი).

გადატანილი მატჩი

2 ივნისი: **ურაკანი-ესტუდიანტესი.**

მომდევნო ტური

3 ივნისი: **არსენალი-ოლიმპო.**

4 ივნისი: **ხიმნასია-რასინგი, ბანფილდი-ოლ ბოისი, ნიუელსი-სან ლორენსო.**

5 ივნისი: **ურაკანი-ტიგრე, კილმესი-ბოკა, რივერი-კოლონი.**

6 ივნისი: **ინდეპენდიენტე-ლანუსი, არხენტინოსი-ესტუდიანტესი, ველესი-გოდოი კრუსი.**

შევეცდებით, გაგაცნოთ ყველაფერი საინტერესო, რაც კი არგენტინის საშემოდგომო ჩემპიონატის მე-16 ტურში მოხდა. მაშ ასე, კლაუსურას დასრულებამდე 3 ტურიღა რჩება, ჩემპიონის ვინაობას კი, ნაძლავს ჩამოვალთ, ბოლო ტურამდე ვერავინ გეტყვით.

ტურის მოვლენები

ტურის მთავარი მოვლენა ერთპიროვნული ლიდერის, „ველეს სარსფილდის" მოულოდნელი მარცხი იყო „ტიგრესთან". ამ შეხვედრას კლაუსურას ტიტულისთვის ბრძოლა ერთიორად დაძაბა. ის კი არა, „გოდოი კრუსს" ბოლო წამებზე გოლი, რომ არ გაეშვა, „ველესის" ერთპიროვნულ ლიდერობასაც მოეღებოდა ბოლო, მაგრამ მენდოსელებმა გამარჯვება ხელიდან გაუშვეს და მე-3 ადგილზე დარჩნენ. „ველესს" ახლა ორ ფრონტზე უწევს ბრძოლა, ამიტომ ძალიან უჭირს. ლიბერტადორესის თასის პირველ ნახევარფინალში არგენტინული გუნდი მონტევიდიოში „პენიაროლთან" 0:1 დამარცხდა. დღეს საპასუხო მატჩია.

„რივერ პლეიტი" რჩება ეგრეთ ნოდებულ ზონა „პრომოსიონში", ანუ დროულად თავი თუ არ დააღწია იქაურობას, არგენტინული ფეხბურთის გრანდი (33-გზის ჩემპიონი) პრიმერაში დასარჩენ პლეი ოფში ითამაშებს. იქ კი, ვინ იცის, კატასტროფამდე ერთი ნაბიჯია... „ოლიმპოს" „რივერმა" ვერ აჯობა, ის კი არა, ბედს და მეკარე **კარისოს** უნდა უმადლოდეს, რომ სულაც არ დათმო უპრინციპულესი შეხვედრა.

„ხიმნასიამ" თავი დააღწია (ურაკანი-ესტუდიანტესის მატჩის შემდეგ დაალწევს) პირდაპირი გავარდნის ზონას, ლა პლატელებს გადარჩენის შანსი მიეცათ. „ესტუდიანტესმა" ანტირეკორდი დაამყარა - ზედიზედ მე-12 მატჩი ვერ მოიგო. ამას ჩემპიონთა მწვრთნელი **ედუარდო ბერიცო** შეენირა. პრინციპში, ეს ლოგიკურიცაა.

„ბოკა ხუნიორსის" ვეტერანმა ფორვარდმა **მარტინ პალერმომ** ჩემპიონატში 226-ე გოლი გაიტანა. მარტინს კარიერაში კიდევ სამი მატჩი რჩება. მას აქვს შანსი არგენტინის ჩემპიონატის ისტორიაში მეხუთე ბომბარდირი გახდეს, ამისთვის მან ერთი გოლი კიდევ უნდა გაიტანოს, რომ **ხოსე სანფილიპოს** (227 გოლი) დაეწიოს. ხუთი გოლიც და პალერმო მე-4 ადგილზე მყოფ **მანუელ პელეგრინას** გადაუსწრებს, თუმცა ეს ალბათ ვერ მოხდება. შეგახსენებთ, რომ არგენტინულ პრიმერადივიზიონს ორი ყველა დროის ბომბარდირი ჰყავს: პარაგვაელმა **არსენიო ერიკომ** და **ანხელ ლაბრუნამ** 293-293 გოლი გაიტანეს.

ტურის ციფრები

ტურში 23 გოლი გავიდა (2,3 გოლი საშუალოდ მატჩში), მასპინძლებმა 12 გოლი გაიტანეს, სტუმრებმა კი - ერთითი ნაკლები, 11. ჰეთ თრიკი, ან თუნდაც

დუბლი არავის მიუთვლია. ბომბარდირთა დავაში კვლავ ერთპიროვნულად დანინაურდა **დენის სტრაკვალერსი,** თუმცა მან ეს პენალტის ნიშნულიდან გატანით შეძლო. საშინელ ფორმაშია „ურაკანი", რომელმაც ზედიზედ მე-6 მატჩი წააგო, ისე კი 8 ტურია არ მოუგია.

ტურის მატჩი

გოდოი კრუსი VS ხიმნასია

დრამატული სიუჟეტი, ლამაზი გოლები და დრამა ბოლო წამებზე - ყველაფერი იყო ამ დაპირისპირებაში, რითაც არგენტინული ფეხბურთი უყვართ გულშემატკივრებს.

ტურის გმირი

ფრანკო ნიელი (არხენტინოსი)

კარიერის განმავლობაში ეს 28 წლის ფორვარდი სხვების ჩრდილში იყო, თუმცა ახლა ის არგენტინული ჩემპიონატის ვარსკვლავია. ვფიქრობთ, ერთ-ერთი საუკეთესო „მსუბუქი" ფორვარდია წლევანდელ კლაუსურაზე. „კოლონთან" მატჩში მან გოლი და საგოლე პასი მიითვალა. პირველ ეპიზოდში მას გატანა თავადაც შეეძლო, მაგრამ ბრწყინვალე პასით უკეთეს პოზიციაში მყოფი ბლანდი მოძებნა. შემდეგ ნიელმა თითქმის ცარიელ კარში გაიტანა ბასუალდოს თავური ჩანოდების შემდეგ. ნიელი „არხენტინოს ხუნიორსის" გაზრდილია, თუმცა სხვა კლუბებშიც უთამაშია (მათ შორის, აშშ-ში, „დი სი იუნაიტედში"). მისი გოლების წყალობით „ხიმნასია" სასწაულებრივ გადაურჩა პრიმერადივიზიონიდან გავარდნას. იმის მაგივრად, რომ ნიელი გმირად ექციათ, „ხიმნასიამ" ის ტრანსფერზე დააყენა და ფეხბურთელს სულაც ეკვადორში მოუწია სათამაშოდ წასვლამ. ფორვარდი „არხენტინოსში" კლაუსურას ნინ დაბრუნდა და, შეიძლება ითქვას, რომ გუნდის ლიდერია.

ტურის იმედგაცრუება

ის კი არა, მას ჩემპიონატის იმედგაცრუება შეიძლება ვუწოდოთ - ლაპარაკია, „რასინგზე". „რასინგის" ჩავარდნა ამოუხსნელია - შემადგენლობით პრიმერაში ერთ-ერთი საუკეთესოა, მწვრთნელი **რუსოც** კარგი სპეციალისტია, მაგრამ „აკადემია" ერთი-ორჯერ თუ თამაშობს მაღალ დონეზე. ამ ტურში „რასინგმა" მორიგი უგერგილო მატჩი გამართა და „ბანფილდთან" ნააგო.

ტურის გოლები

რიკარდო ალვარესი (ველესი): „ტიგრეს" კარში.

ალეხანდრო კაპურო (ხიმნასია): პირველი გოლი „გოდოი კრუსის" კარში.

დიეგო ვალერი (ლანუსი): პირველი გოლი „ურაკანის" კარში.

ბრძოლა გადარჩენისთვის

ამ ცხრილში „ხიმნასია" ჯერ კიდევ მე-19 ადგილზეა, მაგრამ თუკი დღეს „ესტუდიანტესი" შეინარჩუნებს 2:0 უპირატესობას ჩაშლილ მატჩში (გუნდებმა ბოლო 58 წუთი უნდა ითამაშონ), მაშინ „ურაკანს" გადაასწრებს. შეგახსენებთ, რომ კოეფიციენტით ბოლო ორი გუნდი ვარდება, მათ წინა ორი კი „პრომოსიონში" ითამაშებს.

15. არსენალი	1,261
16. ოლიმპო	1,257
17. რივერი	1,252
18. ურაკანი	1,109
19. ხიმნასია	1,108
20. კილმესი	1,000

ტურის სიმბოლური ნაკრები

GOAL.COM. 3-5-2

ხუან პაბლო კარისო (რივერი) - **ფაბიან მონსონი** (ბოკა), **ხულიან ველასკესი** (ინდეპენდიენტე), **ლეონელ გალეანო** (ინდეპენდიენტე) - **კრისტიან ჩავესი** (ბოკა), **დიეგო ვალერი** (ლანუსი), **გუიდო პისარო** (ლანუსი), **ლუკას კასტრო** (ხიმნასია), **რიკი ალვარესი** (ოლიმპო) - **სესარ კარანსა** (ლანუსი), **ფაკუნდო ფერეირა** (ბანფილდი).

■ ■ ■

არგენტინის ფეხბურთის ასოციაციის 79 წლის პრეზიდენტმა **ხულიო გრონდონამ** განაცხადა, რომ თანამდებობის დატოვებას არ აპირებს. გრონდონამ თქვა, რომ ჯანმრთელობა ხელს უწყობს, კიდევ ერთი წელი გაუძღვეს არგენტინულ ფეხბურთს, რომელსაც უკვე 32 წელია უდგას სათავეში. შეგახსენებთ, რომ მის გადადგომას „რივერ პლეიტის" პრეზიდენტი **დანიელ პასარელა** მოითხოვდა.

■ ■ ■

ტიტულოვანი არგენტინელი მწვრთნელი **ალეხანდრო საბელა დიეგო მარადონას** გზას დაადგა - ის არაბთა გაერთიანებულ საამიროებში მიდის. მან „ესტუდიანტესისგან" მინვევა მიიღო, ედუარდო ბერიცოს შემცვლელად, მაგრამ საბელამ უარი თქვა. ამ დღეებში ის „ალ ჯაზირასთან" 1-ნლიან კონტრაქტს მოანერს ხელს.

■ ■ ■

კიდევ ერთი „ახალი მარადონა" შეიძლება დაადგეს დიეგოს გზას - „რივერ პლეიტის" 19 წლის ნახევარმცველ **ერიკ ლამელას** სანაცვლოდ „ნაპოლი" 15 მილიონ ევროს იხდის, წერს „გაძეტა დელო სპორტი". იტალიური კლუბი ლამელას 5-ნლიან კონტრაქტს უმზადებს და წელიწადში 2 მილიონ ევროს სთავაზობს ხელფასის სახით.

● ბრაზილია. სერია ა. II ტური

რონალდინიოს გოლი, რივალდოს საგოლე

გოგაუფოგო-სანგოსი	**1:0**

გოლი: 1:0 ფ. ფერეირა (36)

ინტერნასიონალი-სპარა	**0:1**

გოლი: 0:1 იარლეი (63)

გაძევება: ვაშინგტონი (90. სპარა)

აპაი-აგლ. მინეირო	**1:3**

გოლები: 1:0 ფ. სანტოსი (7), 1:1 ლ. სიკვა (16), 1:2 რევერი (66), 1:3 ლ. სილვა (68)

სან პაულუ-ფიგეირენსე	**1:0**

გოლი: 1:0 ლუკასი (90)

კორინთიანსი-კორიტიბა	**2:1**

გოლები: 1:0 პაულინიო (4), 1:1 ლეონარდო (73), 2:1 დანილო (80)

ბაია-ფლამენგო	**3:3**

გოლები: 1:0 ლულინია (16), 1:1 რონალდინიო (30), 2:1 ჯობსონი (37), 2:2 ბოტინელი (53), 2:3 ეგიდიო (72), 3:3 ჯობსონი (90)

გაძევება: ელდერი (77. ბაია)

აგლ. პარანაენსე-გრემიო	**0:1**

გოლი: 0:1 რ. სანტოსი (13 ს.კ.)

ქრუზეირო-პალმეირასი	**1:1**

გოლები: 0:1 ლუანი (60), 1:1 რამონი (74)

ვასკო და გამა-ამერიკა	**3:0**

გოლები: 1:0 ბერნარდო (9-პენ), 2:0 ენრიკო (48), 3:0 ელტონი (90)

გაძევება: დუდუ (78. ამერიკა)

აგლ. გოიანენსე-ფლუმინენსე	**0:1**

გოლი: 0:1 ეუსებიო (11)

ბრაზილიური სერია A სულ 2 ტურია, რაც დაინყო. ჯერჯერობით 4 კლუბი უდანაკარგოა და მათ შორის არის „სან პაულუ". „ტრიკოლორმა" დიდი გაჭირვებით აჯობა „ფიგეირენსეს". „სან პაულუს" გოლკიპერ **როჟერიო სენის** ჯერ ამ ჩემპიონატზე გოლი არ გაუშვია. ამ შეხვედრაში „სან პაულუს" რიგებში **ლუკასი** და **დაგობერტო** გამოირჩეოდნენ. ყველას ეგონა, რომ მასპინძლებმა ვერ გატეხეს სტუმართა დაცვის ხაზი დიდი პრესინგის მიუხედავად, მაგრამ ვეტერან **რივალდოს** პასს ახალგაზრდა ლუკასის დარტყმა მოჰყვა 25 მეტრიდან - 1:0. 6-6 ქულა აქვთ „ატლეტიკო მინეიროს", „ვასკო და გამას" და „კორინთიანსს".

რონალდინიომ (მარცხნივ) დეპოუტანტს გაუტანა

ჩემპიონატში პირველი გოლი გაიტანა „ფლამენგოს" ვარსკვლავმა **რონალდინიომ.** დებიუტანტ „ბაიას" და ფავორიტის მატჩი კი ერთ-ერთი საუკეთესო გამოდგა ტურში, 6 გოლი გავიდა და გამარჯვებული მაინც ვერ გამოვლინდა - 3:3. **ვანდერლეი ლუშემბურგოს** გუნდი ხშირად და ლამაზად უტევდა, მაგრამ დაცვა მიგდებული ჰყავდა, რითაც მასპინძელთა ფორვარდმა **ჯობსონმა** ისარგებლა და დუბლი შეასრულა.

ისე, ტური ვერ გამოდგა უხვგოლიანი - 10 მატჩიდან ნახევარი 1:0 დასრულდა. მომავალ ტურში ორი საინტერესო დაპირისპირება გველის: „ფლუმინენსე"-„კრუზეირო" და „ფლამენგო"-კორინთიანსი".

გვერდი მოამზადა

ნიკოლოზ ნეფარიძემ

ტალანტები

სეზონის 10 აღმოჩენა

შოთა არველაძის და პატრიკ კლუივერტის მოსწავლეები, ასევე ჰალკი, ანრი და სხვები

გასულმა სეზონმა არაერთი ახალი ვარსკვლავი წარმოაჩინა, რომელთა შესახებ მთელი სეზონის განმავლობაში ვწერდით და კიდევ ბევრჯერაც დავწერთ, მაგრამ იყვნენ ისეთებიც, ვისაც სათანადო ყურადღება ვერ მივაქციეთ. გადავწყვიტეთ, ამჯერად სწორედ ის ათი ფეხბურთელი გაგაცნოთ, რომელთა შესახებაც სხვადასხვა მიზეზის გამო დღემდე ბევრი არაფერი გვითქვამს. მათ შორის ბევრი მართლაც გამორჩეული მოთამაშეა. მაგალითად, ერთი 100 მილიონ ევროდაა შეფასებული, მეორე გუუს ჰიდინკის უსაყვარლესი ფეხბურთელი და შოთა არველაძის შეგირდია, მესამე პატრიკ კლუივერტის მოსწავლე გახლავთ და ა.შ.

პაბლო არმერო

24 წლის, უდინეზე

ეს კოლუმბიელი ფეხბურთელი სწორედ უდინურმა კლუბმა აღმოაჩინა. **არმერო** იტალიაში ზუსტად ერთი წლის წინ, „პალმეირასიდან“ გადავიდა და „უდინეზეში“ 3-5-2 ტაქტიკურ სქემაში, მარცხენა გარემარბის პოზიციაზე ასპარეზობს, მთელი მატჩის განმავლობაში წინ და უკან დაუღალავად დარბის და შეტევებში უაღრესად აქტიურია. იტალიის ჩემპიონატის 31 შეხვედრაში მის ანგარიშზე 2 გოლი და 4 საგოლე პასია. სეზონის წინ ბევრს ეპარებოდა ეჭვი იმაში, რომ არმერო ჩილელ მაურისიო ისლას ძირითადი შემადგენლობიდან ამოაგდებდა, ახლა კი, პირიქითაა. გაჩნდა ცნობები, რომ არმეროს ყიდვა „ლივერპულს“ უნდა.

„პაბლომ ამ სეზონში ყველა გაგვაოცა. მან უდიდესი პროგრესი განიცადა, გუნდის ძირითად შემადგენლობაში დამკვიდრდა და ახლა „უდინეზე“ მის გარეშე უკვე ველარ წარმოგვიდგენია,“ - ეს არმეროს თანაგუნდელის, იტალიის ჩემპიონატის ერთერთი საუკეთესო ფეხბურთელის და გასული სეზონის საუკეთესო ბომბარდირის, **ანტონიო დი ნატალეს** სიტყვებია.

ანრი ბიენვენიუ

22 წლის, იანგ ბოიზი

ეს ფეხბურთელი ევროპაში 2010 იანვარში გადავიდა და თავისი შესაძლებლობების დასამტკიცებლად ნახევარი სეზონიც ეყო. ტუნისიდან ბერნში გადასულმა **ბიენვენიუმ** პოტენციალი 6 თვეში გამოავლინა. ამ სეზონში კი ახალგაზრდა და ძალიან ნიჭიერმა მოთამაშემ პროგრესი განაგრძო და თამამად შეიძლება ითქვას, რომ გასრულებული სეზონის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო აღმოჩენაა. ანრი ძალიან სწრაფი და ტექნიკური მოთამაშეა, ორივე ფეხს იდეალურად ხმარობს და წინა ხაზის ნებისმიერ პოზიციაზე შეუძლია თამაში. გასულ სეზონში მან 34 მატჩში 16 გოლი გაიტანა, ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე კი „ფენერბაჰჩეს“ და „ტოტენჰემის“ კარებშიც შეძლო გოლის გატანა. ამასთან, ბიენვენიუ კამერუნის ნაკრების ფეხბურთელია.

ტიბო კურტუა

19 წლის, გენკი

ზუსტად ერთი წლის წინ, როცა „გენკი“ ახალი სეზონისთვის ემზადებოდა, ახალგაზრდა მეკარემ კონკურენტს დუელი მოუგო და ბელგიური კლუბის ძირითადი შემადგენლობის წევრი გახდა. მას მერე, **კურტუას** ერთი წუთიც კი არ გაუცდენია და „გენკის“ სენსაციური ჩემპიონობა მისი დამსახურებაცაა. სეზონის დასრულების შემდეგ, კურტუა ბელგიის წლის საუკეთესო მეკარედ აღიარეს და ნაკრებშიც უხმეს. 19 წლის ტიბო ევროპის ერთერთ უნიჭიერეს კიპერად მიიჩნევა. მისი ერთადერთი ნაკლი ფიზიკური სისუსტეა, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ჯერ მხოლოდ 19 წლისაა. გაირკვა, რომ მას ლონდონის „ჩელსის“ სკაუტები აკვირდებიან. გერმანულ პრესაში კი გაჩნდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ კურტუა „შალკესაც“ სურს.

ჰალკი

24 წლის, პორტუ

ჩამოთვლილი ფეხბურთელებიდან ეს უკანასკნელი ყველაზე ცნობილია, მაგრამ ჯერ კიდევ არ აფასებენ ისე, როგორც იმსახურებს. სიახლე ის არის, რომ „პორტუს“ ხელმძღვანელებმა **ჰალკი** 100 მილიონ ევროდ შეაფასეს. „პორტუში“ გატარებული ორი საშუალო სეზონის შემდეგ, ჰალკმა წელს ძალიან მოუმატა – 26 მატჩში 23 გოლი გაიტანა და საუკეთესო ბომბარდირი გახდა. ამასთან, მის ანგარიშზე 16 საგოლე პასიცაა. 24 წლის ჰალკმა ევროპის ლიგაშიც ძალიან კარგი შედეგი აჩვენა: 6 გოლი, 5 პასი და თამამად შეიძლება ითქვას, რომ **ფალკაოსთან** ერთად, ევროპაში ერთ-ერთ ყველაზე სახიფათო თავდასხმას ქმნის. მოკლედ, ჰალკმა თავისი ცაციით მთელი ევროპა აალაპარაკა.

სერდარ ქესიმალი

22 წლის, ქაისერი

შოთა არველაძის ახალგაზრდა შეგირდი, რომელიც ვუპერტალში დაიბადა, ამავე სახელწოდების კლუბში თამაშობდა, მერე „კიოლნის“ ღირსებას იცავდა, ახლა კი თურქეთის ჩემპიონატში ასპარეზობს. „ქაისერისპორში“ ის 2009 წელს, **თოლუნაი კაფკასმა** წაიყვანა, მაგრამ ამ სეზონამდე ისეთს ვერაფერს ახერხებდა, ყურადღების ცენტრში რომ მოხვედრილიყო. არველაძის ხელში კი, ქესიმალმა უდიდესი პროგრესი განიცადა. თურქეთის ნაკრებმა გერმანიასთან 0:3 რომ წააგო, მას მერე ქესიმალი ეროვნული გუნდის განუყოფელი ნაწილია. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ის უკვე **გუუს ჰიდინკის** ერთ-ერთი უსაყვარლესი მოთამაშეა. ქესიმალის მთავარი პლუსები ორთაბრძოლების მოგების ნიჭი და მეორე სართულზე კარგი თამაშია. ფაქტობრივად გადაწყვეტილია, რომ სერდარი შვიდ მილიონად „ფენერბაჰჩეში“ გაიყიდება.

მარცხნიდან: ტიბო კურტუა, მუსა სოვი, ბიორნ ვლემინკი და ანრი ბიენვენიუ

დამ ნ'დოიე

26 წლის, კოპენჰაგენი

როგორც ჩანს, 26 წლის სენეგალელმა თავდამსხმელმა ბედნიერება „კოპენჰაგენში“ იპოვა, რადგან სწორედ ამ კლუბში გაიხსნა. **ნ'დოიე** დანიურ გრანდში 2009 წელს გადავიდა და პირველ ორ სეზონში მხოლოდ 10 გოლი გაიტანა. წელს კი დანიის ჩემპიონის ფორმით 25-ჯერ შეძლო მეტოქეთა კარის ბადის შერხევა და საუკეთესო ბომბარდირის წოდებაც მიიღო. ნ'დოიემ ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპის პირველ ორ მატჩშიც შეძლო თავის გამოჩენა და არაერთი კლუბი დააინტერესა. პარადოქსია, მაგრამ ფაქტი: დამ ნ'დოიე სენეგალის ნაკრებში ჯერ არ გამოუძახიათ.

მუსა სოვი

25 წლის, ლილი

ამ სეზონამდე **მუსა სოვს** „რენში“ ჩატარებული ექვსი სეზონის განმავლობაში მხოლოდ 12 გოლი ჰქონდა გატანილი, რაც, დაგვეთანხმებით, თავდამსხმელისთვის ძალიან ცუდი შედეგია. შესაბამისად, ის ხშირად პირველი გუნდის განაცხადშიც არ შეჰყავდათ. სამაგიეროდ, სოუ „ლილში“ გაიხსნა: ამ სეზონში მან 25 გოლი გაიტანა და საფრანგეთის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა, „ლილმა“ კი 57-წლიანი პაუზის შემდეგ პირველად იზეიმა საფრანგეთის ჩემპიონობა. მუსა სოვის გადაბირებისთვის ლონდონის „არსენალი“ იბრძვის.

მატიას სილვესტრი

26 წლის, კატანია

ეს ფეხბურთელი სიცილიურ კლუბში 2008 წლიდან თამაშობს, მანამდე კი, 6 წლის მანძილზე „ბოკა ხუნიორსის“ რიგებში ასპარეზობდა. „კატანიას“ მცველმა ეს სეზონი უმაღლეს დონეზე ჩაატარა და თამამად შეიძლება ითქვას, რომ იტალიის ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო უკანახაზელია. **სილვესტრი** ფიზიკურად ძლიერი, ორთაბრძოლებისთვის იდეალური და ძალიან სანდო მცველია. რაც ყველაზე საინტერესოა, არგენტინელი ისეთი უკანახაზელია, რომელიც სტანდარტული მდგომარეობების დროს მეტოქე გუნდის კართან ძალიან სახიფათოა (6 გოლი გასულ სეზონში). შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის უკვე მზადაა რომელიმე ტოპ-კლუბში გადასვლისთვის.

სილვიო

23 წლის, ბრაგა

ფეხბურთელი, რომელიც „ბენფიკას“ აღზრდილია, თუმცა ლისაბონურ კლუბში ფეხი ვერ მოიკიდა და რამდენიმე საფეხურის შემდეგ „ბრაგაში“ აღმოჩნდა, სადაც თავისი ადგილი იპოვა. შეუძლია როგორც მარჯვენა, ისე მარცხენა მცველის პოზიციაზე თამაში, ფიზიკურად ძლიერი და ზომიერად აგრესიული ფეხბურთელია. ევროპის ლიგაში „ბრაგამ“ ნარმატებით რომ ისასპარეზა, ეს **სილვიოს** დამსახურებაცაა, რომელსაც არც ერთი წუთი არ გაუცდენია. 2010 წლის სექტემბერში 23 წლის მცველს პორტუგალიის ნაკრებში დებიუტი ჰქონდა, მომდევნო სეზონში კი მადრიდის „ატლეტიკოს“ ღირსებას დაიცავს.

ბიორნ ვლემინკი

25 წლის, ნიიმეგენი

რამდენიმე წლის წინ **ბიორნ ვლემინკი** ბელგიაში უდიდეს ტალანტად მიიჩნეოდა, იმედები კი საკმაოდ გვიან, მხოლოდ ამ სეზონშიღა გაამართლა. ბელგიის მეორე ლიგაში რამდენიმე კლუბის გამოცვლის შემდეგ ის „ნიიმეგენში“ მოხვდა, სადაც ცნობილი ჰოლანდიელი თავდამსხმელის, **პატრიკ კლუივერტის** ხელმძღვანელობის ქვეშ ვარჯიშობს. ვლემინკი 23 გოლით საუკეთესო ბომბარდირი გახდა და ბელგიის ნაკრებშიც მუდმივად იძახებენ. ახალი სეზონიდან ის „ბრუგეში“ თამაშობს.

გოტფრიდ ლენცი

ანტიპოვნული ბიბლიოთეკა

გუუს ჰიდინკი

ჰიდინკი: არც ისე იოლია

ინგლისური პრესა სულ უფრო ინტენსიურად წერს, რომ თურქეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **გუუს ჰიდინკი** ივლისიდან "ჩელსის" ჩაიბარებს. ჰოლანდიელი სპეციალისტის თქმით, ის და მისი თანამშემწეები ამ ეტაპზე მხოლოდ თურქეთის ნაკრებსა და მის ინტერესებზე ფიქრობენ, რათა ეს გუნდი ევრო 2012-ის საგზურს დაეუფლოს. უახლოესი მატჩი მათ ბელგიასთან აქვთ. მისი თქმით, არც ერთი კლუბისგან კონკრეტული შეთავაზება არ მიუღია და შესაბამისად, ამ თემაზე მსჯელობას ვერ დაიწყებს. *"ბელგიასთან დაპირისპირება გადამწყვეტი იქნება შესარჩევ ციკლში, - განუცხადა მან გაზეთ "ჰურიეთს". – რაც შეეხება ჩემს მომავალს, არაფერი კონკრეტული არ შემოუთავაზებიათ და განსახილველიც არაფერია. ჩემი კონტრაქტი თურქეთის ფეხბურთის ფედერაციასთან 2012 წლის ბოლომდე მოქმედებს. ასე რომ, არც ისე მარტივია, მიატოვო ყველაფერი და სამუშაოდ კლუბში წახვიდე".*

პოლონელები ციხეში

პოლონეთის სასამართლომ თამაშების ჩაწყობის საქმეში მონაწილე 38 ადამიანს სისხლის სამართლის დანაშაულში მსჯავრი დასდო და სხვადასხვა ვადით ისინი თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მოათავსა ან პირობითი მსჯავრი შეუფარდა. ვადა 8 თვიდან 4 წლამდე მერყეობს. ვროცლავის სასამართლომ მათ ჯარიმის გადახდაც დააკისრა – საერთო ჯამში მათ 400 ათასი ევროს გადახდა მოუწევთ სახელმწიფოს სასარგებლოდ. დამნაშავეები ასევე დააბრუნებენ მაქინაციებით ნაშოვნ ნახევარ მილიონზე მეტ ევროს. გამოძიება მთელი 6 წელინადი გრძელდებოდა და მან იმდენად ეფექტურად იმუშავა, რომ თავის დამნაშავედ ცნობა ყველა მსჯავრდებულს მოუხდა. აქვე გეტყვით, რომ საქმე თავდაპირველად 300-ზე მეტი ადამიანის წინააღმდეგ იყო აღძრული.

აიუ არ იყიდება

"მარსელის" ხელმძღვანელობა კატეგორიულ უარს აცხადებს განიხილოს **ანდრე აიუთი** დაინტერესებული კლუბების წინადადებები. ახალგაზრდა განელი უნივერსალი განსაკუთრებით ეფექტური სეზონის ბოლო ნაწილში იყო და სწორედ ამის მერე მიიპყრო მდიდარი კლუბების ინტერესი. მის მიმართ ინტერესს იჩენდნენ "ლივერპული" და "ბაიერნი", მაგრამ ამ კლუბებმა უარი მიიღეს. ინგლისელები და გერმანელები "მარსელს" ფეხბურთელში 12-13 მილიონ ევროს სთავაზობდნენ.

ლევან ბიბილაშვილი

● ჩემპიონთა ლიგა 2010-11. შეჯამება

მისტერ ჩემპიონთა ლიგა

უეფას ვებგვერდზე ჩემპიონთა ლიგის 2010-11 წლების სეზონის 10 ყველაზე საინტერესო მოვლენა შეაჯამეს და მკითხველს გააცნეს. სტატიაში ყველაფერი შესულია, დაწყებული გარეთ ბეილის დიდებული სოლო რეიდებიდან, დამთავრებული რაულ გონსალესის რენესანსით.

გარეთ ბეილის გაბრწყინება

მართალია, ამ სეზონამდე "ინტერის" ბევრ გულშემატკივარს **გარეთ ბეილის** სახელი და გვარი გაგონილიც არ ჰქონდა, მაგრამ ახლა მას კიდევ დიდხანს ვერ დაივიწყებენ. ჩემპიონთა ლიგის დებიუტანტი გუნდის ლიდერმა ჯერ "ტვენტეს" გაუტანა, თუმცა ეს კიდევ არაფერი. "სან სიროს" თამაშის შემდეგ უელსელმა მთელი ევროპა აალაპარაკა - 21 წლის განაპირა მცველმა საქმეს ხელი რომ მოჰკიდა, "ტოტენჰემი" 4:0 აგებდა, თანაც რიცხობრივ უმცირესობაში იყო. თამაშის ბოლოს კი გარეთის ანგარიშზე ევროპის საკლუბო ჩემპიონის კარებში გატანილი ჰეთთრიკი იყო. "დეზებმა" მაინც წააგეს, მაგრამ ბეილმა "ვაით ჰართ ლეინზეც" დაამტკიცა, რომ ეს შემთხვევითობა არ იყო, "ინტერის" დაცვა კიდევ ერთხელ დაატერორა და გუნდს 3:1 მოაგებინა.

დიდებული და საშინელი ლიონელ მესი

წინა სეზონში **ლიონელ მესიმ** "კამპ ნოუზე" "არსენალს" 4 გოლი გაუტანა. ნელს კი "მეთოფეები" ამ არენას ერთბურთიანი ფორითა და მტკიცე გადაწყვეტილებით ეწვივნენ, შეეჩერებინათ არგენტინელი ჯადოქარი. მესის კლასმა მაინც თავისი გაიტანა. მისმა დუბლმა სასწორის პინა "ბარსას" მხარეს გადახარა. *"მესი ჩვენთვის ის გენიოსია, ვინც ყველას საქმეს თავად აკეთებს უმძიმეს წუთებში, ისევე როგორც დღეს,"* – განაცხადა მატჩის შემდეგ "ბლაუგრანას" მცველმა **დანიელ ალვეშმა**.

მეოთხედფინალშიც იგივე განმეორდა. მესის ნინ ვერც "შახტარის" მცველები აღუდგნენ. ლეომ თანაგუნდელებს 5:1 გაამარჯვებინა, ხოლო დონეცკელთა დამრიგებელ **მირჩა ლუჩესკუს** ათქმევინა: *"ჩვენი მთავარი მინუსი ის არის ლიონელი არ გვყავს. ის რომ ჩვენი ფეხბურთელი იყოს, დარწმუნებული ვარ, "ბარსას" გავუმკლავდებოდით,"* – ამ სიტყვებში არის სიმართლის მარცვალი, მან ხომ წელს 53 გოლი გაიტანა კატალონიელთა შემადგენლობაში და აქედან 12 ჩემპიონთა ლიგაში.

ოლიმპიკის რეკორდი

ნოემბერში "მარსელი" ერთი მატჩით 1993 წლის დიდებულ "წინაპარს" დაემსგავსა, იმ გუნდს, რომელმაც ჩემპიონთა ლიგა მოიგო. ფრანგებმა სლოვაკური "ჟილინა" სულ ნაწილ-ნაწილ დაშალეს და ჩემპიონთა ლიგის ისტორიაში ყველაზე დიდ საგარეო გამარჯვებას მიაღწიეს. ასეთი გამარჯვება კი გასაოცარი იმით იყო, რომ **დიდიე დეშამის** გუნდმა "ველოდრომზე" იმავე **პაველ გაპალას** ბიჭებთან დიდი გაჭირვებით მოიგო. *"ჩემპიონთა ლიგაში 7 გოლის გატანა იშვიათობაა და ეს ჩვენ საკუთარი ძალების რწმენას გაგვიღვივებს,"* – განაცხადა **მატიე ვალბუენამ**. მართლაც, "მარსელი" პირველად 21-ე საუკუნეში ჩემპიონთა ლიგის პლეი ოფში გავიდა.

დაჯავშნილი მანჩესტერი

"მანჩესტერ იუნაიტედი" ოდითგანვე ცნობილი იყო შემტევი ფეხბურთით. ამ სეზონში კი გუნდისთვის წარმატება ძლიერ დაცვას მოჰქონდა. "მანიუს" გასვლით შეხვედრებში არც ერთი გოლი არ გაუშვია, ხოლო 12 მატჩში მეტოქეებმა მისი კარის აღება სულ 4-ჯერ შეძლეს. **ნემანია ვიდიჩისა** და **რიო ფერდინანდის** დუეტს მთელი ევროპა შენატრის, თუმცა პარადოქსია, მაგრამ ლიგაში ყველაზე მეტჯერ "მანიუს" მცველთაგან **კრის სმოლინგმა** და **პატრის ევრამ** ითამაშეს. ლიგის ისტორიაში ამაზე ცოტა გოლი (სულ რაღაც 2-2) ფინალამდე "არსენალსა" და "აიაქსსაც" გაუშვიათ. სიმბოლურია, რომ 2006 წელს "მეთოფეებმა" "ბარსელონასთან" წააგეს, 1995 წლის "აიაქსის" კარებში კი **ედვინ ვან დერ სარი** იდგა.

ზაჰავი დესერტად

ერან ზაჰავიმ ლიგის ჯგუფურ ეტაპზე "ლიონს" არნახული გოლი გაუტანა. თავად ფეხბურთელმა აღიარა, რომ კარიერაში არაფერი ამის მსგავსი იქამდე გაკეთებული არ ჰქონია. "ჰაპოელის" გამთამაშებელმა ძალიან უნდა მოინდომოს, რომ ოდესმე ამაზე ლამაზი ბურთი კიდევ გაიტანოს. როცა ეს გოლი გავიდა, ტრიბუნებზე "ლიონის" ლეგენდები **ბერნარ ლაკომბი** და **სონი ანდერსონი** აღფრთოვანებულნი ადგილიდან ნამოხტნენ. თამაშის შემდეგ კი "ჰაპოელის" მწვრთნელმა **ელი გუტმანმა** განაცხადა, რომ ეს იყო ერთ-ერთი საუკეთესო გოლი, რომელიც ოდესმე ჩემპიონთა ლიგაში გასულა. არადა, რომ არა **სალიმა ტოემის** უზუსტო ფლანგური ჩაწოდება, რამაც ზაჰავის მაკრატელას დარტყმა აიძულა, ეს ყველაფერი არ იქნებოდა.

მისტერ ჩემპიონთა ლიგა

როცა ოფიციალურად გამოცხადდა, რომ 33 წლის **რაულმა** მზიანი მადრიდი ინდუსტრიულ გელზენკირხენზე გაცვალა, თავიდან დაჯერებაც კი ძნელი იყო. თუმცა ეჭვები, ჰქონდა თუ არა ვეტერანს შერჩენილი მოტივაცია, მალევე გაქრა და სწორედ რაულის წინამძღოლობით ჩაატარა "შალკემ" ერთ-ერთი საუკეთესო ევროკამპანია კლუბის ისტორიაში. ლეგენდარულმა თავდამსხმელმა "ინტერთან" დაპირისპირებაში გაიბრწყინა და საფინალო სასტვენის შემდეგ გულშემატკივრებთან ერთად დიდხანს ზეიმობდა ნახევარფინალში გასვლას. რაული თანაგუნდელთა შორის დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობს. ლიგაში სარეკორდო 71-ე გოლის გატანის შემდეგ **კრისტოფ მეტცელდერმა** მას "მისტერ ჩემპიონთა ლიგა" უნოდა. **ედუმ** კი დაამატა: *"რაული არაჩვეულებრივია. მას გააქვს ვარჯიშებზე, თამაშებში და ერთპიროვნულად წყვეტს მატჩის შედეგებს ნებისმიერ დონეზე. მეტიც, ის ერთმანეთის მიყოლებით აკეთებს ამას".*

ვეტერანების ნიშნით

ლიგის უკანასკნელი გათამაშება ორი ვეტერანისთვის განსაკუთრებული გამოდგა. **ხავიერ ძანეტიმ**, ფეხბურთელმა, ვინც "ინტერს" 16 წელია ერთგულად ემსახურება, გაუტანა რა გოლი "ტოტენჰემს", გახდა ყველაზე ხანდაზმული, ვისაც ოდესმე ლიგაში თავი გამოუჩენია. ამ შეხვედრაში არგენტინელი 37 წლისა და 71 დღის იყო. ხავიერმა ამით **ლორან ბლანის** რეკორდი მოხსნა, რომელიც ფრანგმა 2002 წელს დაამყარა. თუმცა ძანეტის მიღწევამ დიდხანს ვერ გაძლო. "მანიუს" ლეგენდა **რაიან გიგზმა** 37 წლისა და 148 დღისამ შეძლო "შალკეს" კარების აღება.

დანიის სამეფოში მშვიდობაა

უდიდეს წარმატებას მიაღწია "კოპენჰაგენმა". ის გახდა პირველი დანიური კლუბი, რომელმაც პლეი ოფს მიაღწია. **სტალე სოლკბაკენის** შეგირდებმა პირველ 2 ტურში "რუბინი" და "პანათინაიკოსი" დაამარცხეს, თუმცა დანიელებმა საუკეთესო მატჩი "ბარსელონასთან" ჩაატარეს (1:1). *"თითქმის 1 საათის განმავლობაში მსოფლიოს საუკეთესო გუნდთან თანაბრად ვიბრძოდით. ფრე 11 სუპერვარსკვლავთან ალალად დავიმსახურეთ,"* – განაცხადა სოლკბაკენმა. *"ფიზიკურად ასეთ მომზადებულ გუნდთან ჯერ არასოდეს გვითამაშია,"* - დაეთანხმა მას **ხოსეპ გვარდიოლაც**.

შახტარის ამბიციური გეგმები

ის იყო, "შახტარი" "ბარსელონასთან" 1/4-ფინალში გამოვარდა, რომ პრეზიდენტმა **რინატ ახმეტოვმა** გუნდისგან სამომავლოდ უფრო მეტი მოითხოვა: *"სერიოზული სამუშაო ახლაღა იწყება. მჯერა, რომ "შახტარს" ნაბიჯ-ნაბიჯ შეუძლია მივიდეს ჩემპიონთა ლიგაში გამარჯვებასთან".* ახმეტოვი ერთადერთი ადამიანი არ არის, ვისაც დონეცკური კლუბის დიდი მომავლისა სჯერა. გუნდით აღფრთოვანებულია "რომას" ყოფილი დამრიგებელი **კლაუდიო რანიერიც**: *"შახტარს" ახალგაზრდა და ნიჭიერი შემადგენლობა ჰყავს. ისინი მშვენივრად ფლობენ ბურთს და მუდმივად თავისუფალ პარტნიორს ეძებენ. ეს გუნდი "ბარსელონას" მაგონებს, კატალონიელებამდე ჯერ კიდევ დიდი გზა დარჩათ გასავლელი".*

ლონდონური წყევლა

გასაკვირია, მაგრამ ჯერ არც ერთ ლონდონურ კლუბს ჩემპიონთა ლიგა არ მოუგია. არადა, ლიგაში ამ ქალაქს 3 წარმომადგენელი ჰყავდა - "ჩელსი", "არსენალი", "ტოტენჰემი", პლეი ოფში სამივემ გააღწია და ფინალიც სწორედ ბრიტანეთის დედაქალაქში იყო დანიშნული, მაგრამ... ლონდონი ისევ მშრალზე დარჩა.

● ფიფას კონგრესი

ფიფას კონგრესზე გუშინდელი დღე იმითი დაიწყო, რომ ამ ორგანიზაციამ ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის წინადადება განიხილა, რომელიც ატეხილი კორუფციული სკანდალის გამო საპრეზიდენტო არჩევნების გადატანას ითხოვდა. დიდი დავა - კამათის გარეშე ეს შეთავაზება უარყვეს. ინგლისელთა წარმომადგენელმა არჩევნებს, სადაც მხოლოდ ერთი კანდიდატურა მონაწილეობდა, არასრულფასოვანი უწოდა, თუმცა მას არავინ მოუსმინა. არჩევნები შედგა და 75 წლის შვეიცარიელ ჩინოვნიკს 203 დელეგატიდან მხარი 186-მა დაუჭირა. ერთი ადამიანის არჩევნების პროცედურა იმდენად მოსანყენი იყო, რომ მასზე მეტად აღარ შევჩერდებით.

იოზეფ ბლატერმა კონგრესის წინაშე გამოსვლისას აღნიშნა, რომ ბოლოდროინდელმა სკანდალმა ფიფას სერიოზული დარტყმა მიაყენა და მოუწოდა ორგანიზაციის წევრებს, კარგი გაკვეთილი გამოეტანათ ამ ყოველივედან. მისი თქმით, კურსს აცდენილი გემის გაძღოლა და მართებულ გზაზე დაყენება მას შეეძლო და მოუწოდა ფედერაციებს მხარში ამოდგომოდნენ. ბლატერის განცხადებით, მას განზრახული აქვს მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძელი ქვეყნების არჩევის წესი შეცვალოს. აქამდე არჩევნებში მხოლოდ ფიფას აღმასკომის წევრები მონაწილეობდნენ, ამიერიდან კი ხმის მიცემის უფლება უკვე ფიფას კონგრესის ყოველ მონაწილეს მიეცემა, რაც, ამის მსურველს, ჩანყობის შანსს შეუმცირებს, რადგან 200-მდე ქვეყანას შორის საქმის ჩანყობა პრაქტიკულად წარმოუდგენელია.

კონგრესმა კონკრეტული გადაწყვეტილებებიც მიიღო. არაბთა გაერთიანებული საამიროების ფედერაციამ ითხოვა, რომ მიეღოთ კანონი, რომელიც საფეხბურთო მოქალაქეობის შეცვლას გააადვილებდა. მათი თქმით, ბევრად უფრო მისაღები იქნებოდა უცხო ქვეყნის ეროვნულ ნაკრებში თამაშის უფლება ფეხბურთელებს ამ ქვეყანაში 3 წლის ასპარეზობის შემდეგ მიეღოთ. ამჟამინდელ წესდებაში 5 წელია მითითებული. აღნიშნულ პროექტს 42-მა ქვეყანამ დაუჭირა მხარი, 153 კი წინააღმდეგი წავიდა. არაბთა არგუმენტი **მოჰამედ ალ-რუმაითჰიმ** წარმოადგინა, მისი აზრით, პატარა საფეხბურთო ქვეყნებს ეს ნაკრებების გაძლიერების საშუალებასა და მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრის მეტ შანსს მისცემდა. შეგახსენებთ, ეს ვადა 2008 წელს სწორედ წამყანი საფეხბურთო ქვეყნების მოთხოვნით გაიზარდა 2-დან 5 წლამდე.

ძალზე მნიშვნელოვანი თხოვნა ჰქონდა ფიფასთან გერმანიის საფეხბურთო კავშირის ბოს **თეო ცვანციგერს.** მისი აზრით, აუცილებელია სპეციალური კომისიის შექმნა, რომელიც 2022 წლის ჩემპიონატის მასპინძლებთან დაკავშირებულ სკანდალს გამოიძიებს. *"მე არ მაქვს უფლება ფიფას პრეზიდენტს არ ვენდო. ამ ორგანიზაციის ეთიკის კომისიამ დაადასტურა ფაქტი, რომ ჭერ იოზეფს კორუფციასთან კავშირი არ აქვს. თუმცა შესაბამისმა ორგანოებმა საკითხი 2022 წლის ჩემპიონატის მასპინძლობის მოპოვებასთან დაკავშირებით დაწვრილებით უნდა გამოიძიონ. მოვითხოვ ასევე ყველა იმ არჩევნებისა და გადაწყვეტილების თავიდან შესწავლას, რომელიც საფეხბურთო სამყაროში ეჭვს იწვევს".*

გაუნევს თუ არა ფიფა გერმანიის (მო)თხოვნას ანგარიშს, ამას უახლოეს ხანებში ვნახავთ.

● ამბები

ახალი სკანდალი აპენინებზე

იტალიის ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი **ჯუზეპე სინიორი** იმ 16 ადამიანს შორის აღმოჩნდა, რომლებიც პოლიციამ გუშინ დააკავა ჩანყობილი თამაშების ორგანიზების ბრალდებით. სპეკოპერაცია კარაბინერებმა ერთდროულად დაიწყეს იტალიის 10 ქალაქში. დაკავებულთა შორის აღმოჩნდნენ სერია B-სა და C-ს მოქმედი ფეხბურთელები, მათ შორის არიან ასევე ქვედა დივიზიონის წარმომადგენლები და ბუკმეკერებიც. გირაოს წყალობით „აძურას" ყოფილი ვარსკვლავი უკვე გარეთ არის, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ის პასუხისმგებლობას გაექცევა. გაირკვა, რომ სამართალდამცავებს სერიოზული ეჭვი აქვთ "სიენასა" და "ატალანტას" მატჩებზე. შეგახსენებთ, რომ სერია B-ს შედეგებით სწორედ ამ გუნდებმა მოიპოვეს ელიტური ლიგის საგზური. ჟურნალისტების ვარაუდით, თუ პოლიციის ეჭვი გამართლდა, ეს გუნდები ელიტაში კი არა, შეიძლება იმის ქვემოთ დაეშვან, ვიდრე აქამდე თამაშობდნენ. გამომძიებელ **რობერტო დი მარტინოს** თქმით, ეჭვქვეშაა "ინტერი"-"ლეჩეს" დაპირისპირებაც. ის აცხადებს, რომ პოლიცია ძირითადად ან დასრულებული სეზონის მატჩების გამოძიებაზეა კონცენტრირებული.

ჩაო, სინიორ როსი

"პალერმოს" პრეზიდენტმა **მაურიციო ძამპარინიმ** გუშინ დაადასტურა, რომ **დელიო როსის** შემცვლელს ეძებს. სინიორ როსის კონტრაქტს ვადა ზუსტად ერთ თვეში გასდიოდა, მაგრამ ის კლუბს იქამდე გამოეთხოვა. ჯერჯერობით კონკრეტული კანდიდატურები არ სახელდება.

გვერდი მოამზადა
ლევან ბიბილაშვილმა

ძიუდო. სკანდალის გამოძახილი

ცირეკიძე გუნდს ჩამოაშორეს

მაგრამ შანსი დაუტოვეს

ირაკლი ცირეკიძე ეროვნულ ნაკრებთან ერთად არ ივარჯიშებს, მსოფლიოს პირველობისთვის ცალკე, დამოუკიდებლად მოემზადება და თუ სათანადო ფორმაში იქნება, მონაწილეობასაც მიიღებს - ასეთია საქართველოს ვაუ ძიუდოისტთა ნაკრების ავსტრიელ თავკაც **პეტერ ზაიზენბახერის** გადაწყვეტილება, რასაც საქართველოს ძიუდოს ფედერაციაც ეთანხმება. შესაბამისად, ცირეკიძე ვერც უახლოეს სალიცენზიო შეჯიბრებებში გამოვა და ვერც ნაკრების მოსამზადებელ შეკრებებში მიიღებს მონაწილეობას. ასეთ გადაწყვეტილებამდე მხარეები მას შემდეგ მივიდნენ, რაც ცირეკიძესთან დაკავშირება მოახერხეს და ესაუბრნენ კიდეც. ზაიზენბახერი ავტორიტეტებს არ სცნობს და დისციპლინის დაცვას ყველასგან ერთნაირად მოითხოვს. სწორედ ასეთი მიდგომით ხელმძღვანელობდა გადაწყვეტილების მიღებისას - სახლში წასვლა ყველას უნდა და მაგას რომ დავუთმო, მერე სხვებიც იმავეს მოითხოვენ, დისციპლინა დაირღვევაო. მწვრთნელი ერთ კომპრომისზე მაინც წავიდა - ოლიმპიური და მსოფლიოს ჩემპიონის დასჯა არ მოუთხოვია და შანსიც დაუტოვა.

სიმართლე გითხრათ, მწვრთნელის ამ გადაწყვეტილებაში ალოგიკური არაფერია, მაგრამ გაურკვეველია ორიოდე საკითხი - სად და ვისი ხელმძღვანელობით ივარჯიშებს ცირეკიძე და ხომ არ იყო შეუთანხმებლობა ზაიზენბახერისეულ სავარჯიშო გეგმასთან? სამწუხაროდ, ფედერაციაში ამაზე დაზუსტებით ვერაფერი გვითხრეს, მაგრამ ავსტრიელის სიტყვებით კი გავიგეთ იმის შესახებ, რომ ცირეკიძეს ძალიან ბევრი კითხვა უჩნდებოდა ჩემთანო.

ამასობაში ზაიზენბახერმა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო - საფუძვლიანად შეცვალა მსოფლიოს პირველობისთვის ნაკრების მოსამზადებელი გეგმა. თავდაპირველი განრიგით, გუნდს მთელი ივნისი სალიცენზიო ტურნირებში უნდა გაეტარებინა - მომავალი კვირიდან მოყოლებული, ზედიზედ უნდა ეჭიდავათ ბუქარესტში, ტალინში, რიო დე ჟანეიროსა და სან პაულუში, მაგრამ ამათგან ბრაზილიური შეჯიბრებები უკვე ამოვარდა სიიდან. სავარაუდოდ, ასეთივე ბედი ეწევა ესტონურსაც და ჩვენები მხოლოდ ბუქარესტში გამოვლენ, იმ ტურნირების სანაცვლოდ კი ორ შეკრებას გაივლიან იაპონიაში. „ამომავალი მზის ქვეყანაში" ჩვენები თვე-ნახევარი დარჩებიან და ადგილობრივ აკადემიებში ივარჯიშებენ. ზაიზენბახერი იქ 14 შეგირდით აპირებს წასვლას, თუმცა მათი ვინაობა ჯერ არ გაუმჟღავნებია. მწვრთნელმა ამ გადაწყვეტილების მიზეზად ის დაასახელა, რომ სალიცენზიო შეჯიბრებებში ვინც ადრევე გამოვარდება, მერე ძალაუნებურად საწვრთნელი რიტმიდანაც ვარდება. თან ამ დროს არც ის ვიცი, აქ დატოვებული ლიდერები როგორ მუშაობენ, ეს ყველაფერი კი ისედაც არღვევს ჩემს სავარჯიშო გეგმასო, განუცხადებია ავსტრიელს. მოკლედ, მან ამჯობინა, ნაკრების ყველა კანდიდატი თვალწინ ჰყავდეს და პირადად დააკვირდეს მათ, თავად აკონტროლოს შეგირდთა საწვრთნელი პროცესი. ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ მსოფლიომდე ნუთუ კანდიდატები არსად იჭიდავებენ? იაპონიაში ვარჯიში რომ წაადგებათ, ამაზე არავინ კამათობს, მაგრამ სატურნირო პრაქტიკაც ხომ აუცილებელია.

ამ უქმეებზე გუნდი ბუქარესტში გამოვა მსოფლიოს თასზე, სადაც ზაიზენბახერის გადაწყვეტილებით, **ბეთქილ შუკვანი, პაატა მერებაშვილი** (ორივე - 60), **შალვა ქარდავა** (66), **ნუგზარ ტატალაშვილი, ამბაკო ავალიანი** (ორივე - 73), **ავთანდილ ჭრიკიშვილი** (81), **ზვიად გოგოჭური** (90) და **ზვიად ხანჯალიაშვილი** (120) იჭიდავებენ. მწვრთნელმა ამჯერად 100 კილოში მონაწილის წაყვანა მიზანშეწონილად არ მიიჩნია.

ირაკლი თავაძე

ძიუდო. ახმეტის ტურნირი

ზვიადაური და მისი მწვრთნელი დაუფასეს

დღეს დამოუკიდებელი საქართველოს პირველ ოლიმპიურ ჩემპიონ **ზურაბ ზვიადაურის** დაბადების დღეა, გუშინ კი მისი პირველი მწვრთნელის - **გუგული აბრამიშვილის** დაბადების დღე იყო. მეორე წელიწადია, ამ ორი თარიღის აღსანიშნავად ახმეტაში, ზურაბ ზვიადაურის სახელობის ძიუდოს დარბაზში მოზარდ ძიუდოისტთა შორის საერთაშორისო ტურნირი - ტარდება. თუმცა წლევანდელი შეჯიბრება ცოტათი განსხვავებული აღმოჩნდა, რადგან ორ ასაკობრივ ჯგუფში გაიმართა - 16-წლამდელებში ზვიადაურის სახელობისა და 23-იანებში აბრამიშვილის სახელობისა. ამჟამად ორგანიზატორები საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო, საქართველოს ძიუდოს ფედერაცია, ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგეობა და ზვიადაურის სახელობის ძიუდოს სკოლა იყვნენ.

უცხოელთაგან შეჯიბრებაში ლიტვისა და აზერბაიჯანის გუნდები გამოდიან, თუმცა მასპინძლები ბევრად მეტს ელოდნენ. ყოველ შემთხვევაში, მოსაწვევი ბევრს გაუგზავნეს, თუმცა მათი ჩამოუსვლელობის მიუხედავად, მონაწილეთა რაოდენობაზე საყვედური არ ითქმის, რადგან ქვეყნის რაიონებიდან 15-ზე მეტი გუნდი ჩავიდა ახმეტაში. ასპარეზობები გუშინ უმცროსთა ოთხ და უფროსთა სამ წონით კატეგორიაში გაიმართა, დანარჩენი კი დღეს ჩატარდება. გუშინდელ შეხვედრებს სხვა საპატიო სტუმრებთან ერთად საქართველოს ვაუ ძიუდოისტთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი, ავსტრიელი **პეტერ ზაიზენბახერიც** ესწრებოდა, რომელმაც დაჯილდოების ცერემონიალშიც მიიღო მონაწილეობა.

უშუალოდ ასპარეზობის სპორტულ მხარეს რაც შეეხება, გუშინდელმა დღემ მასპინძელთა უპირატესობით ჩაიარა, თუმცა აზერბაიჯანელებმაც მოიპოვეს რამდენიმე მედალი, ლიტველთა ანგარიშზე კი ერთი ბრინჯაოა.

ქვარცხლბეკი

16-წლიანები. 55 კგ. 1. ბაჩანა ჭიკაიძე (დედოფლისწარო), 2. ჰიდაიატ ჰეიდაროვი (აზერბაიჯანი), 3. გიორგი ზაქაიძე, ლაშა ბუნტური (ორივე - დედოფლისწყარო).

60 კგ. 1. ბაირამ გუსეინოვი, 2. სამირ აკაევი (ორივე - აზერბაიჯანი), 3. დევიდას ტარულისი (ლიტვა), ვანო ჯანიბეგაშვილი (ახმეტა).

66 კგ. 1. ირაკლი გოგებაშვილი (ბოლნისი), 2. ნოვრუზ ნასიროვი (აზერბაიჯანი), 3. ალეკო კობაიძე (დედოფლისწყარო), მიტუშა ონიანი (თბილისი).

+66 კგ. 1. გიორგი ქურდიანი, 2. გიორგი გველესიანი (ორივე - თბილისი), 3. ვანო ჩურჩელაშვილი, ჯაბა მუმლაძე (ორივე - ახმეტა).

23-წლიანები. 55 კგ. 1. რაშიდ ხალილოვი (აზერბაიჯანი), 2. გიორგი ხუციანიძე, 3. გიორგი ზარაფიშვილი (ორივე - დედოფლისწყარო), სოსო ბაჯიაშვილი (ახმეტა).

60 კგ. 1. ვახტანგ ჩიდრაშვილი (თელავი), 2. გიორგი მახარაშვილი (გურჯაანი), 3. გიორგი ბუნტური, ცოტნე ნიკლაური (ორივე - დედოფლისწყარო).

66 კგ. 1. მინდია ლილუაშვილი (ზესტაფონი), 2. ბექა ვიბლიანი (ბოლნისი), 3. ზეზვა არაბული, იაკობ გაზდელიანი (ორივე - თბილისი).

ირაკლი თავაძე

საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს ერთ-ერთი უძლიერესი ვეტერანი ფალავანი, მსოფლიოს თასის მფლობელი და მრავალ საერთაშორისო ტურნირებში გამარჯვებული, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი, გენერალ-მაიორი

გივი ყვარელაშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს, ახლობლებს, კოლეგებს და მეგობრებს.

სპორტული მედიცინა

სემინარი თბილისში

უახლოესი სამი დღის განმავლობაში თბილისი სპორტულ სფეროში დასაქმებულ ექიმთა სემინარს უმასპინძლებს - საქართველოს სპორტული მედიცინის ასოციაციის ეგიდით გამართულ ამ ღონისძიებაზე მონვეული ქართველი თუ უცხოელი მედიკოსები სპორტსმენთა რეაბილიტაციის, კვებისა და სპორტული მედიცინის საკითხებზე ისაუბრებენ. ცხადია, დიდი ადგილი დაეთმობა დოპინგის თემასაც, რაზეც მოხსენებით საქართველოს ანტიდოპინგური სააგენტოს ხელმძღვანელი **პალიკო კასრაძე** გამოვა.

სპორტული მედიცინის ასოციაციის ხელმძღვანელი **ზურაბ კახაბრიშვილისგან** გავიგეთ, რომ სემინარს სხვა უცხოელ მედიკოსებთან ერთად ქართველთათვის კარგად ნაცნობი გერმანელი პროფესორი **ალბერტ გუზბახერიც** დაესწრება. აბა, მისი სტუმრობა ოპერაციებისა და კლინიკებში მუშაობის გარეშე როგორ ჩაივლის და გუზბახერი რამდენიმე ოპრაციასაც გააკეთებს, თუმცა ამჯერად პაციენტთა შორის ნაკლებად ცნობილი სპორტსმენები იქნებიან. ცნობილთაგან მხოლოდ ერთი გაივლის კონსულტაციას - თავისუფალ ჭიდაობაში ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონი, ოლიმპიური პრიზიორი **გიორგი გოგშელიძე**. გაზაფხულზე მან გუზბახერთან გერმანიაში ხელის ოპერაცია გაიკეთა და ახლა დასტაქარი ამ ხელის მდგომარეობას შეამოწმებს. სავარაუდოდ, საბოლოოდ სწორედ ამის შემდეგ გაირკვევა, გამოვა თუ არა გოგშელიძე მომავალი კვირის ბოლოს ვახტანგ ბალავაძის სახელობის საერთაშორისო ტურნირზე.

ირაკლი თავაძე

უნივერსიადა 2011

დანინაურდა ილიაული

თბილისის სპორტულ ბაზებზე დასასრულს უახლოვდება საქართველოს საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციისა და კომპანია „რომპეტროლის" ინიციატივითა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით ორგანიზებული „უნივერსიადა-2011". ჩემპიონები და პრიზიორები უკვე გამოვლინდნენ 16 სახეობაში. საერთო გუნდურ ჩათვლაში ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტსმენები დანინაურდნენ. მათ 13 ოქროს, 11 ვერცხლისა და 12 ბრინჯაოს მედალი (სულ-36) მოიხვეჭეს. მართალია, ჯილდოების საერთო რაოდენობა თსუ-ს (11, 14, 13) და აგრარულ უნივერსიტეტს (10, 11, 17) მეტი აქვთ, მაგრამ ისინი ილიაუნელებს ოქროებით ჩამორჩებიან.

უნივერსიადის პროგრამით მე-16 სახეობა, რომელსაც სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სპორტკომპლექსმა უმასპინძლა, იყო მკლავჭიდი. დაძაბული პაექრობების შემდეგ წონითი კატეგორიების მიხედვით პირველ ადგილებზე გავიდნენ: მარჯვენა ხელით - ნიკა წერეთელი (თსუ, 65 კგ), თორნიკე სიმონია (თსუ, 70), გიგა შარაზადიშვილი (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 75), ვანო ხარებაშვილი (თსუ, 80), მერაბ კაკაბაძე (აგრარული უნივერსიტეტი, 85), ვალერი გობეჯიშვილი (საავიაციო უნივერსიტეტი, +85). ცაციათი - ნიკა წერეთელი (თსუ, 65), თამაზ კვარაცხელია (აგრარული უნივერსიტეტი, 70), ლაშა დორეული (თსუ, 75), ზაზა თაბაგარი (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 80), ვახტანგ ბერიძე (სდასუ, 85), ვასილ დაუთაშვილი (სტუ, +85).

ვაჟა დანელია

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

ჭადრაკი

ლიდერს ნახევარი ქულით ჩამორჩება

ინდოეთში გრძელდება მოჭადრაკეთა საერთაშორისო ფესტივალი. გუშინ მე-6 ტურის პარტიები გათამაშდა. ქართველმა დიდოსტატმა **მიხეილ მჭედლიშვილმა,** რომელსაც 5 ტურის შემდეგ 4 ქულა ჰქონდა, თეთრი ფიგურებით მასპინძელთა საერთაშორისო ოსტატ **რადნაკარანს** სძლია და ერთპიროვნულ ლიდერ **მაგეშ ჩანდრან პანჩანადანს** (ინდოეთი) ნახევარი ქულით ჩამორჩება. ეს უკანასკნელი გუშინ თეთრი ფიგურებით თანამემამულე **პრასად არუნს** დაუზავდა. ასევე, ყაიმზე შეთანხმდნენ ინდოელები - **აბჯით გუფთა** და **სთენი.** აი, მასპინძელი **ადითუა უდეში** კი სომეხ **ტიგრან პეტროსიანს** დანებდა. ოთხქულიანთა დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: დევაკი პრასადი (ინდოეთი)-ალექსეი ალექსეევი (ბელარუსი) 0.5:0.5, ან მარი გომესი (ინდოეთი)-ზიაურ რაჰმანი (ბანგლადეში) 0:1, ტეის ბაკრე (ინდოეთი)-კულკარანი (ინდოეთი) 1:0, სერგეი კასპაროვი (ბელარუსი)-დას დებაშისი (ინდოეთი) 1:0, სარაჯ გროვერი (ინდოეთი)-სინგჰი (ინდოეთი) 1:0, სათუაფრაგუანი (ინდოეთი)-ენამულ ჰოსაინი (ბანგლადეში) 0:1, ვენკატეში (ინდოეთი)-ბითაინი (ინდოეთი) 1:0, ჩინა რედი (ინდოეთი)-აშივინი (ინდოეთი) 0:1.

ექვსი ტურის შემდეგ 12 მოჭადრაკეს 5-5 ქულა აქვს, ერთ-ერთს - ენამულ ჰოსაინს მჭედლიშვილი დღეს დაუპირისპირდება.

ვაჟა დანელია

ქართული სპორტი

● მძლეოსნობა

ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტოები

ბაქოში გამგზავრების წინ

ალექსი ახვლედიანი ფიქრობს ოლიმპიურ ჩემპიონებზე

გუშინ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი **ვლადიმერ ვარძელაშვილი** დიდუბის მძლეოსნობის მანეჟს ეწვია. ფედერაციის პრეზიდენტ **ალექსი ახვლედიანთან** ერთად დაათვალიერა „სპორტის დედოფლის“ სასახლის სარემონტო სამუშაოები, შემდეგ მძლეოსანთა ეროვნული ნაკრების ახალი ფორმის პრეზენტაციას დაესწრო, გზა დაულოცა ჩვენს ათლეტებს, რომლებიც გუშინვე საკუთარი ავტობუსით ბაქოში აზერბაიჯანის ღია ჩემპიონატში საასპარეზოდ გაემგზავრნენ.

- ბოლო დროს მძლეოსნობას დიდ ყურადღებას ვაქცევთ, რადგან ზოგადად ქართული სპორტისთვის მძლეოსნობის განვითარება ძალიან მნიშვნელოვანია, - გვითხრა ვლადიმერ ვარძელაშვილმა. - საამისოდ კონკრეტული ნაბიჯებიც გადავდგით. ფედერაციას შევუძინეთ ავტობუსი, ფორმები, დავინყეთ მძლეოსნობის მანეჟის სრული რეაბილიტაცია. სარეკონსტრუქციო სამუშაოების დასრულების შემდეგ „სპორტის დედოფალს“ უმაღლესი დონის ზამთრის სასახლე ექნება. აქ არა მარტო მძლეოსნებს, არამედ სპორტის სხვა სახეობის წარმომადგენლებს ვარჯიშის შესანიშნავი პირობები ექნებათ. ქართველ ათლეტთა სამსახურში იქნება, ასევე, ეროვნული და ქუთაისის სტადიონების მძლეოსნური სექტორები. ამ უკანასკნელის რეაბილიტაციასაც გაისად დავიწყებთ. აჭარაში აშენდება სტადიონი სარბენი ბილიკებით, ხოლო 2015 წლის ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალის მასპინძლობასთან დაკავშირებით თბილისის ზღვასთან ოლიმპიური სოფლის მშენებლობა იგეგმება, სადაც სხვა სარბიელთან ერთად ცალკე მძლეოსნობის სტადიონიც აშენდება.

ალექსი ახვლედიანი, მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი: *“წლეულს გაზაფხულზე დავიწყეთ მანეჟის სარეაბილიტაციო სამუშაოები და ის ახლა აქტიურ ფაზაშია: დაიგება სარბენი ბილიკები, დამონტაჟდება გათბობისა და განათების ახალი სისტემები, ტრიბუნები 1500 დასაჯდომი ადგილით, კეთილმოწყობა სასტუმრო, კვების ბლოკი და 5 სასპორტო დარბაზი, სამედიცინო ოთახი. მანეჟის რეაბილიტაციის საპროექტო ღირებულება 4 მილიონ ლარს შეადგენს. რომ არა სპორტის სამინისტროს კეთილი ნება და აქტიური დახმარება, საკუთარი ძალებით ამდენს ნამდვილად ვერ გავწვდებოდით. როგორც აღვნიშნე, სარეკონსტრუქციო სამუშაოები ახლა ისეთი ტემპით მიმდინარეობს, რომ, დარწმუნებული ვარ, მანეჟი შემოდგომისთვის მზად იქნება.*

დღესვე ეროვნული ნაკრების ერთიანი ფორმის პრეზენტაცია გვქონდა. ის სპორტული ნაწარმის იაპონური ფირმა ასიქს-ისგან შევიძინეთ გუნდის 40 წევრის შესამოსად. ამ ფორმით ჩვენი ათლეტები პირველად გამოვლენ საერთაშორისო სარბიელზე – მომავალ შაბათ-კვირას აზერბაიჯანის ღია ჩემპიონატში იასპარეზებენ. ეს იქნება ძალთა ერთგვარი შემონმება ევროპის გუნდური ჩემპიონატის წინ, რომელსაც 17-20 ივნისს რეიკავიკი უმასპინძლებს. ვიმედოვნებ, რომ ჩვენი ათლეტები ბაქოდან მედლებით დაგვიბრუნდებიან და ისლანდიაშიც გვასახელებენ.”

ვაჟა დანელია

მანეჟის დათვალიერებისას

ლოგოთ წარმოგიდგენთ ქართული სპორტის ქრონიკებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიოს ჩემპიონები საქართველოდან

ვლადიმერ რუბაშვილი

დაიბადა 26. 12. 1940, ნაოზა, მცხეთა. თავისუფალი ჭიდაობა (63 კგ). მსოფლიოს ჩემპიონი (1961), 1960 წლის რომის ოლიმპიური თამაშების მესამე პრიზიორი, სსრკ ხალხთა III სპარტაკიადის ჩემპიონი (1963), სსრკ ორგზის ჩემპიონი (1961, 62). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი. დაიღუპა ავტოკატასტროფაში 01. 02. 1964. დაკრძალულია თბილისში.

ხალხური სცენოსნური თამაშები

ყაბახი

საჯირითო მოედანი სამხედრო ვარჯიშებისა და სახალხო გართობისთვის ფეოდალურ საქართველოში. ყაბახობა აღწერილი აქვთ ვახუშტი ბატონიშვილს, არქანჯელო ლამბერტის, თეიმურაზ II-ს, გრიგოლ ორბელიანს, დიონიჯო კარლის, ნიკოლოზ ბარათაშვილს, გიორგი ერისთავს და სხვ. იტალიელმა მხატვარმა კრისტოფორო დე კასტელიმ (XVII ს.) დაგვიტოვა ყაბახობის ორი ნახატი. ძველ თბილისში ყაბახი გამართული იყო ორბელიანების მამულში. „აღმართავდნენ გრძელ ორთაყვირ ხესა და ზედა დასდგმიენ ოქროს ან ვერცხლის თასსა და დღესასწაულს ან ყველიერის დღეს

განვიდოდა მეფე და დიდებულნი ცხენებით იმ მოედანზედ და რიგ რიგათ ცხენთა რბენით გაუვლიდნენ იმ ყაბახსა და მშვილდით ისარს ესროდიან და ვინც ჩამოაგდებდა იმ თასს, იმას მისცემდნენ“ (სულხან-საბა ორბელიანი). ამავე ასპარეზზე თამაშობდნენ ცხენბურთს, იმართებოდა მარულაც. XVII საუკუნის იტალიელი მისიონერის დიონიჯო კარლის ცნობით, ქართლის მეფე გიორგი I-ის ნათესავის ქორნილთან დაკავშირებით ქართველებს ქალაქგარეთ დიდ მინდორზე თამაშობა მოუწყვიათ: „მინდვრის შუაზე აღმართეს მაღალი ყაბახი, რომლის წვერზე მოათავსეს ვერცხლის დაახლოებით 25 პიასტრად ღირებული თასი. შემდეგ ყველა ისინი, რომელთაც ჯირითში მონაწილეობა უნდა მიეღოთ და ცხენებზე იყვნენ შემსხდარნი, ერთი ისრის სასროლი მანძილით გაშორდნენ ყაბახს. თითოეულს რკინის წვეტშემოცლილი ისარითურთ დაჭიმული მშვილდი ეჭირა ხელში. მოასპარეზეებმა ერთბაშად ცხენებს დეზი ჰკრეს და გაშმაგებული ჭენებით ყაბახისკენ გაემართნენ. ყველას თვალი თასისკენ იყო მიპყრობილი. მხედრები ყაბახს დაუახლოვდნენ თუ არა, თასს ისარი სტყორცნეს. ვუყურებდი თუ როგორ ცდილობდა თვითეული მათგანი თასისთვის ისარი მოეხვედრებინა და ძირს ჩამოეგდო. ბოლოს ერთმა მოახერხა ეს, რამაც ირგვლივ მყოფთა საერთო აღტაცება გამოიწვია. ჭეშმარიტად ქების ღირსია ის, ვინც გაშმაგებულ ცხენს ასე აჭენებს, ოსტატურად ირჯება-ილუნება და ისარს ისე ტყორცნის, რომ ასეთ სიმაღლეზე ახვედრებს“ (1682 წლის 13 ივნისს, დიონიჯო კარლის მიერ აღწერილი ზეიმის ღამეს, თბილისში მინისძვრა მომხდარა და ამ მიზეზით თამაშობა შეუწყვეტიათ). ვახუშტი ბატონიშვილს ყაბახი ასე აქვს აღწერილი: „ხოლო აღდგომის წესი იყო ადრე ნათლებისად წირვა და შემდგომად წირვისა მცირედითა სანოვაგითა ხორცთათა აღიხსნიდიან პირთა მეფე და დიდებულნი. შემდგომად გამოვიდის მეფე და ყოველნი ნარჩინებულნი და მცირებულნი ასპარეზსა ზედა, და დასვიან სამეფო თასი ოქროსი ანუ ვერცხლისა ყაბახსა ზედა, და უწყიან სროლა მას თასსა ისარნი მოყმეთა, მას მისციან თასი იგი. შემდეგად ამისა შექმნიან ბურთაობა“ („აღწერა სამეფოსა საქართველოისა“. თბილისი, 1941 წ.).

ყაბახობა სხვადასხვაგვარი ყოფილა ძელზე შემოდგმულ სანიშნე თასს ესროდნენ მშვილდ-ისარს, ისინდს ან დამბაჩას. საასპარეზო მოედანზე აღმართავენ 6-მეტრიან ძელს, რომელზეც დადგამენ ნიშანს 30 სმ-ის სიმაღლის თასს ან ბურთს. ტარდება როგორც პირადი, ისე პირადგუნდური პირველობა. მშვილდით და ორი ისრით შეიარაღებული მხედრები გამწკრივდებიან ყაბახიდან 40-50 მეტრის მანძილზე. წინასწარ დაწესებული რიგის მიხედვით მწკრივიდან გასული მხედარი ნავარდით მიემართება ყაბახისკენ და მიახლოებისთანავე სამიზნეს ისარს სტყორცნის. თითოეულ მხედარს მხოლოდ ორ-ორი ისრის სროლის უფლება აქვს. ხელიდან გავარდნილი ისრის აღება აღარ შეიძლება, ის მხედარი კი, რომელსაც მშვილდი ხელიდან გაუვარდება, შეჯიბრებას ეთიშება. ძელიდან ჩამოგდებული თასი ჩამომგდებს ჯილდოდ გადაეცემა.

ეს დღეს

2-8 ივნისი

02. 1991 წ. სრულდება 20 წელი საქართველოს სროლისა და მშვილდოსნობის ეროვნული ფედერაციის დაფუძნებიდან

02. 1927 წ. დაიბადა **ლევან ინწკირველი** - კალათბურთი. გარდაიცვალა 2010 წელს

03. 1991 წ. სრულდება 20 წელი საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციის დაარსებიდან

03. 2008 წ. ფეხბურთის თამაში დაასრულა **შოთა არველაძემ**

04. 1976 წ. დაიბადა **აქვსენტი გიორგაძე** - რაგბი

04. 1991 წ. სრულდება 20 წელი საქართველოს კალათბურთის ეროვნული ფედერაციის დაარსებიდან

05. 1992 წ. ძველ ოლიმპიაში (საბერძნეთი) აღიმართა ძეგლი „მშვიდობის ჩირაღდანი“ - მოქანდაკე გიორგი შხვაცაბაია

95. 1990 წ. დაფუძნდა საქართველოს ხელბურთის ეროვნული ფედერაცია

06. 1961 წ. დაიბადა **ლიანა ცოტაძე** - წყალში ხტომა. დაბადებიდან 50 წელი.

06. 1993 წ. შეიქმნა საქართველოს ოლიმპიური და სპორტული ფილატელიის ასოციაცია

07. 1991 წ. სრულდება 20 წელი საქართველოს ჩოგბურთის ეროვნული ფედერაციის დაფუძნებიდან

07. 1936 წ. დაიბადა ქართული სპორტის მკვლევარი და საზოგადო მოღვაწე **ზურაბ ჯავახაძე.** დაბადებიდან 75 წელი

07. 1948 წ. დაიბადა **თემურ ბენდიაშვილი** - რაგბი

08. 1959 წ. დაიბადა **ზურაბ სტურუა** - ჭადრაკი

თქვენთვის ერუდიტებო

1. ფეხბურთში ევროპის I ჩემპიონატის ოქროს მედლები ქართველებიდან მოიპოვეს

ა — ბარძაიამ, მესხმა, კალოევმა
ბ — მესხმა, იამანიძემ, ბარძაიამ
გ — ჩოხელმა, მეტრეველმა, მესხმა

2. რომელ წლებში გამოდიოდა ქართული სპორტული ჟურნალი „მართვე“?

ა — 1970-1984 წლებში
ბ — 1975-1992 წლებში
გ — 1978-1990 წლებში

3. ქართული ხალხური სპორტის რომელი სახეობებია რადი და რადრაბაგანი?

ა — ცხენოსნობის (ცხენბურთი)
ბ — ცხენთა ჭენების ნაირსახეობა
გ — ლელობურთის მსგავსი თამაშები

4. რომელ წელს გახდა კახა კალაძე ფეხბურთში ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი „მილანის“ შემადგენლობაში?

ა — 2001 წელს
ბ — 2003 წელს
გ — 2005 წელს

5. რამდენმა ქართველმა იასპარეზა 4-4-ჯერ ოლიმპიურ თამაშებში?

ა — ორმა
ბ — სამმა
გ — ოთხმა

ᲞᲐᲡᲣᲮᲔᲑᲘ: 1-Გ, 2-Ა, 3-ᲒᲐ, 4-Ბ, 5-Გ

ᲯᲕᲠᲝᲡᲒᲝᲠᲓᲘ



ᲗᲐᲠᲐᲖᲣᲚᲐᲓ: 1. წარსულში საქართველოს სახელით მოასპარეზე რუსი მოჭადრაკე ქალი; 7. ვეტერანი აფხაზი თავისუფალი სტილით მოჭიდავე ... ხუტაბა; 8. აფხაზთა ეროვნული თამაშობა; 10. ლევან ცაგურიას მეტსახელი სუმოში; 11. თბილისელი ჩოგბურთელი, ვაუთა შორის სსრ კავშირის თასის 1952 წლის გათამაშების ფინალისტი; 13. ერთგვარი საჭადრაკო დებიუტი; 14. ვეტერანი ძიუდოისტი, ეროვნული ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი; 15. ვეტერანი ქართველი ფეხბურთელი, ლევან...; 16. მატჩის ნახევარი; 19. სპორტული პრიზი; 20. მოკლენიჩბიანი სპორტული ნავი; 21. თბილისის ყოფილი საკალათბურთო გუნდი; 22. ვიქტორ სანეევის მწვრთნელი; 24. იაპონური სპორტული ინტელექტუალური თამაში; 25. ფიგურულ ციგურაობაში: ხტომათა ნაირსახეობა, რომელიც სრულდება სვლიდან უკან გარეთ.

ᲨᲕᲔᲣᲚᲐᲓ: 1. პირველი რვაათასიანი მწვერვალი, რომელიც ადამიანმა დაიპყრო; 2. რუსეთის ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი; 3. კავკასიონის მწვერვალი (4350 მ); 4. კორეული ავტომობილი ... სპორტიჯი; 5. საქართველოში სპორტული ცურვისა და წყალბურთის ფუძემდებელი, ლუკა...; 6. ტვირთი, რომლითაც არეგულირებენ აეროსტატის აფრენას; 9. გაფრთხილება ძიუდოში; 12. "ზესტაფონის" მეკარე; 13. "რეკორდების წიგნი"; 16. ალპინისტთა გადასვლა მარშრუტით, რომელიც მოიცავს რამდენიმე მწვერვალს; 17. ვეტერანი ფეხბურთელი ძმების გვარი; 18. მოკლებეწვიანი მეძებარი ძაღლის ჯიში; 20. ზამთრის ოლიმპიური თამაშების (1988) მასპინძელი ქალაქი; 22. შუა სარმა ქართულ ჭიდაობაში; 23. აღვირის მორთულობა ოქროთი ან ვერცხლით.

შეადგინა ლალი ჭიჭინაძემ

ევრობასკეტი 2011

დარჩა 90 დღე

მაიკ ფრატელო: უკრაინის ნაკრებში ჯორდანი მივიწვიე...

მაიკ ფრატელო

ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრების მეტოქეა უკრაინა, რომლის სათავეში ცნობილი ამერიკელი სპეციალისტი **მაიკ ფრატელო** დგას. იგი უკრაინაში პლეი ოფების შეხვედრებს დაესწრო და „სპორტ-ექსპრესის" ჟურნალისტს ინტერვიუ მისცა. ეს პუბლიკაცია ქართველ მკითხველსაც დააინტერესებს, რადგან ეხება უკრაინის ნაკრებს, რომელსაც 4 სექტემბერს ვეთამაშებით.

- ორი თვის წინ, როცა ნაკრების თავკაცად დაინიშნეთ, თქვით - უკრაინულ კალათბურთზე ბევრი არაფერი ვიცი. ახლა?

- მას მერე არაერთ ადამიანს შევხვდი, ვნახე სუპერლიგის მატჩების ვიდეოჩანაწერები, ცოცხლად ვიხილე პლეი ოფის შეხვედრები. მაგრამ გამოგიტყდებით: ყველაზე მთავარი ნაკრების წევრებთან ურთიერთობაა, რომლის დროსაც ხედავ, როგორ იქცევიან და როგორ ასრულებენ მწვრთნელის მითითებებს. „ბუდიველნიკი"-"დონეცკის" მატჩის მსვლელობისას იყო ეპიზოდი, როცა, ჩემი აზრით, მწვრთნელს კალათბურთელი უნდა შეეცვალა, მაგრამ ეს არ გააკეთა. იმ მოთამაშემ მატჩის ბოლოს თავი კარგად წარმოაჩინა და კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ ძალიან მნიშვნელოვანია მწვრთნელმა თავისი კალათბურთელის პოტენციალი ზედმიწევნით იცოდეს და ბოლომდე ენდოს.

- არ გაღელვებთ უკრაინულ კლუბებში ადგილობრივი კალათბურთელების მეორეხარისხოვანი როლი?

- ძნელია ამ საკითხზე ლაპარაკი, როცა ყველა წყალქვეშა დინება არ იცი. მაგალითად: ერთი ახალგაზრდა უკრაინელი სლოვენიაშია. ვკითხე, სამშობლოში რატომ არ თამაშობ-მეთქი. ამიხსნეს, არის გარკვეული მომენტები, რომლებიც კალათბურთელებს მსგავსი გადაწყვეტილების მიღებას აიძულებს.

- ამ საკითხზე თქვენ რას ფიქრობთ?

- NBA-ში იყო დიდი მწვრთნელი ჩაკ დეილი. მან ერთხელ შენიშნა, რომ ინტერვიუსას კალათბურთელმა ისეთი სახე მიიღო, თითქოს ყველაფერი იცოდა. ჩაკ დეილიმ იქვე შენიშნა: „აი, კიდევ ერთი ადამიანი, რომელიც თავს გენიოსად ასაღებს". ამიტომ, როცა საქმის კურსში არ ვარ, შორსმიმავალ დასკვნებს არ ვაკეთებ.

- უკრაინის ნაკრებისთვის „დნეპრის" გამთამაშებლის სტივენ ბურტის ნატურალიზირებას აპირებდით.

- კალათბურთელთა ნატურალიზაცია ევროპაში მიღებული პროცესია. უკრაინის ფედერაციის პრეზიდენტი ალექსანდრ ვოლკოვი ამ საქმეში დახმარებას დამპირდა. რა სტადიაშია ბურტის საკითხი პრეზიდენტს უნდა ჰკითხოთ.

- სხვა კანდიდატურები არ განიხილებოდა?

- ამ საკითხს სიფრთხილით უნდა მივუდგეთ. კალათბურთელის მიწვევისას მას კარგად უნდა იცნობდე და დარწმუნებული იყო, რომ გადაწყვეტს იმ პრობლემას, რისთვისაც მას ნაკრებში იწვევ. ვფიქრობ, ბურტი სწორედ ის მოთამაშეა, რომელსაც უკანა ხაზში პრობლემის მოგვარება შეუძლია. თუმცა, უკეთესი ვარიანტიც მქონდა - უკრაინის ნაკრებში თამაში მაიკლ ჯორდანს შევთავაზე, მაგრამ უარი მივიღე, არ მცალიაო.

- ნაკრების სამწვრთნელო შტაბი თუ დააკომპლექტეთ?

- ჯერ არა. გვინდოდა ვიტალი პოტაპენკოს მოწვევა, რომელიც ჩემი ხელმძღვანელობით „კლივლენდში" თამაშობდა, მაგრამ მან უარი გვითხრა, რადგან მეორე შვილი ახლახან შეეძინა და ზაფხულის ოჯახურ ატმოსფეროში გატარება აქვს გადაწყვეტილი.

- ნაკრებში სათამაშოდ NBA-ს წარმომადგენელი ზოგიერთი უკრაინელი უხალისოდ ჩამოდიოდა. კლუბებისგანაც იყო შეფერხება...

- ადრე ამერიკაში ნაციონალურ გუნდში თამაში არაპრესტიჟულად ითვლებოდა. ბოლო დროს სიტუაცია შეიცვალა. მწვრთნელებმაც გააგებინეს კალათბურთელებს, რაოდენ მნიშვნელოვანია ეროვნული ღირსების დაცვა. ბავშვები ხედავენ, რომ ბრაიანტი და უეიდი ნაკრებში თამაშობენ და ისინიც იქ მოხვედრისკენ ისწრაფვიან.

- „იუტა ჯაზის" მეფარე კირილ ფესენკოს თუ ესაუბრეთ?

- რამდენჯერმე ველაპარაკე კირილის აგენტს, რომელმაც მითხრა, რომ ფესენკო ნაკრების განკარგულებაში იქნება, შეკრებამდე კი ინდივიდუალურად ივარჯიშებს, რათა ნაკრებს მომზადებული შეუერთდეს. უახლოეს დღეებში ფედერაციის პრეზიდენტ ალექსანდრ ვოლკოვთან ვისაუბრებ ნაკრების კანდიდატებზე, რომელთა მიმართაც გარკვეული მოთხოვნები მექნება. თითოეულმა კალათბურთელმა უნდა იცოდეს, რისთვის ვხარჯავთ დროს.

- ვოლკოვმა მიზნად ჯგუფიდან გასვლა დაგისახათ. რამდენად რეალურად მიგაჩნიათ ეს ამოცანა?

- ბევრი შრომა მოგვიწევს, პირველივე მატჩში ძლიერ გუნდს ვხვდებით - რუსეთის ნაკრებს. 31 აგვისტომდე გვაქვს საკმარისი დრო სათანადოდ მოსამზადებლად. სადღეისოდ კი ჩემი ამოცანა მოთამაშეთათვის ჩემი მოთხოვნების გაცნობა და ერთმუშტად შეკვრაა. შანსი ყოველთვისაა, მაშინაც კი, როცა ირგვლივ ამის არავის სჯერა. მთავარია - გავაერთიანოთ მიზნები, ვენდოთ ერთმანეთსა და გამოვავლინოთ ჩვენი ხასიათი...

2010 წელი. თბილისი. საქართველო-უკრაინა. გიორგი შერმადინი და კირილ ფესენკო

● ფრიქნული ინფორმაცია

გაკვირვეს

მანუ ფინალს მიუახლოვდა

იტალიის ჩემპიონატის ნახევარფინალური სერიის მეორე მატჩში „კანტუმაც" გაამეორა და **მანუჩარ მარკოიშვილმაც**: „კანტუმ" მეორედაც დაამარცხა „მილანი" (ამჯერად 70:64), ხოლო მანუჩარმა წინა მატჩის სტატისტიკა გაიმეორა - 7 ქულა ჩააგდო, ფარიდან ასხლეტილი ბურთი 4-ჯერ მოხსნა, 2 შედეგიანი გადაცემა მიითვალა და 4-ჯერ დაჯარიმდა. პირველ და მეორე შეხვედრებს შორის მხოლოდ ის სხვაობა იყო, რომ გუშინ მარკოიშვილმა 9-ით მეტი, 24 წუთი ითამაშა და 1 ჩაჭრაც მიითვალა. მან 4-დან 2 ორქულიანი და 3-დან 1 სამიანი ჩააგდო.

„კანტუმ" ამჯერადაც გუნდური თამაშის წყალობით მოიგო, რასაც მექუულეთა სტატისტიკაც მეტყველებს: კალათბურთელებმა ქულები თითქმის თანაბრად გაიყვეს - **მაძარინომ** 13 ქულა ჩააგდო, **ლეუნენმა** - 12, **სეკიჩმა** და **მიკოვმა** - 11-11. დანარჩენი ხუთი მოთამაშე ერთნიშნა რიცხვით დაკმაყოფილდა.

„მილანმა" 64 ქულა მოაგროვა, რაც იმას ნიშნავს, რომ მასპინძლებმა დაცვაშიც მწყობრად ითამაშეს. დიდი დატვირთვა მოდიოდა მანუჩარზე, რომელსაც მეტოქეთა ლიდერის **დევიდ ჰოუკინსის** მეურვეობა უნევდა. ამერიკელი ლეგიონერი სეზონში საშუალოდ 13 ქულას აგროვებს, გუშინ ღამით კი 6 ბალს დასჯერდა.

კანტუელებმა პირველი ტაიმი დამაჯერებლად ჩაატარეს და დიდ შესვენებაზე 12-ქულიანი ფორით გავიდნენ - 45:33. საინტერესოა, რომ მანუს თანაგუნდელებს სანყის 20 წუთში 7 სამქულიანი ჰქონდათ ჩაგდებული.

მეორე ტაიმში მილანელებმა პერიმეტრი კარგად გადაკეტეს, ასევე შედეგიანად ათამაშდნენ სამწამიან ზონაში და სხვაობაც ნელ-ნელა მცირდებოდა. სირენამდე 2 წუთით ადრე სტუმრები „კანტუს" 3 ქულით მიუახლოვდნენ (ჰოუკინსი, 59:62) და მას მერე განზრახ ჯარიმების ტაქტიკას მიჰყვეს ხელი. თუმცა, კანტუელები საჯარიმოს ხაზიდან ბურთს არ აცილებდნენ და მეტოქეც იძულებული გახდა მოგებაზე ფიქრი მესამე თამაშისთვის გადაედო.

საინტერესოდ იქცეოდა „კანტუს" მწვრთნელი **ანდრეა ტრინჩიერი**: როცა ჯარიმას კანტუელები ისროდნენ, მოედანზე **ბენჟამინ ორტნერი** შეჰყავდა, ხოლო „მილანის" შეტევისას ორტნერს **დენის მარკონატოთი** ცვლიდა. ამას ობიექტური მიზეზი ჰქონდა: ორტნერი სნრაფია და მეტოქის ნახევრიდან საკუთარზე სნრაფად ბრუნდებოდა, სამაგიეროდ მარკონატო უფრო მალალი, ათლეტურია და საკუთარ ფარზე ბურთს არავის ანებებდა.

ტრინჩიერის ტაქტიკამ ამჯერადაც გაამართლა: „კანტუ"-"მილანი" 2:0. სერია სამ მოგებამდეა. მომდევნო მატჩი მილანში 3 ივნისს გაიმართება.

● გახსენება

სულით სპორტსმენი



„ამ სახლში ცხოვრობდა ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო კალათბურთელი, ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი და მწვრთნელი, ღირსების ორდენის კავალერი ლევან ინწკირველი", - ასეთი მემორიალური დაფა ამშვენებს სახლს, რომელიც ლარსის ქუჩა 4-ში მდებარეობს.

მემორიალური დაფის გახსნაზე გუშინ ლევან ინწკირველის მეგობრები და ოჯახის ახლობლები შეიკრიბნენ. დაფიდან კი ფარდა მისმა შვილიშვილმა, პატარა ლევან ინწკირველმა ჩამოხსნა.

ჩემპიონთა თასის მფლობელი, რომელსაც გუშინ 84 წელი შეუსრულდებოდა, შარშან გარდაიცვალა. იგი ვეტერანმა დინამოელმა **ვაჟა ულენტმა** ასე დაახასიათა:

- კარგია, რომ დავიწყებას არ ეძლევა ღვაწლმოსილი სპორტსმენის სახელი. არადა, არის არაერთი მაგალითი, როცა ცნობილი სპორტსმენების მოგონებაც არ რჩება. ლევანი ჯიგრიანი, ტემპერამენტიანი და მეტად ტექნიკური, სულით სპორტსმენი იყო. მასთან ერთად დიდი „დინამოს" წევრი გახლდით, რომელმაც სამ-სამჯერ მოიგო საბჭოთა კავშირის ჩემპიონატი და თასი.

ვაჟა გვანცელაძემ განაგრძო:

- ლევანმა კალათბურთი 16 წელი ითამამაშა, მასთან ერთად გუნდში 10 წლის განმავლობაში ვირჯებოდი. ინწკირველის გვერდზე ასპარეზობა სასიამოვნო იყო. იგი მრავალმხრივი ადამიანი გახლდათ, ბილიარდსაც შესანიშნავად თამაშობდა და ფეხბურთსაც. მახსოვს, დილობით ფეხბურთელებთან ერთად შეკრებაზე ვიყავით. ლევან ინწკირველი და ვაჟა ღლენტი ორ მათგანს ფეხბურთში გაეჯიბრნენ და მოუგეს.

ილარიონ ხაზარაძეს ლევან ინწკირველთან ერთად 1962 წელს ჩემპიონთა თასი აქვს მოგებული:

- ძნელია ჩემთვის მეგობრის გახსენება, რომელთანაც 10 წელი ვითამაშე. თუმცა, კარგია, რომ ქალაქს მისი მემორიალური დაფაც დაამშვენებს.

ბოლოს ლევან ინწკირველის მონაგარს გაგაცნობთ. იგი იყო ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი 1962 წელს; საბჭოთა კავშირის სამგზის ჩემპიონი 1950, 1953, 1954 წლებში; სამგზის მეორე 1959, 1960, 1961 წლებში და ორგზის მესამე პრიზიორი 1948, 1952-ში; სამგზის საბჭოთა კავშირის თასის მფლობელი 1949, 1950, 1951 წლებში. ლევან ინწკირველი 1963-64-ში თბილისის „დინამოს" მოთამაშე მწვრთნელი გახლდათ, ხოლო მთავარ მწვრთნელად 1968-70 წლებში მუშაობდა. მისი ხელმძღვანელობით გუნდი გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი (1968), მეორე პრიზიორი (1969) და თასის მფლობელი (1969).

გვერდი მოამზადა
ვაჟა სიმონიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

● მსოფლიო ალაფი

ვერც ლონით გაპობენით, ვერც ხერხით ვაჯობეთ

საქართველო	14
იაპონია	29

საქართველო (15-9) კობახიძე, ძნელაძე, მარგიანი (გაგოშვილი 70), გაბროშვილი (მჭედლიშვილი 41), აბრამიძე, კვარაცხელია, ლამბაშიძე (ჯინაშვილი 74)(1-8) ფუანია (ნავროზაშვილი 41), ჩომახაშვილი (მატკავა 41), ჩილაჩავა, ბინაძე, მიქაუტაძე (ულენტი 65), თხილაიშვილი, ტყეშელიაძე, ლოსაბერიძე (ჩხიკვაძე 68)

ლ: ნავროზაშვილი. 3ს: კობახიძე

იაპონია (15-9) კუროსავა, ჰიკოსაკა, ვაიფუ, ნუნომაკი, ჰანო, ნაკამურა, უჩიდა. (1-8) კიტაგავა (იშიძავა 60), ნავაი (მუკარაკა 71), ენოკი, აშიია, სონანაკა, ცუჯი, კიმი, ოშდა.

3ლ: ჰიკოსაკა (2), ჰანო. 4ს, 3: ნაკამურა.

სინბინი: ენოკი.

მსაჯი: ხოაკიმ მონტესი (ურუგვაი)

„სამწუხაროდ, ჩვენი თამაშის ძლიერი მხარეები ვერ გამოვიყენეთ, უპირატესობის მოპოვება ვერ შევძელით. მეტოქემ სწორედ იმ კომპონენტში დაგვჯაბნა, რომლითაც ჩვენ ვაპირებდით გარმატების მიღწევას. რაკსა და მოლში თამაშშიც გვაჯობეს. ერთი სიტყვით, ჩვენზე უკეთეს გუნდთან წავაგეთ“ - თქვა ნამატჩევს საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **პაატა ნარიმანაშვილმა.**

„მსოფლიოს ახალგაზრდული ალაფის“ ჯგუფური ტურნირის ბოლო შეხვედრა „უმცროსმა ბორჯღალოსნებმა“ მატჩის პირველ ათ წუთში წააგეს. დასანყისშივე უყურადღებობის გამო დაშვებული სამი შეცდომა ჩვენს გუნდს 11 ქულად დაუჯდა. ამ ჩამორჩენის აღმოფხვრის ძალა კი, როგორც მოგვიანებით გაირკვა, ქართველ მორაგბეებს არ აღმოაჩნდათ.

ანგარიში იაპონელებმა მეორე წუთზე გახსნეს. მეტოქემ პირველივე შეტევა აქტიურად წამოიწყო, ჩვენს 22-მეტრიან ზონაშიც შემოაღწია, თუმცა ბურთი ავართვით და იქვე რაკში თამაშისას დავჯარიმდით. იაპონიის ნაკრების მგეზავმა **რიოდო ნაკამურამ** ხელსაყრელი პოზიციიდან საჯარიმო ზუსტად დაარტყა - 3:0.

ანგარიში სტუმრებმა სამ წუთში, მომდევნო შეტევაზევე გაზარდეს. ჩვენმა გუნდმა ისევ რაკში თამაშისას დაარღვია წესი და ნაკამურამ თავისიანებს კიდევ ერთხელ მოუტანა სამი ქულა - 6:0.

იაპონელთა მორიგი, მესამე შეტევა კი უკვე ლელოთი დასრულდა. მარცხენა ფრთაზე მორკინალებმა ჩვენი გუნდის 22-მეტრიან ზონაში შეაღწიეს და მერე ბურთი სწრაფად მარცხნივ, გრეძელ ფრთაზე ჩაათამაშეს. იქ კი გარემარბ **მასაკაცუ ჰიკოსაკას** შეჩერება ვერაფრით შევძელით. ნაკამურამ ვერ გარდასახა - 11:0.

ამ დროის განმავლობაში საქართველოს ნაკრებს, პრაქტიკულად, არაფერი გაუკეთებია. იაპონელებმა აშკარად დაგვჯაბნეს დერეფანში თამაშში, არადა, ერთადერთი, ძალიან მარტივი კომბინაცია ჰქონდათ, რომლის განეიტრალებაც ჩვენმა უფრო მაღალმა მორკინალებმა ვერაფრით შეძლეს. წავაგეთ, უფრო სწორად კი უხეიროდ ავაგდეთ რამდენიმე საკუთარი დერეფანი.

ნათლად ჩანდა, რომ იაპონელთა მწვრთნელს, **იუკიო მოტოკის** საქართველოს ნაკრების თამაში წვრილად ჰქონდა გაშიფრული, შესწავლილი და კონტრზომებიც ზუსტად დამუშავებული. მეტოქის მოთამაშეები თავგანწირვით, დაცვაში მაქსიმალური ყურადღებით იბრძოდნენ და ჩვენს მორკინალებს მიძალების საშუალებას არ აძლევდნენ. იმ შემთხვევაში კი, როცა ბურთი ხაზზე გაგვქონდა ხელდახელ სათამაშოდ მუდამ შეცდომას ვუშვებდით.

ერთი სიტყვით, ის თამაში, რაც გამარჯვებას მოგვიტანდა, ვერაფრით ავანყვეთ. ცხადია, „უმცროს ბორჯღალოსნებს“ ფარ-ხმალი არ დაუყრიათ და პირველი ათი წუთის შემდეგ უფრო სწრაფად და მძლავრად ამოქმედდნენ. თუმცა, სამწუხაროდ, სალელოვე შეტევის ორგანიზება ვერაფრით მოვახერხეთ. იაპონიის ნაკრები შეუვალი კედელივით იდგა.

ცხადია, შეცდომებს ყველა უშვებს და ჩვენმა მეტოქემაც, მეტადრე შერკინებაში თამაშისას რამდენიმე შეცდომა დაუშვეს. კერძოდ, ჩვენი გუნდის შერკინების ბურჯს **ლევან ჩილაჩავას** ვიზავი **მაო ენოკი** წინააღმდეგობას ვერ უწევდა. მან რამდენჯერმე განზრახ ჩააქცია შერკინება. არბიტრმა ჯერ სიტყვიერად გააფრთხილა იაპონელი, მერე კი ტაიმის მიწურულს სინბინში გაუშვა.

საბოლოოდ, პირველ ტაიმში ის მოვახერხეთ, რომ ფულბეკმა **ბახვა კობახიძემ** სამი საჯარიმო გაიტანა, რაზეც ნაკამურამ ერთით უპასუხა - 14:9, ასე დასრულდა პირველი ტაიმი.

შესვენებისას საქართველოს ნაკრების მწვრთნელმა სამი ცვლილება განახორციელა. შეცვლილთაგან ორი პირველხაზელი იყო. მათ ჩვენი გუნდის თამაში საგრძნობლად გამოაცოცხლეს და დაახლებით 15 წუთის განმავლობაში მეტოქის მოედნის ნახევარზე „დავბანაკდით“, მაგრამ, სამწუხაროდ, 49-ე და 52-ე წუთებზე ზედიზედ ორი საჯარიმო ვერ გაიტანა და ანგარიშში დაწინაურების რეალური შანსი ხელიდან გავუშვით.

ეს კი მეტოქემ არაფრით გვაპატია. სამ წუთში მათ შესანიშნავი კომბინაცია გაითამაშეს. დერეფანი, საქართველოს ნაკრების 22-მეტრიანი ზონის მისადგომებთან ჩვეულებრივ მოიგეს, მოლი შეკრეს და ხუთიოდ მეტრით წინ ნაინიეს. ბრძოლაში ქართველი მორაგბეები მრავლად ჩაერთნენ. იაპონელთა ცხრა ნომერმა **კეისუკე უჩიდამ** მოულოდნელად ბურთი მოლიდან გამოიტანა და მარცხნივ, გრძელ ფრთაზე ჩაათამაშა. ერთი-ერთზე დარჩენილმა მეტოქის უკანახაზელებმა ჩვენს უკანახაზელებს ხელდახელ ბურთაობაში აჯობეს და გარემარბმა მასაკაცუ ჰიკოსაკამ მატჩში მეორე ლელო მიითვალა. ნაკამურამ გარდასახა - 21:9.

დაკარგული, ცხადია, ჯერ არაფერი იყო. 20 წუთი საკმარისი დროა მატჩის ბედის შემოსაბრუნებლად და ჩვენს ბიჭებს საამისოდ ცდა არ დაუკლიათ. 62-ე წუთზე მოედნის ცენტრში დანიშნული საჯარიმო კობახიძემ აუტში გადაიტანა. მეტოქის ლელოდან რვა მეტრში დერფანი სუფთად მოვიგეთ, მოლი შევკარით, თუმცა იაპონელებმა მისი დაძვრის საშუალება არ მოგვცეს.

ბურთით გიორგი ტყეშელიაძე

წარმოქმნილი რაკიდან ბურთი მესამეხაზელმა **გიგა თხილაიშვილმა** აიტაცა და მარჯვენა გრძელ ფრთაზე შეუტია, მას კიდევ ერთი მესამეხაზელი **გიორგი ტყეშელიაძე** წამოეშველა, ისევ რაკი და ცხრა ნომერმა **ჯიმი ღამბაშიძემ** დროულად შენიშნა, რომ მარცხენა ფრთაზე მისი თანაგუნდლები იაპონელ მორაგბეებზე მეტნი იყვნენ. ღამბაშიძემ ბურთი დროულად სწორედ იქით გაათამაშა. ლევან ჩილაჩავამ ორიოდე მეტრი წინ წაინია და კიდევ უფრო მარჯვნივ ეფექტურად გადააწოდა შეცვლაზე შესულ **ზაზა ნავროზაშვილს,** რომლის შეჩერებაც იაპონელებმა ვეღარ შეძლეს. გარდასახვა ასევე შეცვლაზე შესულმა შუამარბმა **უჩა მჭედლიშვილმა** დაარტყა, მაგრამ ვერ გაიტანა - 14:21.

ეს იყო ჩვენი მოწინააღმდეგის ერთადერთი სერიოზული შეცდომა მთელი თამაშის განმავლობაში. მიუხედავად იმისა, რომ დრო მატჩის გადასარჩენად საკამარისად იყო დარჩენილი, „უმცროსმა ბორჯღალოსნებმა“ მონაგარს ვეღარაფერი შესძინეს.

იაპონელებმა კი ჯერ 67-ე წუთზე ნაკამურას საჯარიმოთი ანგარიშში სხვაობა 10 ქულამდე გაზარდეს, მერე კი 10 წუთში ჩვენი საფირმო ხერხით, მოლით ლელო გაგვიტანეს. ნაკამურამ ვერ გარდასახა - 29:14.

ამრიგად, საქართველოს ნაკრები ჯგუფში მეორე ადგილს დასჯერდა და ახლა 5 ივნისს ტურნირზე მესამე ადგილისთვის ურუგვაის ნაკრებს დაუპირისპირდება. ფინალში კი, პირველობისთვის და 2012 წელს სამხრეთ აფრიკაში გასამართი მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურისთვის, იაპონიის ნაკრები A ჯგუფის გამარჯვებულ სამოას გუნდს ეთამაშება.

მაბჩის ჯენტლენ

პაატა ნარიმანაშვილი, საქართველოს ნაკრების მწვრთნელი:

„ვერაფრით წარმოვიდგენდი, იაპონიის ნაკრები შერკინებასა და ძალისმიერ თამაშში თუ გვაჯობებდა. სამწუხაროდ, მატჩის დასაწყისში უყურადღებობის გამო მეტოქეს დაწინაურების საშუალება მივეცით.

ბახვა კობახიძემ, რომელიც აქამდე შესანიშნავად თამაშობდა, ხელსაყრელი პოზიციიდან ორი საჯარიმო ვერ გაიტანა. ეს, უწინარესად, ზედმეტი ნერვიულობის ბრალია.“

დავით ლოსაბერიძე, საქართველოს ნაკრების კაპიტანი:

„იაპონელებს მატჩის დასაწყისშივე ჩვენ მივეცით დაწინაურების საშუალება. მოვდუნდით და სამჯერ დავჯარიმდით. თავიდანვე ანგარიშში წინ გავუშვით და ვეღარ დავეწიეთ. შერკინებაშიც გაგვჭირდა და უკანა ხაზიც ვერ დადგა სათანადოდ. თავდადებით იბრძოდნენ და ვერ გავტეხეთ“

საბურნირო მდგომარეობა

A ჯგუფი

1. სამოა -15 ქულა, 2. ურუგვაი - 9, 3. რუსეთი - 5, 4. აშშ - 2.

B ჯგუფი

1. იაპონია - 14 ქულა, 2. საქართველო - 10, 3. კანადა - 5, 4. ზიმბაბვე - 0

VII ადგილისთვის

ზიმბაბვე-აშშ

V ადგილისთვის

კანადა-რუსეთი

III ადგილისთვის

საქართველო-ურუგვაი

ფინალი

სამოა-იაპონია

ბესიკ ჯანგავაძე

ურუგვაი	33
აშშ	5

ურუგვაი (15-9) დელ კერო, ფავარო (პასინი 72), ბარხესი, პრადა, რომანო, სილვა (ბერბატო 75), დურანი. (1-8) ბენაიუნი, კარისიმი, ეჩევერია (ჰედო 62), ლამანა, ლაკოსტე, ალონსო (ჰერნანდესი 66), სპეკერი (ზერბინო 66), ჰუპპო.

4ლ: დელ კერო, ლამანა, პრადა, ბენაიუნი. 3ს,2გ: ბარხესი

აშშ (15-9) ჯო კოული, სოოიალო, ფარელი (ფელონი 74), ჯოუნზი (მილსი 62), ჰოგსი, მეგი, დურანი. (1-8) აუმატაგი, ლატუ, მალენი (მაკლოიდი 66), კოლემანი, ტრეისი (ტრეისი 38), კოლერი, სანტი, ოჰარა

ლ: მეგი

მსაჯი: ტუი კომიტი (სამოა)

სამოა	50
რუსეთი	14

სამოა (15-9) პოლიკო, იონა, სუა, ლილომაივავა (ალაუნი 67), იოსუა, ფააპალე (ფაავე 54), აფემაი (ტუია 64). (1-8) ფაატუ, ლაფო, სმითი (ალაალატოა 63), სკელტონი (ტოქიტელე 64), ტაქატაული, ფააფოუ, ფოე, სემეანე (ტაუფუა 54).

7ლ: ლილომაივავა (4), იოსუა, სუა, ფააფოუ.

რუსეთი (15-9) სიმპლიკევიჩი, ტოლმაჩევი (ისაევი 67), მარტინი, ვასილიევი, ნიკუჩენკო, იაშვიკოვი (კუკიშევი 67), გოდლიუკი. (1-8) სკობიოლა (კოსობოჩკინი 51), სელსკი, მატვეევი (ჩაჩურა 71), გალიცკი, შირინოვი (სტეპანოვი 67), პოჩეჩუევი (რაზუმოვი 74), ფივატოვი, ვენგეროვი (ბერზინი 37)

2ლ: სიმპლიკევიჩი, ტოლმაჩევი. 2გ: გოდლიუკი

მსაჯი: რადუ პეტრესკუ (რუმინეთი)

კანადა	49
ზიმბაბვე	23

კანადა (15-9) კეი, აპელდორნი (მანდი 73), ფუაილეფაუ, პარფრეი, ჰესლერი, პარმსტრა, ფერგუსონ (ნილი 48). (1-8) მაკლოიდი, ჩო, მაპარი (ტენატი 52), ჰემბრიზი (სტოუნზი 52), პიერსი (დობრავსკი 69), ოლმსტიდი, კელი, არდონი.

7ლ: ჰესლერი (2), ნილი, ტენატი, ერდრონი, პიერსი, ფუაილეფაუ. 7გ: ფერგუსონი (2) პარმსტრა (5)

ზიმბაბვე (15-9) ცუმა, კოლი, კუცია, ფან რენსბურგი, ჩივანზა, ლინფილდი (ნელსონი 58), ჯიჯი. (1-8) სიბანდა, კარურუ, ბრაის-როჯერსი (მაკომვა 43), ჯარავაზა, ლოგანი (მუტანგადურა 76), მანდივანზა, ჯონესი, მემა (ჩიკაკა 58).

3ლ: ჯიჯი (2), კოლი. 2ს: ლინფილდი (2). გ: ნელსონი

მსაჯი: ტაიზო ჰირაბაიაში (იაპონია)

ლევან ჩილაჩავას შეტევა

იაპონელებმა რაკში თამაშშიც გვაჯობეს

msy.gov.ge

● კალათბურთი

NBA. პლეი-ოფი. ფინალი

სუპერმენს დარჩენა უნდა?

დუაიტ ჰოვარდი

„ორლანდო მეჯიქის“ ხელმძღვანელობამ თავისი ლიდერის **დუაიტ ჰოვარდის** შენარჩუნებაზე ზრუნვა დაიწყო. „სუპერმენმა“ ამასწინ მიცემულ ინტერვიუში ფლორიდულ კლუბში დარჩენის სურვილი გამოთქვა და „ორლანდოში“ სასწრაფოდ დაიწყეს ახალ წინადადებაზე მუშაობა.

რამდენიმე წყაროს ცნობით, კლუბის შეფობა დუაიტს კონტრაქტის ორი წლით გახანგრძლივებას შესთავაზებს და მაქსიმალურ ხელფასს დაუნიშნავს ლიგის საუკეთესო ცენტრს.

წესით და რიგით, ახალი კონტრაქტის გაფორმება უახლოეს მომავალში მოხდება, იქამდე, სანამ მიმდინარე კოლექტიური ხელშეკრულებაა ძალაში.

ამ ინფორმაციის პარალელურად გავრცელდა ცნობა იმის შესახებ, რომ ჰოვარდის ხელში ჩაგდება სურს „ჩიკაგო ბულზს“. ამისთვის ილინოისელები „ორლანდოსთვის“ საინტერესო ტრეიდის შეთავაზებას აპირებენ, თუმცა შესაძლო გარიგების კონკრეტული დეტალები ჯერ არ გაჟღერებულა.



უეიდის გაფრენა

ანგარიში ჰიტმა გახსნა

„მაიამი ჰიტმა“ მოგებით დაიწყო პლეი ოფის ფინალური სერია. საკუთარ მოედანზე „დალასის“ რვა ქულით დამარცხება ფლორიდელთა კარგად ორგანიზებულმა თამაშმა განაპირობა.

როგორც მოსალოდნელი იყო, ორივე გუნდის მოქმედებაში დაცვა დომინირებდა შეტევაზე. მეტოქეები კარგად ასრულებდნენ საშინაო დავალებას, რაც ერთმანეთის ლიდერთა ნეიტრალიზაციაში გამოიხატებოდა. სადებიუტო 390 წამში გუნდებმა ჯამში თამაშიდან 12 ბურთი ააცილეს, სამი შეცდომა დაუშვეს (სამივე სტუმრებმა), სამი დაფარება შეასრულეს და „საცოდავი“ 13 ქულა დააგროვეს.

დირკ ნოვიცკის სამმაგი მეურვეობა ჰქონდა მიჩენილი და გერმანელი უფრო ხშირად ფარში სროლის ნაცვლად სამქულიანის ხაზთან მყოფ პარტნიორებს უგდებდა ბურთს. მოედნის მეორე მხარეს დალასელი „პოლიციელები“ არანაკლებ აქტიურად ავიწროებდნენ **ლებრონ ჯეიმსსა** და **დუეინ უეიდს**. შესაბამისად, ამ სახიფათო წყვილს იშვიათად ვხედავდით მეტოქის სამწამიანში.

ამიტომაც გასაკვირი არაფერი იყო იმაში, რომ მეორე მეოთხედის შუაში ტაბლოზე მოკრძალებული რიცხვები ეწერა - 24:24. ყველაფერი იქითკენ მიდიოდა, რომ შეიძლებოდა დამყარებულიყო ფინალურ მატჩებში შედეგიანობის ანტირეკორდი. მაგრამ ასე არ მოხდა, რადგან დიდ შესვენებამდე დარჩენილ დროში გუნდები, როგორც იქნა, აქტიურ მოქმედებაზე გადავიდნენ.

„მავერიქსში“ შვიდი ქულა დააგროვა **შონ მერიონმა**, რომელმაც ისარგებლა მეტ-ნაკლები თავისუფლებითა და **კრის ბოშისა** და **მაიკ მილერის** დაუდევრობით. ამდენივე მიითვალა ნოვიცკიმ, გუნდი არ დააღლატა **ტაისონ ჩენდლერმა**, რომელმაც ჩატენა და თან ჯარიმა მიაღებინა **ენტონის**, ბოლოს კი **ჯეისონ ტერიმაც** ჩააგდო სამქულიანი. რა თქმა უნდა, გულხელდაკრეფილი არც „მაიამი“ ყოფილა. მარტო **უდონის ჩელმერსმა** ამ დროის განმავლობაში სამი სამქულიანი ჩააგდო, რასაც ერთი შედეგიანი პასი დაუმატა, რის შემდეგაც უეიდმა იხეირა შორი მანძილიდან. გარდა ამისა, იყო ბოშის ორი შედეგიანი შეტევა.

სირენასთან ერთად მილერსაც რომ ჩაეგდო ნოვიცკის შეცდომის შემდეგ, მასპინძლები დიდ შესვენებაზე ლიდერის რანგში გავიდოდნენ, მაგრამ ტყორცნა არაზუსტი იყო - 44:43 „დალასის“ სასარგებლოდ.

სამაგიეროდ, მიზანს მიაღწია უფრო რთულმა სამქულიანმა ჯეიმსის შესრულებით. ეს მოხდა მესამე მეოთხედის ბოლოს და ამით დასრულდა „მაიამის“ გზა „მინუს რვა“ ქულიდან „პლუს ოთხ“ ქულამდე. სტუმრებმა ეს მეოთხედი 7:0 გაქცევით დაიწყეს, მაგრამ ბოლო პაუზამდე დარჩენილ 603 წამში „დალასმა“ 14 ტყორცნიდან 11 ააცილა, ოთხი შეცდომა დაუშვა და მხოლოდ 10 ქულა დააგროვა. უეიდისა და ჯეიმსის სრული მონაგარი ამ მეოთხედში 17 ქულა იყო - ეს სავსებით საკმარისი აღმოჩნდა თამაშის სადავეების ხელში ასაღებად და მატჩის ბოლომდე შესანარჩუნებლად.

როგორ არ ეცადნენ ნოვიცკი და ტერი საფინალო სპურტის ორგანიზებას, მაგრამ მასპინძლების ბრწყინვალე დაცვას მაინც ვერაფერი მოუხერხეს. კომფორტული უპირატესობის შესანარჩუნებლად „მაიამის“ ჰასლემის შეტევაში ყოჩაღობაც იკმარა. თავიდან მან დროულად მონახა სამქულიანის ხაზთან მილერი, შემდეგ კი თავად ორჯერ კარგად გაიხსნა მეტოქის სამწამიანში - 75:69 საფინალო სირენამდე 4 წუთითა და 35 წამით ადრე. გადამწყვეტი კი აღმოჩნდა 20-წამიანი მონაკვეთი, რომლის დროსაც უეიდმა ჯერ მერიონს დაუფარა, შემდეგ კი შორეული ტყორცნით „ჰიტის“ უპირატესობა 9 ქულამდე აიყვანა.

ამის შემდეგ ზედიზედ ოთხმა საჯარიმომ, დირკის ორმა ქულამ, ჩენდლერის დანკმა და კიდის სამქულიანმა ბევრი ვერაფერი შეცვალა - მასპინძლები სრულად აკონტროლებდნენ სიტუაციას და დამსახურებულად გაიმარჯვეს. ამაზე მეტყველებს „დალასის“ მიერ თამაშიდან ნასროლი ტყორცნების სიზუსტის პროცენტი (37,3), მოხსნებში მარცხი (36-46) და მისი ნაქები რეზერვისტების მწირი მონაგარი - 17 ქულა (სიზუსტე - 18.1%). „მაიამიმ“ კი ამ პლეი ოფში მეშვიდედ მოიგო შეხვედრა, როცა პირველი ტაიმი წაგებული ჰქონდა.

„დალასი“ ვეტერანების გუნდია. ბევრი გამოცდილი მოთამაშე გვყავს, რომლებსაც კარგად ესმით, რომ არ ღირს ამ წაგებისთვის დიდი მნიშვნელობის მინიჭება. მაქსიმალურად მობილი ზებულები უნდა შევხვდეთ ხუთშაბათის შეხვედრას და შინ აუცილებლად ერთი მოგებით უნდა დავბრუნდეთ. ჩვენ შეგვიძლია ამის გაკეთება“, - განაცხადა მატჩის შემდეგ დირკ ნოვიცკიმ.

ფინალი. I მატჩი

მაიამი–დალასი 92:84

16:17, 27:27, 22:17, 27:23

მ: ჯეიმსი (24+9 მოხსნა+5 პასი), უეიდი (22+10 მოხსნა+6 პასი+2 დაფარება), ბოში (19+9 მოხსნა+3 პასი), ჩელმერსი (12), ჰასლემი (7+6 მოხსნა), მილერი (6+5 მოხსნა), ჰოვარდი (2), ბიბი (0+3 პასი), ენტონი.

დ: ნოვიცკი (27+8 მოხსნა), მერიონი (16+10 მოხსნა+4 პასი), ტერი (12), კიდი (9+6 პასი), ჩენდლერი (9+2 დაფარება), სტივენსონი (6), ჰეივუდი (3+7 მოხსნა+3 დაფარება), ბარეა (2+3 პასი), სტოიაკოვიჩი.

სერია: 1-0

სტატისტიკა

ტყორცნები თამაშიდან: 31/80 (38,8) - 25/67 (37,3)
სამქულიანები: 11/24 (45,8) - 9/22 (40,9)
საჯარიმოები: 19/26 (73,1) - 25/32 (78,1)
მოხსნები (შეტევაში-სულ): 16/46 - 6/36
პასქი: 20-18
შეცდომები: 10-11
ჩაჭრები: 5-6
დაფარებები: 4-8
ყველაზე დიდი სხვაობა: 12-8

კიდის რეკორდი და უეიდის ოცნება

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის სუპერფინალი გუშინ დაიწყო, მაგრამ უკვე დამყარდა ერთი რეკორდი. „დალას მავერიქსის“ გამთამაშებელი **ჯეისონ კიდი** ყველაზე ასაკოვანი კალათბურთელია იმათგან, ვისაც NBA-ის სუპერფინალში მიუღია მონაწილეობა.

38 წლის ვეტერანმა გამთამაშებელმა ამ მაჩვენებლით აჯობა **რონ ჰარპერს**, რომელიც 2000 წლის ფინალში „ლოს ანჯელეს ლეიკერსის“ მაისურით თამაშობდა. მაშინ რონი 36 წლის იყო.

„ასაკზე არ ვფიქრობ, მით უმეტეს, არც რეკორდზე. მხოლოდ იშვიათად ვიხსენებ „ნიუ ჯერსი ნეტსში“ გატარებულ წლებს და ვფიქრობ: რა სამწუხაროა, რომ მაშინ საჩემპიონო ბეჭდების მოპოვება ვერ შევძელით.

იმედი მაქვს, ერთხელ მაინც მოვახერხებ ამის გაკეთებას. „დალასში“ ყველანი გამარჯვებისთვის არიან განწყობილნი და ეს იმედს აძლიერებს“, - ამბობს კიდი.

■ ■ ■

სუპერფინალის კიდევ ერთმა მონაწილემ, „მაიამი ჰიტის“ ერთ-ერთმა ლიდერმა **დუეინ უეიდმა** თავისი კლუბისადმი ერთგულება დაადასტურა და განაცხადა, რომ სწორედ „ჰიტში“ სურს კარიერის დასრულება.

„ვფიქრობ კარგია, როცა NBA-ის ვარსკვლავი და კლუბის წამყვანი მოთამაშე ხარ და გინდა ჩემპიონობის მოპოვება. მაგრამ, როცა შენი გუნდი ამის საშუალებას ვერ გაძლევს, ბოლოს და ბოლოს სხვაგან გადასვლაზე ფიქრობ.

მაგრამ, ხშირად ამ შემთხვევაშიც საჩემპიონო ბეჭდის გარეშე რჩები. ამიტომაც მოხარული ვარ, რომ ჩემპიონი სწორედ აქ, „მაიამიში“ გავხდი და არ მომინია გუნდის შეცვლამ. იმედია, ეს არასოდეს მოხდება.

შემიძლია გითხრათ, რომ ჩემთვის დიდი პატივი იქნება კარიერის „მაიამიში“ დასრულება“, - ამბობს უეიდი.



ჯეისონ კიდი

● ამბები

კალათბურთი

სმიტი ისევ შარშია

მორიბ სკანდალში გაეხვა „დენვერ ნაგეტსის“ მცველი **ჯეი არ სმიტი**. ამჯერად ფლორიდის პოლიციამ კალათბურთელი სკუტერის მართვის გამო დააკავა - საქმე ისაა, რომ სმიტს არ ჰქონდა ამ სატრანსპორტო საშუალებით სეირნობის უფლება. ახლა ამ საქციელის გამო დენვერელს სასამართლოში მოუწევს გამოცხადება. საქმის მოსმენა მომავალ თვეშია დანიშნული.

შეგახსენებთ, რომ სმიტს მსგავსი პრობლემა ერთხელ უკვე ჰქონდა, როცა 2007 წელს ავტომობილის სახიფათოდ მართვის გამო ავარიაში მოყვა. ამ ინციდენტის შედეგად სმიტის მეგობარი **ანდრე ბელი** დაიღუპა. მაშინ NBA-მ ჯეი არს შვიდმატჩიანი დისკვალიფიკაცია მისცა.

ცურვა

მანქანა რეკორდის სანაცვლოდ

ცურვაში პრესტიჟული საერთაშორისო სერია - Mare Nostrum დაიწყო. მეორე ეტაპი 8-9 ივნისს საფრანგეთის კურორტ კანში გაიმართება და ორგანიზატორებმა სპორტსმენების მოტივაციის ასამაღლებლად საინტერესო აქცია ჩაიფიქრეს. კერძოდ, ის მოცურავე, რომელიც მსოფლიოს რეკორდს დაამყარებს, 25 ათას ევროდ ღირებული ავტომობილით დასაჩუქრდება.

2011 წელს Mare Nostrum-ის საპრიზო ფონდი 21 ათას ევროს შეადგენს. სერიის საერთო ჩათვლაში გამარჯვებული (მამაკაცებსა და ქალებს შორის) 7 ათას ევროს მიიღებს, მეორე ადგილზე გასული - 2 ათასს, მესამე ადგილის მფლობელს ათასი ევრო ეკუთვნის.

მოცურავეები, რომლებიც რეკორდის გაუმჯობესებას შეძლებენ, სხვა ტურნირებზეც (ბარსელონასა და მონტე კარლოში) მიიღებენ დამატებით ანაზღაურებას - 9 ათასი ევრო მსოფლიოს რეკორდისთვის, 1500 ევრო - ევროპის რეკორდისთვის და 600 ევრო ტურნირის რეკორდისთვის.

ეტაპზე გამარჯვებას 330 ევრო მოაქვს, მეორე ადგილს - 180, მესამეს - 90 ევრო.

● მძლეოსნობა

ისევ 9.91

ბოლო ორი კვირის განმავლობაში იამაიკელი სპრინტერი **უსაინ ბოლტი** მეორედ გავიდა სარბენ ბილიკზე და ზედიზედ მეორე გამარჯვებას მიაღწია. ამჯერად იამაიკელი ჩეხეთის ქალაქ ოსტრავაში ჩავიდა და იქ IAAF World Challenge-ის სერიის ტურნირში მიიღო მონაწილეობა.

მსოფლიოს რეკორდსმენმა 100 მეტრზე მოსინჯა ძალები და დისტანცია 9,91 წამში გაირბინა. ზუსტად ასეთი შედეგი დაფიქსირა მან ერთი კვირის წინ, „ბრილიანტის ლიგის“ რომაულ ეტაპზე. მაშინაც უსაინი პირველი მივიდა ფინიშთან. ამ გარბენში მეორე იყო ასევე იამაიკელი **სტივ მალინგსი**, რომელიც ბოლტს უქვსი მეასედი წამით ჩამორჩა.

ბოლტის მეორე გამარჯვება

„დღეს თავს გაცილებით კარგად ვგრძნობდი, ვიდრე გასული კვირის გარბენისას. რა თქმა უნდა, უკეთესი შედეგის იმედი მქონდა, მაგრამ ამითაც კმაყოფილი ვარ“, - განაცხადა ფინიშის შემდეგ ბოლტმა.

ასევე ძლიერი შემადგენლობა შეიკრიბა ქალებს შორის 100-მეტრიან გარბენში. აქაც გამარჯვება იამაიკელმა სპრინტერმა მოიპოვა - სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა **ვერონიკა კემპბელ-ბრაუნმა** „მოკლე სპრინტში“ 10,76 წამი დააფიქსირა, რაც ამ სეზონის საუკეთესო შედეგია.

გვერდი მოამზადა
გია თვალაგეიშვილმა

● ავტოსპორტი

ბრძოლა მხოლოდ მეორე ადგილისთვისაა

დასრულდა მორიგი სარბოლო უქმეები და შესაბამისად, გამოქვეყნდა Castrol-ის განახლებული რეიტინგი.

პირველობისთვის ბრძოლაში არანაირი კონკურენცია არ შეინიშნება - პირველ ადგილზე მყოფი **სებასტიან ფეტელი** მხოლოდ იმით არის დაკავებული, რომ ამ რეიტინგში ახალ-ახალ სარეკორდო მაჩვენებლებს აფიქსირებს. სხვათა შორის, მონაკოს გრანპრიზე გამარჯვების შემდეგ „რედ ბულის" პილოტმა ქვეყნების რეიტინგში პირველ ადგილზე გადაიყვანა გერმანია. წინა ლიდერი ავსტრალია მეორე პოზიციაზე ჩამოქვეითდა.



გერმანიის ლიდერობას ხელი შეუწყო იმანაც, რომ შარშანდელი სექტემბრიდან მეორე ადგილზე დამკვიდრებული **მარკ უებერი** ნელ-ნელა კარგავს სარეიტინგო ქულებს. ერთი კვირის წინ „რედ ბულის" ავსტრალიელმა პილოტმა ვერ დაიცვა ესპანეთში შარშანდელი გამარჯვება, ახლა კი მონაკოში მეოთხე ადგილი დაიკავა და იმაზე ნაკლები ქულა მოიპოვა, ვიდრე 2010 წელს, როცა პოული მოიგო, მთელი დისტანცია ლიდერობდა და პირველი მივიდა ფინიშთან (შეგახსენებთ, რომ Castrol-ის რეიტინგში ბოლო 12 თვის შედეგებს ითვალისწინებენ).

საბოლოოდ, უებერს კონკურენტები მიუახლოვდნენ. ეს არის სამეული, რომელთა წევრებიც ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში ერთმანეთში ცვლიდნენ პოზიციებს. მაგრამ თუ ადრე **ფერნანდო ალონსო, ლუის ჰემილტონი** და რალისტი **სებასტიან ლოები** მესამე ადგილისთვის იბრძოდნენ, ახლა ისინი მეორე პოზიციაზე აცხადებენ პრეტენზიას. არგენტინის რალის მოგების შემდეგ ლოებმა კიდევ ერთხელ გაუსწრო ჰემილტონს.

ლუისი მონაკოში კარგად ვერ გამოვიდა, სამაგიეროდ მისი თანაგუნდელი **ჯენსონ ბატონი** ავიდა პოდიუმზე და ამით რეიტინგში **დარიო ფრანკიტის** გაასწრო, რომელმაც გასულ უქმეებზე მხოლოდ მე-12 ადგილი დაიკავა ლეგენდარულ „ინდი 500"-ზე. სხვათა შორის, „ინდი 500"-ზე გამარჯვებით **დენ უელდონმა** პილოტთა პირველ ასეულში ყველაზე დიდი პროგრესი განიცადა - ბრიტანელი 24 საფეხურით ავიდა მაღლა და ახლა 59-ე ადგილს იკავებს.

რეიტინგის ახალი ათეული ასე გამოიყურება	
1. ს. ფეტელი (ფორმულა 1)	27 411
2. მ. უებერი (ფორმულა 1)	21 093
3. ს. ლოები (რალი)	20 623
4. ლ. ჰემილტონი (ფორმულა 1)	20 479
5. ფ. ალონსო (ფორმულა 1)	20 026
6. უ. პაუერი (IndyCar)	18 451
7. ჯ. ბატონი (ფორმულა 1)	17 718
8. დ. ფრანკიტი (IndyCar)	16 694
9. კ. ედვარდსი (NASCAR)	16 323
10. ჯ. ჯონსონი (NASCAR)	16 125

● ფორმულა 1

დიდი ცირკი მაყურებელს იბრუნებს

მონაკოში უსაფრთხოებაზე იზრუნებენ

ტელეკომპანია BBC-მ, რომელიც ფორმულა 1-ის რბოლების ტრანსლიაციის ექსკლუზიურ უფლებას ფლობს, გამოაცხადა, რომ ამ სეზონში მკეთრად იმატა ტელემაყურებელთა რიცხვმა. მონაკოს გრანპრის დროს კი საერთოდ ბოლო ათი წლის განმავლობაში სარეკორდო რაოდენობა დაფიქსირდა: ბრიტანულ არხზე აუდიტორიამ 6.1 მილიონი ადამიანი შეადგინა. BBC-ში დარწმუნებული არიან, რომ მაყურებელთა მხრიდან ინტერესის ზრდა წესებში ცვლილებებმა გამოინვია, კერძოდ, გაიზარდა გასწრებების რიცხვი.

■ ■ ■

მონაკოს გრანპრიზე მომხდარი ავარიების გამო ამ ეტაპის ორგანიზატორებმა ტრასის კონფიგურაციის კორექტირება გადაწყვიტეს. ცვლილება შეეხება იმ დამცავ ბარიერს, რომელიც პილოტებს გვირაბიდან გამოსვლისას ხვდებათ. სწორედ ტრასის ამ მონაკვეთზე მოხვდა ავარიაში „ზაუბერის" პილოტი **სერხიო პერესი**. მექსიკელმა იმ ინციდენტის შემდეგ ორი დღე საავადმყოფოში გაატარა.

ბარიერს 20 მეტრით მიაახლოვებენ გვირაბს, სადაც ამჟამად ვიდეოკამერები და სპეცტექნიკა იყო განთავსებული.

● ჩოგბურთი

ხულიგანის სამუდამო დისკვალიფიკაცია

ATP-ის კლასიფიკაციის TOP60-ის ყოფილი მოთამაშე, ავსტრიელი **დანიელ კიოლერერი** სამუდამოდ არის დისკვალიფიცირებული. გუშინ სპეციალურმა კომისიამ გამოაცხადა, რომ 27 წლის ჩოგბურთელმა დაარღვია ანტიკორუფციული კანონის სამი პუნქტი, აქედან ერთ-ერთი ბრალდებაა - „ჩაწყობილი თამაშების ორგანიზება და შედეგების გაყალბება".

გამოძიებას ანარმოებდა ორგანიზაცია Tennis Integrity Unit, რომელიც ჩაწყობილი მატჩებისა და არალეგალური ფსონების მოძიებით არის დაკავებული. კიოლერერმა კანონი 2009 წლის ოქტომბრიდან 2010 წლის ივლისამდე პერიოდში დაარღვია.

დისკვალიფიკაციის გარდა, მსოფლიოს 385-ე ნომერს 100 ათასი დოლარის ოდენობის ჯარიმა დაეკისრა. ავსტრიელს შეუძლია აპელაცია შეიტანოს სპორტულ საარბიტრაჟო სასამართლოში. კიოლერერი პირველი მოთამაშეა, ვინც სამუდამოდ ჩამოაშორეს დიდ ჩოგბურთს.

პროფესიულ კარიერაში ავსტრიელს მხოლოდ 55 მატჩი აქვს ჩატარებული, თუმცა 2009 წლის 19 ოქტომბერს საკმაოდ მაღალ შედეგს მიაღწია - რეიტინგში 55-ე ნომერი გახდა.

საინტერესოა, რომ კარიერის მსვლელობისას კიოლერერი არაერთხელ გამხდარა სკანდალის მიზეზი. 2010 წლის ივნისში ავსტრიელმა შოკში ჩააგდო საჩოგბურთო საზოგადოება ბრაზილიელი **ჟულიო სილვას** მიმართ რასისტული გამოხტომებით. ექსჩოგბურთელმა სილვას „მაიმუნი" უწოდა და „ჯუნგლებში დაბრუნება" ურჩია.

გარდა ამისა, კიოლერერმა კინალამ ჩხუბით დაასრულა თანამემამულე **შტეფან კუბეკთან** მატჩი. ამ უკანასკნელმა განაცხადა, რომ დანიელი მთელი მატჩის განმავლობაში შეურაცხყოფას აყენებდა. და კიდევ, 2006 წელს ავსტრიელი ნახევარი წლით ჩამოაცილეს ოფიციალურ ტურნირებს არასპორტული საქციელისთვის.

● ცხელი ხაზი

ფეხბურთი

ევრო 2011

UNDER 21

სან მარინო-ბოსნია	0:3

ამხანაგური მატჩები

იაპონია-პერუ	0:0
ნიგერია-არგენტინა	4:1
უკრაინა-უზბეკეთი	2:0

Under 21

უკრაინა-ირანი	გადაიდო

ტულონის ფესტივალი

კოლუმბია-პორტუგალია	1:1
კოტ დივუარი-იტალია	0:2

შველეთი

II დივიზიონი

ფალკენბერგი-ოსტერსი	0:4

ფინეთი

II დივიზიონი

კპვ-ვიიკინგიტი	0:1
ჰკ35-ინპო	1:0

კალათბურთი

საბერძნეთი

პაოკ-არისი	59:67
ოლიმპიაკოსი-პანათინაიკოსი	76:68

ესპანეთი

კახა ლაბორალი-ბარსელონა	61:71

იტალია

კანტუ-მილანი	70:64

რუსეთი

უნიძსი-ხიმკი	62:57
ცსკა-ლოკომოტივი	82:75
ენისეი-კრასნიე კრილია	82:64
სპარტაკი-ნიუნი ნოვგოროდი	91:94

თურქეთი

გალათასარაი-ბანვითი	89:55

საფრანგეთი

ვილერბანი-ნანსი	91:79

● TV პროგრამა

2 ივნისი, ხუთშაბათი

GMG-ფეხბურთი

10:00 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
11:00 ესპანეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
12:00 გერმანიის ჩემპიონატი. პლეი ოფი. ბოხუმი-ბორუსია (მ). საპასუხო მატჩი.
14:00 არგენტინის ჩემპიონატი. ლანუსი-ველეს სარსფილდი.
16:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. ბსჟ-ლილი.
18:00 საფრანგეთის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
19:00 იტალიის ჩემპიონატი. ინტერი-კატანია.
21:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
21:30 იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
22:00 ესპანეთის ჩემპიონატი, სოსიედადი-ბარსელონა.
23:00 არგენტინის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
01:00 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნაიტედი-ბლეკბული.

GMG-სპორტი

10:00 ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
10:30 ბრაზილიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
11:00 კალათბურთი. ევროლიგა. „ოთხთა ფინალი". მე-3 ადგილისთვის. რეალი-მონტეპასკი, ბარსელონა. ესპანეთი.
12:50 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ფინალი. მაიამი-დალასი. პირველი მატჩი.
15:20 ჩოგბურთი. „დიდი სლემი". როლან გაროსი. მიმოხილვა.
16:00 ჩოგბურთი. „დიდი სლემი". როლან გაროსი. 1/2 ფინალი. პარიზი (LIVE).
23:30 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ფინალი. მაიამი-დალასი. პირველი მატჩი.
05:00 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ფინალი. მაიამი-დალასი. მეორე მატჩი (LIVE).

HTB-პლუსი (სპორტი)

05:00 კალათბურთი. NBA. პლეი ოფი. ფინალი. მაიამი-დალასი. მეორე მატჩი (LIVE).

HTB-პლუსი (ონლაინი)

19:25 მინი-ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. ფინალი. დინამო-სინარა. მეორე მატჩი (LIVE).
04:45 ფეხბურთი. ლიბერტადორესის თასი. 1/2 ფინალი. ველეს სარსფილდი-პენიაროლი. საპასუხო მატჩი (LIVE).

SPORT+

19:25 მინი-ფეხბურთი. რუსეთის ჩემპიონატი. ფინალი. დინამო-სინარა. მეორე მატჩი (LIVE).

EUROSPORT

15:30 ჩოგბურთი. „დიდი სლემი". როლან გაროსი. 1/2 ფინალი. პარიზი (LIVE).
20:40 ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი - ახალგაზრდული ფესტივალი. ჯგუფური ეტაპი. საფრანგეთი-მექსიკა. ტულონი. საფრანგეთი (LIVE).

EUROSPORT-2

18:45 ფეხბურთი. საერთაშორისო ტურნირი - ახალგაზრდული ფესტივალი. ჯგუფური ეტაპი. უნგრეთი-ჩინეთი. ტულონი. საფრანგეთი (LIVE).

● ამბები

ველოსპორტი

კონტადორი გურზე დაუშვეს

სპორტულმა საარბიტრაჟო სასამართლომ გადადო ტურ დე ფრანსის სამგზის ჩემპიონის **ალბერტო კონტადორის** საქმის მოსმენა. ესპანელი ველომბროლის ბედი 1-3 აგვისტოს გაირკვევა.

როგორც იცით, კონტადორს შარშანდელი დოპინგსკანდალის გამო უჩივიან მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტო და ველომრბოლთა საერთაშორისო კავშირი. ისინი არ ეთანხმებიან ალბერტოსთვის ერთნლიანი დისკვალიფიკაციის მოხსნას.

თავდაპირველად სპორტული საარბიტრაჟო სასამართლო ამ საქმის განხილვას 6-8 ივნისს აპირებდა. ჯერჯერობით უცნობია, ვისი თხოვნით გადაიდო პროცესი, მაგრამ ფაქტია, რომ ამით კონტადორმა ნელს ტურ დე ფრანსზე გამოსვლის საშუალება მიიღო.

დოპინგი

თურქები ისევ დისაჯნენ

მსოფლიოს ანტისადოპინგო სააგენტომ (WADA) აკრედიტაცია ჩამოართვა თურქულ ლაბორატორიას, რომლის სახელსაც უკავშირდება „ფენერბაჰჩესა" და ამერიკის ნაკრების წამყვანი მცველის **დაიანა ტაურაზის** გახმაურებული დისკვალიფიკაცია. დღეიდან ანკარაში მდებარე დოპინგ-ცენტრი ექვსი თვის განმავლობაში ვერ შეძლებს WADA-სთვის მუშაობას.

შეგახსენებთ, რომ 2010 წელს მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო კალათბურთელის ანალიზებში შეცდომით აღმოჩნდა აკრძალული პრეპარატის - მოდაფინილის კვალი. დოპინგის შესახებ ინფორმაციის გავრცელებისთანავე თურქულმა კლუბმა განყვიტა კონტრაქტი ტაურაზისთან, თუმცა მოგვიანებით გაირკვა, რომ ამერიკელს დოპინგი არ ჰქონდა მიღებული.

აღსანიშნავია, რომ ანკარაში ამ ლაბორატორიას ერთხელ უკვე ჩამოართვეს ლიცენზია - ეს მოხდა 2009 წელს საერთაშორისო სტანდარტებთან შეუსაბამობის გამო.

სნუკერი

ჩემპიონი გალანტებს ეძებს

მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონი, ცნობილი სნუკერისტი **კენ დოჰერტი** ირლანდიაში ახალი ტალანტების ძებნას იწყებს. ამ მიზნით მან დუბლინში საკუთარი აკადემია დააარსა. გახსნის ცერემონიას დაესწრნენ **ჯიმი უაიტი, ჯონ პეროტი** და **კლიფ ტორნბურნი**.

დოჰერტი კლავაც უკონკურენციოდაა ირლანდიაში, მიუხედავად იმისა, რომ 40 წლის გახლავთ, სნორად ამიტომაც სურს მას ახალი ირლანდიელი ლიდერების აღზრდა.

„ყოველთვის მქონდა აკადემიის გახსნის სურვილი, სადაც შევძლებდი ახალგაზრდებისთვის საკუთარი ცოდნისა და გამოცდილების გაზიარებას. მინდა დავეხმარო ადამიანებს საკუთარი პოტენციალის რეალიზებაში. თუ ისინი მაქსიმალურად კონცენტრირებული იქნებიან, ყველაფერი გამოუვათ", - ასე ახსნა დოჰერტმა აკადემიის გახსნის იდეა.

ოლიმპიზმი

ლონდონი ოლიმპიურად გალამაზდება

ლონდონის მერმა **ბორის ჯონსონმა** განაცხადა, რომ მილიონ 700 ათას ფუნტს გამოყოფს ოლიმპიური თამაშებისთვის ქალაქის გასალამაზებლად.

ბრიტანეთის დედაქალაქის 33 ადმინისტრაციული რაიონი მიიღებს 50 ათას ფუნტს ოლიმპიადასთან დაკავშირებული ადგილების დროშებით, ბანერებითა და სხვა დეტალებით მოსართავად. ჯერჯერობით უცნობია, რა ფორმით ჩატარდება ეს აქცია. განცხადებაში აღნიშნულია, რომ ლონდონის ძირითად ტურისტულ ღირსშესანიშნაობებს შესამჩნევი „ოლიმპიურ ცვლილებები" შეეხებათ.

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ყველაზე მდიდრები

პოპულარულმა ამერიკულმა ჟურნალმა „ფორბსმა“ ყველაზე მაღალანაზღაურებადი სპორტსმენების მორიგი რეიტინგი გამოაქვეყნა.

სიას კვლავინდებურად ლიდერობს სახელგანთქმული ამერიკელი გოლფისტი **ტაიგერ ვუდსი**, რომელმაც ბოლო ერთი წლის განმავლობაში 75 მილიონი დოლარი გამოიმუშავა. ვუდსის შემოსავლებზე არ უმოქმედია იმ სკანდალს, რომელიც 2009 წლის ნოემბერში დაიწყო. სწორედ მაშინ გამოაშკარავდა ცოლის მიმართ ღალატის არაერთი ფაქტი და საბოლოოდ, ვუდსის საყვარლების სიამ 30 ქალს გადააჭარბა. მას შემდეგ ვუდსი კარგა ხანი არ თამაშობდა ტურნირებში, არც ერთი ახალი სასპონსორო კონტრაქტი არ გაუფორმებია, მაგრამ მაინც დარჩა პლანეტის ყველაზე მაღალანაზღაურებად სპორტსმენად. მეორე და მესამე ადგილებზე არიან კალათბურთელები - **კობი ბრაიანტი** (54 მილიონი) და **ლებრონ ჯეიმსი** (48 მლნ).

ფეხბურთელებს შორისაც არ შეცვლილა ლიდერი - ვეტერანი ინგლისელი **დევიდ ბექჰემი** მეექვსე ადგილზეა წლიური 40 მილიონი შემოსავლით.

საინტერესოა, რომ პირველ ორმოცდაათ სპორტსმენს შორის ერთადერთი ქალია - რუსი ჩოგბურთელი **მარია შარაპოვა**. მისმა მონაგარმა 24,2 მილიონი შეადგინა, რამაც მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგანს რეიტინგის 29-ე პოზიცია მოუტანა. სხვათა შორის, მარია შარშანაც ერთადერთი ქალი სპორტსმენი იყო ყველაზე მდიდარ მამაკაცებს შორის. 24 წლის შარაპოვას შემოსავლის ძირითადი ნაწილი კომპანიებთან - Nike-თან და Cole Haan-თან გაფორმებულ სარეკლამო კონტრაქტებზე მოდის.

„ფორბსის“ რეიტინგის თანახმად, ყველაზე შემოსავლიან სპორტის სახეობებად რჩებიან - კალათბურთი, ფეხბურთი, გოლფი და ჩოგბურთი. ბოლო 12 თვის განმავლობაში „ფორბსის“ TOP50-ში შემავალმა სპორტსმენებმა ერთად 1.4 მილიარდი დოლარი გამოიმუშავეს, ანუ საშუალოდ 28 მილიონი ერთ კაცზე.

ფორბსის TOP 50

1. ტაიგერ ვუდსი (აშშ, გოლფი) - $75 მლნ
2. კობი ბრაიანტი (აშშ, კალათბურთი) - $53 მლნ
3. ლებრონ ჯეიმსი (აშშ, კალათბურთი) - $48 მლნ
4. როჯერ ფედერერი (შვეიცარია, ჩოგბურთი) - $47 მლნ
5. ფილ მიკელსონი (აშშ, გოლფი) - $46,5 მლნ
6. დევიდ ბექჰემი (ინგლისი, ფეხბურთი) - $40 მლნ
7. კრისტიანო რონალდო (პორტუგალია, ფეხბურთი) - $38 მლნ
8. ალეძს როდრიგესი (აშშ, ბეისბოლი) - $35 მლნ
9. მიხაელ შუმახერი (გერმანია, ფორმულა 1) - $34 მლნ
10. ლეონელ მესი (არგენტინა, ფეხბურთი) - $32,3 მლნ
11. ფერნანდო ალონსო (ესპანეთი, ფორმულა 1) - $32 მლნ
12. რაფაელ ნადალი (ესპანეთი, ჩოგბურთი) - $31,5 მლნ
13. ვალენტინო როსი (იტალია, მოტოსპორტი) - $31 მლნ
13. ტომ ბრედი (აშშ, ამერიკული ფეხბურთი) - $31 მლნ
15. ლუის ჰემილტონი (ბრიტანეთი, ფორმულა 1) - $30 მლნ
16. დერეკ ჯეტერი (აშშ, ბეისბოლი) - $29 მლნ
17. დეილ ერნჰარდტი (აშშ, ავტოსპორტი) - $28,5 მლნ
18. იაო მინი (ჩინეთი, კალათბურთი) - $27,7 მლნ
19. დუაინტ ჰოვარდი (აშშ, კალათბურთი) - $27,6 მლნ
20. დუეინ უეიდი (აშშ, კალათბურთი) - $26,2 მლნ
21. პეიტონ მენინგი (აშშ, ამერიკული ფეხბურთი) - $26,1 მლნ
22. იტირო სუძუკი (იაპონია, ბეისბოლი) - $26 მლნ
23. კარმელო ენტონი (აშშ, კალათბურთი) - $25,1 მლნ
24. კაკა (ბრაზილია, ფეხბურთი) - $25 მლნ
24. მენი პაკიაო (ფილიპინები, ძიერი) - $25 მლნ
26. ჯეფრი გორდონი (აშშ, ავტოსპორტი) - $24,9 მლნ
27. რონალდინიო (ბრაზილია, ფეხბურთი) - $24,7 მლნ
28. ამარე სტაუდმაიერი (აშშ, კალათბურთი) - $24,5 მლნ
29. მარია შარაპოვა (რუსეთი, ჩოგბურთი) - $24,2 მლნ
30. უეინ რუნი (ინგლისი, ფეხბურთი) - $24,1 მლნ
31. ჯიმი ჯონსონი (აშშ, ავტოსპორტი) - $24 მლნ
32. კევინ გარნეტი (აშშ, კალათბურთი) - $23,8 მლნ
33. სისი საბატინი (აშშ, ბეისბოლი) - $23,6 მლნ
34. ჯიმ ფურიკი (აშშ, გოლფი) - $23 მლნ
35. ვინსენტ კარტერი (აშშ, კალათბურთი) - $21,8 მლნ
36. იოჰან სანტანა (ვენესუელა, ბეისბოლი) - $21,5 მლნ
37. ტიმ დანკანი (აშშ, კალათბურთი) - $21,2 მლნ
38. კრის პოლი (აშშ, კალათბურთი) - $20,9 მლნ
39. მარკ ტეიშეირა (აშშ, ბეისბოლი) - $20,8 მლნ
39. რაიან ჰოვარდი (აშშ, ბეისბოლი) - $20,8 მლნ
41. მიგელ კარბერა (ვენესუელა, ბეისბოლი) - $20,3 მლნ
42. რაშარდ ლუისი (აშშ, კალათბურთი) - $20,1 მლნ
43. ტოდ ჰელტონი (აშშ, ბეისბოლი) - $19,6 მლნ
43. ერნი ელსი (ს. აფრიკა, გოლფი) - $19,6 მლნ
45. ჯო მაუერი (აშშ, ბეისბოლი) - $19,3 მლნ
45. დირკ ნოვიცკი (გერმანია, კალათბურთი) - $19,3 მლნ
47. ბარი ხიტო (აშშ, ბეისბოლი) - $19,2 მლნ
48. იარი ევანსი (აშშ, ამერიკული ფეხბურთი) - $19,1 მლნ
49. პაუ გასოლი (ესპანეთი, კალათბურთი) - $18,9 მლნ
50. მაიკლ რედი (აშშ, კალათბურთი) - $18,8 მლნ

იდეალური ტურნირი

მაყურებლებისთვის იდეალურად ვითარდება როლან გაროსის მამაკაცთა ტურნირი - მეთორმეტედ „დიდი სლემის“ ტურნირების ისტორიაში ნახევარფინალში გავიდნენ პირველ ოთხ ნომრად განთესილი ჩოგბურთელები: **ნოვაკ ჯოკოვიჩი** (2) **როჯერ ფედერერს** (3) შეხვდება, **რაფაელ ნადალი** (1) **ენდი მიურეის** (4). ამ ორმა გუშინ იოლად გაიფორმა ნახევარფინალში თამაშის უფლება.

ნადალის მეტოქე იყო შვედი **რობინ სიოდერლინგი** - ერთადერთი ჩოგბურთელი, რომელსაც რაფა როლან გაროსზე ჰყავს დამარცხებული. სკანდინავიელის პარიზული გმირობები ორ ფინალსაც ითვლის, ასე რომ, წესით, ესპანელს იოლი მატჩი არ უნდა ჰქონოდა, მაგრამ გუშინდელმა ნახევარფინალმა დაგვანახვა, რომ ნადალი ძალიან კარგ ფორმაშია და მორიგი პარიზული ტრიუმფის მთავარი ფავორიტი გახლავთ.

პირენეელმა ძალიან იოლად აიღო პირველი ორი სეტი. რაფამ ორივეში სამგეიმიანი უპირატესობა მოიპოვა და უპრობლემოდ მიიყვანა საქმე გამარჯვებამდე. თითქმის იგივე განმეორდა მესამე სეტში - ნადალი ბრეიკით დაწინაურდა, მაგრამ 3:0-მდე ვერ მიაღწია, რადგან სიოდერლინგმა საპასუხო ბრეიკი გააკეთა და საბოლოოდ, საქმე ტაი-ბრეიკამდე მიიყვანა. იქ კი კვლავ გამოიკვეთა ნადალის უპირატესობა, რომელმაც ყველა მნიშვნელოვანი ბურთი ჩააგდო და რობინმა მისი დაწევა ვეღარ მოახერხა.

ესპანელმა გრუნტზე საიუბილეო - 225-ე გამარჯვება მოიპოვა და მეთხუთმეტედ გავიდა „დიდი სლემის“ ტურნირების ნახევარფინალში. წინა 14 შემთხვევიდან რაფამ 11-ჯერ მოახერხა ფინალში გასვლა.

მეორე მეოთხედფინალში მიურეი არგენტინელ **ხუან იგნასიო ჩელას** ხვდებოდა, რომელთანაც ზედიზედ ექვსი მატჩი ჰქონდა მოგებული. მართალია, ეს მატჩიც სამ სეტში დასრულდა, თუმცა აქ მაყურებელმა გაცილებით საინტერესო ბრძოლა იხილა. პირველ სეტში მიურეიმ მეტოქეს ორი ბრეიკი აჩუქა, მაგრამ ბრიტანელმა ამჯერადაც გამოავლინა საბრძოლო ხასიათი და ტაი-ბრეიკზე გამარჯვება გამოსტაცა სამხრეთამერიკელს.

მეორე პარტია ძალიან ჰგავდა პირველს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ თავიდან ორი ბრეიკით ენდი დაწინაურდა და არგენტინელმა ანგარიში გაათანაბრა. გადამწყვეტი აღმოჩნდა მე-11 გეიმი, სადაც მიურეიმ მიღებაზე იყოჩაღა და სეტში მესამე ბრეიკი გაიფორმა.

მხოლოდ მესამე სეტი მოიგო მიურეიმ უპრობლემოდ. ჩელას აღარ ჰქონდა მატჩისთვის ინტრიგის შენარჩუნების შანსი. ბრიტანელმა შესანიშნავად გამოიყენა ყველა შესაძლებლობა და სამსაათიანი ბრძოლა თავის სასარგებლოდ დაასრულა.

ნადალი და მიურეი მეთხუთმეტედ შეხვდებიან ერთმანეთს. ჯერჯერობით ესპანელს კოლოსალური უპირატესობა აქვს - 10:4. თანაც ბოლო ორი შეხვედრა რაფას დარჩა, მათ შორის წელს მონტე კარლოს მასტერსის ნახევარფინალში.

კაცები

1/4 ფინალი

რაფაელ ნადალი (1)-რობინ სიოდერლინგი (შვედ, 5) 6:4, 6:1, 7:6; **ენდი მიურეი (ბრიტ, 4)**-ხუან იგნასიო ჩელა (არგ) 7:6, 7:5, 6:2.

1/2 ფინალი

რაფაელ ნადალი (1)-ენდი მიურეი (ბრიტ, 4); როჯერ ფედერერი (შვეიც, 3)-ნოვაკ ჯოკოვიჩი (სერ, 2).

რაფაელ ნადალი

მარიას შურისძიება

გუშინ, ქალებმაც დაასრულეს მეოთხედფინალში ურთიერთობის გარკვევა. მოულოდნელად ყველაფერმა ძალიან მარტივად ჩაიარა.

მარია შარაპოვას ანდრეა პეტკოვიჩთან რვევანშისთვის უნდა ეზრუნა. ეს ჩოგბურთელები წელს ავსტრალიის ღიას მეოთხედფინალში შეხვდნენ ერთმანეთს და გერმანელმა სამ სეტში მოუგო რუს ვარსკვლავს. გუშინ შარაპოვას სასტიკი შურისძიება გამოუვიდა.

სასტარტო გეიმშივე პეტკოვიჩის მოწოდებაზე დიდი ბრძოლა გაიმართა და მარიამ მესამე ცდაზე შეძლო ბრეიკის აღება, შემდეგ თავისი მოწოდებაც დამაჯერებლად მოიგო - 2:0. მესამე გეიმის ბოლოსთვის პეტკოვიჩს უკვე 11 უნებლიე შეცდომა ჰქონდა. შესაბამისად, რუსმა მეტოქის მოწოდებაზე „მშრალი“ ანგარიშით მოიგო და კიდევ უფრო გაზარდა უპირატესობა - 3:0. ანდრეამ ვერც მესამე ცდაზე მოახერხა საკუთარი გეიმის აღება, შემდეგ ბრეიკ-პოინტიც ვერ გამოიყენა და პარტია 0:6 წააგო. აღსანიშნავია, რომ ამ სეტში შარაპოვა 77-პროცენტიანი სიზუსტით აწვდიდა საკუთარ გეიმებში, მიღებაზე კი ქულების 67 პროცენტი მოიგო.

მეორე სეტის პირველი გეიმი გერმანელის მოწოდებაზე 13 წუთი გაგრძელდა. მარიამ რისკს უკლო, მისი დარტყმები ხაზზე იშვიათად ეცემოდა და ამ ტაქტიკამ გაამართლა - პეტკოვიჩის მორიგი უნებლიე შეცდომის ნყალობით შარაპოვამ მატჩში მეოთხე ბრეიკი მიითვალა. ეს იყო რუსის მიერ ზედიზედ მეშვიდე მოგებული გეიმი.

თუმცა ამჯერად გერმანელი ასე იოლად არ დანებდა და გაბრძოლება მოახერხა. მეოთხე გეიმისთვის ანგარიში გათანაბრდა - 2:2. შემდეგ მარიამ დაძაბულ ბრძოლაში მიღებაზე კარგად გამოიყენა გერმანელის შეცდომები და მორიგი ბრეიკი აიღო - 3:2. იქვე ჩოგბურთელებმა კიდევ ერთხელ გაცვალეს მოწოდებები, მერვე გეიმში კი რუსმა გაჭირვებით, მაგრამ მაინც მოიგო საკუთარი გეიმი, 5:3-ზე კი მატჩში რიგით მეშვიდე ბრეიკი მიითვალა და ნახევარფინალში გავიდა.

„ამჯერად ჩემი მოწოდება ისეთი ვერ იყო, როგორც წინა მატჩებში, ამიტომაც მან დიდი უპირატესობა მიიღო“, - ასე ახსნა საკუთარი მოწოდების შვიდჯერ წაგება პეტკოვიჩმა.

შარაპოვასთვის როლან გაროსი ყოველთვის აუღებელი ციხე-სიმაგრე იყო. ამ მხრივ აღსანიშნავია ერთი საინტერესო სტატისტიკური მონაცემი - აქამდე რუსს 14-ჯერ ეთამაშა „დიდი სლემის“ ტურნირების მეოთხედფინალებში, მოგებული ჰქონდა 11 მატჩი და სამჯერ დამარცხებულმა დატოვა კორტი. სამივე შემთხვევაში შარაპოვამ სწორედ საფრანგეთის ღია პირველობაზე წააგო. მან 2007 წელს ერთადერთხელ ითამაშა აქ ნახევარფინალში და სერბ **ანა ივანოვიჩთან** დამარცხდა.

შარაპოვას ორი ნაბიჯი დარჩა როლან გაროსის მოგებამდე და თუ ეს მოახერხა, მეათე ქალი ჩოგბურთელი გახდება ისტორიაში, ვისაც კარიერული „დიდი სლემი“ ექნება მოგებული. ჯერჯერობით მარიას კოლექციაშია თითო ტიტული ავსტრალიისა და ამერიკის ღიაზე და უიმბლდონზე.

მარიას მეტოქე ჩინელი **ნა ლისა** და ბელარუსი **ვიქტორია აზარენკას** შეხვედრაში ირკვეოდა. ბოლო დროს აზიელმა შეგვაჩვია წარმატებებს - იანვარში ის პირველი ჩინელი მოთამაშე გახდა, ვინც „დიდი სლემის“ ტურნირის ფინალში გააღწია. მაშინ ლიმ ავსტრალიის ღიაზე გადამწყვეტი მატჩი წაგო ბელგიელ **კიმ კლაისტერსთან**. ახლა ჩინელს ერთი მოგება აკლია მეორე ფინალამდე - გუშინ მან ასევე ორ სეტში დაამარცხა აზარენკა, რომელსაც ტურნირზე შემორჩენილ ჩოგბურთელებს შორის განთესვის ყველაზე მაღალი ნომერი ჰქონდა.

ავსტრალიის ღიას შემდეგ ლის ჩავარდნა ჰქონდა - ზედიზედ ოთხი ტურნირის პირველ წრეში წააგო, მაგრამ გრუნტის სეზონისთვის ისევ შევიდა ფორმაში და როლან გაროსამდე მადრიდისა და რომის სუპერტურნირებში ნახევარფინალამდე გააღწია. ახლა იგივე პარიზში გაიმეორა.

აზარენკას კი აშკარად „დიდი სლემის“ ტურნირების კომპლექსი შეეყარა. ბელარუსმა მეოთხედ ითამაშა ამ დონის ჩემპიონატების მეოთხედფინალში და მეოთხედ დამარცხდა. გუშინ ვიქტორიამ ვერაფერი მოუხერხა ჩინელის მონოდებებს. მთელი მატჩის განმავლობაში მას მხოლოდ ხუთი ბრეიკ-პოინტი ჰქონდა. მართალია, აქედან სამი გამოიყენა, მაგრამ ნა ლიმ, თავის მხრივ^ ხუთი ბრეიკი მიითვალა და ამის ხარჯზე მოიგო - 7:5, 6:2.

ქალები

1/4 ფინალი

ნა ლი (ჩინ, 6)-ვიქტორია აზარენკა (ბლრ, 4) 7:5, 6:2; **მარია შარაპოვა (რუს, 7)**-ანდრეა პეტკოვიჩი (გერ, 15) 6:0, 6:3.

1/2 ფინალი

მარიონ ბარტოლი (საფ, 11)-ფრანჩესკა სკიავონე (იტა, 5); ნა ლი (ჩინ, 6)-მარია შარაპოვა (რუს, 7).

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა